

# სატრაკანი


ლუი

ციცვილი ლისტების  
სახელი

პრენისის  
ბექოლ  
მაჩესის  
კნატომი

ბეიბონ

ბაზარის ძე  
ბიზანტიის ღიღი  
ომის სამიწოდე



კართველების ბიბიული ეპოდა

ას ადონოვსკაია

დილი მრავალი

12 რეჟისურა

შემო Ⅲ


ფასი 3 ლარი

ციფრი „მსტორიანონ“ ერთად - 5 ლარი

ჩოლის  
ყოიშვალის  
ჩატავაზე  
ბიზანტიის  
კუთხანსაბას

შავი მაბის  
ოქიათასნიანი  
ჩატავაზე  
ძვირი ბალვის  
„ახალი სისმოსელა“

ცაჟარაბათა  
ლასანუსი  
– პირველი  
ჯვარისნები

**24****12****8****7****17****13****36**

## საჩივნო

### სახი ეპიზოდი

- „ცელი ტიფელი“ სამხრეთი აღლუსიდან --- 6  
ეგვიპტი მკვდართა ზიგნი ავსტრიაში მუზეუმი მუზეუმი კულტურის „მემატიანე“ --- 8  
უკველეს ასახოს ქათა და თიხისგან ამზადებდენ --- 9  
ნაარენი განეო სახლის ზინა ააზრონს ეკუთვნის?! --- 10  
უკველესი ეპიზოდები აგატა ქრისტის ქალაქიდან --- 10  
არმაზციხესა და გაგინეოთის კონცერტი დასრულდება 11  
მაგისტრის რინათასწლვანი რეცეპტები --- 12

### თბილისი ისტორია

- ძველი გაღამის „ახალი სიცოცხლე“ ----- 13  
ტახტიალი თახილაზი  
პრივატურის ბრძოლა ----- 17  
პინვები ჩისკაბიცა  
ნორ რამიჯვილის გუდივი რმი ზითმლი  
ჭირის ზონააღმდეგ ----- 24  
კარივიანი ცხოვილი  
პოზნეტის ლილი ღომესტიკოსი —  
გრიგორ გაგურიანის ქა ----- 29  
ივანე ვერიება  
„ქართველი ქრის ისტორია“ —  
ივანე ჯავახიშვილის ნაკრძალის ხუთომეტები 36

**38****62****74****45****66****48**

## სახელი

**ოქთაბერძოւთა ისტორია**

დუელი — სიკედილი დინსაგის

სახელი 38

**ახალი ამავი**

რომის კოლიზეუმის რესტავრაციას

პიზენესანი ავინანსებას 45

**ცაჟანის ბიბი**

სტეპან ბარევა — კაცი, რომელიც

იმპერიისთვის სიკედილის უმდგენაც

საშოთია... 48

**ხელისხმელი რავა**

ლაშქრობათა დასაფინის — პირველი

ჯვაროსნები 54

**მოსალ კაბაპი**

კლიმატი — ციცილიზაციების

„მკვლელი“ 62

**საბჭოთა ესპერის შავი სამარავი**

ტრიცის განვითარება 66

**ცხოვრის**

დიმა ერისთავი: დედა მშვიდეობდა,

ქადაგდინან სარო... 74

**ქარის**

„იცოდე ფარსული, თუ გსურს, მომავალი

გორედეს“ 79

**„ისტორიისი“ ბავშვებისთვის**

500 ფაქტი ისტორიიდან 82

სპანიელი 90

հՀԵՂԱՎԹՈՒՆ ԵՅԿՈ

ძველი ობილისის ტერიტორიაზე პირველი მოსახლეობა დღვევანდველი აბანოუბინის მიდამოებში გაჩნდა. V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს დაწყო კალას ციხის ქვედა ტერასის ათვისება, მდინარუ წყაკისსა და აყანანათხევს შორის.

თბილისის ძირითად ნაწილს კალა წარმადგენ-  
და, რომელიც მძღვარი გაღავნით იყო შემოზღუ-  
დული. მისი სიგრძე 2 200 მეტრს აღემატებოდა.  
ქალაქის კვლევის სამხრეთი ნაწილი იწყებოდა მდი-  
ნარე მტკვართან და მაუყვებოდა წაგვისის სწყლის  
ღრმა ხეობის მარცხნა კლდოვან ნაწილს. გალავა-  
ნი ნარიყალამდე უწევდა, იქიდან აღმოსავლეთის-  
კენ შემართულიდა სოლოლაკის ქედის ტეხილ ხაზ  
ზე. ამ კვდლის ნანგრევები დღემდე შემორჩენილი  
დაას. დღევანდელი ქართლის დედის ძეგლის მიდა-  
მოებში აღმართული იყო მძღვარი ბასტიონი, რო-  
მელსაც გვიან შუა საუკუნეებში შაპტახტის სახელ-  
წოდებით იცნობდნენ. შაპტახტის ბასტიონიდან ქა-  
ლაქის კედელი მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთის-  
კენ, სოლოლაკის მთიან ფერდობზე საფეხურებრი-  
გად ეშვებოდა და მიუვებოდა დღევანდელი დადი-  
ანისა და პუშკინის ქუჩების ხაზს. პუშკინის ქუჩის  
დასასრულს ქალაქის კედელი კიდევ ერთხელ  
მკვეთრად იცვლიდა მამართულებას და დღვანელ-  
ლი ბარათაშვილის ქუჩის პარალელურად ეშვებო-  
და მდინარე მტკვარამდე. ქალაქის ამ ნაწილში ჩა-  
მოედინებოდა ავანაანთხევი, რომლის მარჯვენა  
მხარეს აღმართული იყო ქალაქის გალავანი ბურ-  
ჯითა და კოშკით გამაგრისტებლი.

XIX საუკუნის დასაწყისში მეფის რესერთის მა-  
ერ ქალაქის რეკონსტრუირებისას, გალავნის ის ნა-  
წილი, რომელიც თბილის გარს უვლიდა, დაან-  
გრიეს. დღეს მიმდინარე არქეოლოგიურმა გათ-  
ხრებმა კი უნიკალური ფენები გამოამზეურა. ჩვენ  
კევდებით როგორც ადრეულ, ასევე X-XII საუ-  
კუნის ფენებს. ჟავე თვალნათლივ ჩანს თვად გა-  
ლავნის კონფიგურაცია, მასშტაბები, ბურჯების  
დაშორება და მოვალეობა. ყოველივე ეს კი დე-  
დაქალაქის ისტორიის აღსაღენად უძირიშვასეთ  
მასალაა. უურნალ „ისტორიანის“ მომავალ ნომ-  
რებშიც შევცდებით მოგითხოვთ ამ მნიშვნელო-  
ვან აღმოჩენათა შესახებ.

ასე რომ, ძველი თბილისი ახალ საგანგუროს  
გვთავაზობთ. ამ და მრავალ არანაკლებ საინტერესო  
სო თემებს ეძღვნება ჟურნალის ახალი ნომერი.



ქველი თგილისი ახალ  
საბანდურს გვთავაზობს. მათ  
შესახებ „ისტორიანის“ მომავალ  
ნომრებშიც მოგიიღებობთ...

ისტორიულ-შემცინებითი ჟურნალი  
„ისტორიანი“

## მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

## რედაქტორი გელა გურგენიძე

## სტილისტი-რედაქტორი ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:  
ალექსანდრე ბომიშვილი  
ოქროპირ ჯოქური  
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:  
ნანა მაჭავარიან  
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებიძის ქ. №49  
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განცოფილება  
ტელ.: 237-78-07, 238-78-70  
e-mail: istoriani@palitra.ge

## ურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადატეჭდვა აკრძალულია.

ქურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და  
წიგნების გაფრცელების სააგენტოს „ელვა-ჯო“.  
**ტელ:** 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

## „ნედლი წილადი“ სამხრეთი პოლუსიდან ანტარქტიდაზე პალმები და ბაობაბები!

ანტარქტიდაზე ოდესძაც  
პალმები და ბაობაბები  
ხარობდნენ. მეცნიერებმა ამის  
მტკიცებულებებს  
ტერიტორიას გეოლოგიური  
შრების შესწავლის შემდეგ  
მიაკვლიერ. მცენარეების  
მტკრისა და სპორების, ასევე  
ერთუჯრედიანი ორგანიზმების  
ნარჩენებმა მკვლევრებს  
საშუალება მისცა  
წარმოედგინათ, როგორი  
კლიმატი იყო ანტარქტიდაზე  
ჩვ მილიონი წლის წინ  
(კაინოზოური ერის ადრეული  
ეცენის ეპოქა).



კვლევის შედეგებით, რომელიც ჟურნალ Nature-ში გამოქვენდა, ზამთარში ანტარქტიდაზე ტემპერატურა +10 გრადუსს უდრიდა ცელსიუსით, ზაფხულობით კი +25 გრადუსამდე ადიოდა. ათეულობით მილიონი წლის წინ კონტინენტზე სუბტროპიკული ჰავა მეფობდა. გამყინვარებამ, რომელიც 34 მილიონი წლის წინ დაიწყო, ცხოველთა და მცენარეთა ნარჩენების დიდი ურავლესობა, რომელთაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლოთ, გაანადგურა.

საჭირო მასალების მოსაპოვებლად აუცილებელი იყო ყინულის სქელი ფენის გაჭრა, რაც მარტივი არ არის. სირთულეების მიუხედავად, სპეციალისტებმა, ვინც მსოფლიო ოკე-

ანის შესწავლის გაერთიანებულ პროგრამაშია ჩართული, მოახერხეს ერცენის ეპოქის „ძირამდე“ ჩასვლა. ამისთვის მათ ანტარქტიდის სანაპიროსთან 4-კილომეტრიანი ჭაბურღლის გაკეთება მოუხდათ. სწორედ ამ დროს ამოცება სინჯეს პალმის და ასევე, კიდევ ერთი მცენარის მტკრი, რომელიც თანამედროვე ბაობაბისა და მაკადამიის (ავსტრალიური კაკალი) მსგავსია.

სწორედ ამ მასალების შესწავლით დადგინდა, რომ კონტინენტის სანაპირო ზოლში პალმები იზრდებოდა, ხოლო პოლუსთან ახლოს — წიფელი და წიწვოვანები.

**National Geographic-ისა და BBC-ის  
მასალების მიხედვით**





გრაგნილის  
ფრაგმენტების  
წარმომავლობა  
ეგვიპტოლოგმა  
ჯონ ტეილორმა  
შემთხვევით  
დააღვინა

## ეგვიპტური ეკვდართა წიგნი ავსტრალიაში

ავსტრალიაში, კვინსლენდის მუზეუმში პა-  
პირუსის ფრაგმენტებს მიაკვლიეს, რომელიც  
ერთ-ერთი ეგველაზე ცნობილი ეგვიპტელის,  
ამენპოტეპის, ჰაპუს ძის, სარიტუალო დაკ-  
რძალვას შექმნა.

გრაგნილის ფრაგმენტების წარმომავლო-  
ბა ეგვიპტოლოგმა ჯონ ტეილორმა შემთხვე-  
ვით დაადგინა. მკვდევრის უურადღება დო-  
კუმენტებმა მიიქცა, რომელიც ბრიტანეთის  
მუზეუმის მუზიასთან ერთად გამოიფინა. მა-  
ნამდე ისინი საცავში ინახობოდა.

ავსტრალიაში ჩასულმა ტეილორმა, რო-  
მელიც კვინსლენდში გამოფენილ ბრიტანეთის  
მუზეუმის მუმიას ახლდა, აღმოჩნდა, რომ ეს  
დოკუმენტები მკვდართა წიგნის ფრაგმენტებს  
წარმოადგენდა. ანუ ჰაპირუსს სარიტუალო  
დაკრძალვის ტექსტით, რომელსაც გარდაც-  
ვლილს სარკიფაგში ატანდნენ.

ამენპოტეპის მკვდართა წიგნის ცალკეუ-  
ლი ფრაგმენტი მსოფლიოს სხვადასხვა მუ-  
ზეუმში ინახება. მათ შორის ბოსტონის მუზე-  
უმში, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმ-  
სა და ბრიტანეთის მუზეუმში. კვინსლენდის  
კოლექციაში დაცულ ნაწილზე კი აქამდე არა-  
უერი იყო ცნობილი.

ეს ფრაგმენტები მუზეუმს კრძო კოლექ-  
ციონერმა 1913 წელს აჩუქა. გრაგნილი ოცი

მეტრის სიგრძისასა და როგორც მეცნიერები  
მიიჩნევენ, ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა. ტეი-  
ლორმა განმარტა, რომ XIX საუკუნის 90-ან  
წლებში ეგვიპტეში არტეფაქტების საყიდლად  
არაერთი კერძო პირი ჩადიოდა და მათი დიდი  
უმრავლესობა დოკუმენტირებული ამ დროშ-  
ები არ არის. მეცნიერები აღმოჩენილი ფრაგ-  
მენტის აღწერასა და გრაგნილში მისი ადგი-  
ლის პონას აპირებენ.

მკვდართა წიგნი ძეველი ეგვიპტის რელი-  
გიური ტექსტებისა და პინქების ნაკრები იყო.  
მისი დანაშნულება მკვდართა სამეფოში მოგ-  
ზაურობისას გარდაცვლილის შემწეობა გახ-  
ლდათ. ტეილორმა აღნიშნა, რომ პაპირუსი  
არა ვინმე რიგით, არამედ „ეგვიპტის ზეობის  
ხანის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მოხელეს  
ეკვთვნოდა“.

ამენპოტეპი, ძე ჰაპუსი, ძვ. წ. 1458-1425  
წლებში ცხოვრობდა და რამდენიმე პროექ-  
ტის განხორციელებას ხელმძღვანელობდა.  
მათ შორის ამენპოტეპ მესამის ტაძრისას ფი-  
გაში, მექნონის კოლონისას და ამონის დიდი ტაძ-  
რისას. გარდაცვალების შემდეგ ის მკურნალ-  
თა მფარველად მიიჩნეოდა, ხოლო მოგვიანე-  
ბით გააღმეროულები.

**მომზადებულია Agence France-  
Presse-ის მასალების მიხედვით**



## მატერიალური კულტურის „მარტივი კონცენტრაციები“

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონზე ოც წელიწადზე მეტხანს მუშაობდა ცნობილ ქართველ ეთნოლოგთა ჯგუფი. უნიკალურმა ნივთიერმა და საილუსტრაციო მასალამ მუზეუმის საგანძურიდან და ფონდებიდან მკითხველის თაროებზე „გადმოინაცვლა“. თუმცა მას ვერც ლექსიკონს ვუწოდებთ და ვერც ენციკლოპედიურ ცნობარს. ეს უფრო ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი ნაშრომია, რომელიც ქართული მატერიალური კულტურის ფართო და მრავალმხრივ სპექტრს აერთიანებს.

**როინ მეტრეველი (ისტორიკოსი, აკადემიკოსი):** — მატერიალური კულტურის სფეროს სათანადო ადგილი დაეთმო ქართულ ენციკლოპედიაში. მაგრამ მისგან განსხვავებით, ლექსიკონი არჩეულ თემებს უფრო სპეციფიკურად, ფართოდ და მრავალმხრივ აშენებს.

**ლავით ლორთიშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი):** — თითოეული ტერმინი ლექსიკონში ნათლადაა განმარტებული. გათვალისწინებულია აუცილებელი პირობები — ნივთის

ბის განვლილმა გზაშ უნდა დაადასტუროს. ნაშრომში თავი მოიყარა მატერიალური კულტურის წრეში შემაგალ ტერმინთა უდიდესმა უმრავლესობაში. უნიკალური ნივთიერი და საილუსტრაციო მასალა გამოუიყენება, რომელმაც ეროვნული მუზეუმის ფონდებში ჯერ კადვა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწყო შემოსვლა. ეს არის ექსპონატები და მხატვრულ-დოკუმენტური ჩანახატები, შესრულებული ქართველი, გერმანელი, ფრანგი, ებრაელი და რუსი მხატვრების მიერ.

\* \* \*

მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს ერთ-ერთი „თემა“ ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონიდან:

### არღანი

(აუტორი მანანა შილაკაძე)

არღანი — მექანიკური საკრავი, ხელით სატარებელი ორგანის სახეობა. კუთი, რომელშიც განთავსებულია ჟღერადი მილაკები ერთ ან რამდენიმე რიგად. აქვს საბერველი და ხის ან ლითონის ნემსებიანი ლილგავი, რომელიც მოძრაობაში მოდის კუთის გარეთ მდებარე სახელურის ტრიალით. ამ დროს ნემსები ზება სპეციალურ მექანიზმს, უშვებს ჰაერს ზედა მილებთან, იმავდროულად ამოქმედდება საბერველი და მექანიკურად ხდება აუღერება.

ერთ ცალკე ლილგავზე თავდაპირველად ერთ ნაწარმოება (პიესა, სიმღერა, საცეკვაო) იყო ჩაწერილი. ამიტომ ყოველ არღანს რამდენიმე ლილგავი ჰქონდა. მოგვიანებით, ტექნიკური სრულყოფის (ნემსების სპირალურად განლაგება) შედეგად მოხერხდა ერთ ლილგავზე რამდე-



ფუნქცია, მასალა, გამოყენებითი დანიშნულება, ნივთიან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

**ელდარ ნადირაძე (ეთნოლოგი, პროფესორი, პროფესიის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი):** — თუ ქვეყნას პრეტენზია აქვს, დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედ მისინეოდეს, პირველ ყოვლისა, ეს ამ ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრე-

ნიმე მცირე ზომის ნაწარმოების განთავსებაც.

ეს მექანიკური საკრავი — ხელით სატარებელი ორგანი საფრანგეთში გაჩნდა XVII საუკუნის ბოლოს და გერმანიაშიც გავრცელდა. მალე ის მოხეტიალე მუსიკოსების ინსტრუმენტად იქცა. XIX საუკუნის ბოლოს ნემსიანი ლილგაკები ლითონის დეტალებით შეიცვალა. ამ სრულყოფას შედეგად შესაძლებელი გახდა პოპულარული სიმღერების, ცეკვების, ოპერებიდან ნაწყვეტების ჩაწერაც კი. რუსეთში ეს მექანიკური საკრავი XIX საუკუნის დასაწყისში შემოიდა და შარმანკას სახელწოდებით გავრცელდა. სახელწოდება წარმოდგება ფრანგული ხალხური სიმღერის დასაწყისის სიტყვებიდან („მშვინიერი კატერინა“), რომელიც პირველად გაისმა ამ საკრავიდან.

არღანი მალე გახდა პოპულარული და მასზე შესრულებული ნაწარმოებები (რუსული და კროპული სიმღერები, ოპერებიდან ნაწყვეტები) ქალაქური ფოლკლორის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. დაიწყეს მასზე ახალი, ქალაქური სიმღერების (აღმოსავლურ მოტივებზე) ჩაწერა და აქცეურება. შეიქმნა ე.წ. თბილისური რეპერტუარი.

არღნები შემოდიოდა ძირითადად რუსეთიდან, განსაკუთრებით ცნობილი იყო ოდესის არღნები. მასზე კეთდებოდა წარწერები („შენც დაუკარ“, „შენც დაუკარ გოგოჯან“ და შევავსი). თბილისში გაჩნდნენ არღნის ოსტატები, მეარღნები. არღნისადმი საზოგადოების დამოკიდებულება არ იყო ერთგაროვანი. მისი ერთი ნაწილი საქაოდ ნებატიურად აფასებ-



და ამ გახალხურებულ საკრავს და მასში ქართველების მუსიკალური გემოვნების შერწყმის საფრთხეს ხედავდა. ეს განწყობა აისახა კოდეც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში.

**P.S. აქვე დავძენით, რომ ლექსიკონი, სამწუხაროდ, ძალიან მცირე ტირაჟით (200 გზემდებარი) დაიბეჭდა და შეიძლება ითქვას, უკვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.**

**ნოდარ მოგიტაშვილი**

## უძველეს ასანოს ქვისა და თიხისგან ამზადებდნენ

ეპრაელი მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ მცირე წნის წინ აღმოჩენილი, თიხისა და ქვისგან დაშაადგებული ცოლიხდრის ფორმის უცნაური ნაკეთობები სხვა არაფერია, თუ არა უძველესი ასანო. მათი არსებობის შესახებ ცნობილი აქამდეც იყო, თუმცა მათ განიხილავდნენ, როგორც ფალისის უძველეს სარიტუალო სიმბოლიკას.

ახლა ექსპერტები სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ იმას, როგორ შეიძლებოდა ამ საგნების გამოყენება. ახალი პიპოფების თანახმად, ეს საგნები, რომელსაც არქეოლოგიურ ძეგლ შარ პაგოლანის ტერიტორიაზე მიაკვლიეს, ნეოლითის ხნის ადამიანებს ცეცხლის გაჩადების საშუალებას აძლევდა —

წნევლებს ხეში დებდნენ და ხახუნისგან ნაპერწკლის წარმოსაქმნელად სწრაფად ატრიალებდნენ.

**მომზადებულია BBC-ის მასალების მიხდვით**



## ნაკოვნი განძი სახლის წინა კატრონს ეკუთვნის?!



დიუსელდორფის მიწების სასამართლომ გერმანელს, რომელმაც საკუთარ სახლში სამალაქი იპოვა, ნაპოვნი განძის სახლის ძველი მფლობელისთვის გადაცემა დააკისრა.

ახალმა მფლობელმა 304 ათას გერმანულ მარკას შინ, რემონტის დაწყების შემდეგ, კაფე-ელის ღუმელში მიაგნო. მართალია, გერმანული მარკა 2002 წლის 1-ელი იანვრიდან, ვეროს შემოზღების შემდეგ, გადახდის კანონიერი საშუალება აღარ არის, მაგრამ გერმანიის მთავარი ბანკი მას შეუზღუდვად ცვლის ვეროზე, კურსით 1 ვერო — 1,95583 მარკა.

სასამართლოში სარჩელი სახლის ძეგლმა მექატრონექმ მას შემდეგ შეიტანა, რაც ამ აღმოჩენის შესახებ შეიტყო. ძველი მფლობელი ამტკიცებდა, რომ ფული მის ოჯახს ეკუთვნოდა და სასამართლოზე ამის დამტკიცებაც შეძლო. თუკი სახლის ახალი მეპატრონე

დაამტკიცებდა, რომ 304 ათასი გერმანული მარკის ჭუშმარიტი მფლობელის დადგენა შეუძლებელია, თანხა სრულად დარჩებოდა.

სასამართლოზე გაირკვა, რომ მომზიფანის მდიდარმა, 1993 წელს გარდაცვლილმა ნათუ-სავმა, სიკეთილის წინ წარმოთქვა ფრაზა: „არი-ან ადამიანები, რომლებიც ფულს ბუხარში ნახ-ავენ“. დადასტურდა, რომ ამ სახლში, 2008 წლამდე, ანუ ვიღრე მას გაყიდვნენ, მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა. სასამართლომ მტკიცებულებები დამაჯერებლად მიჩნია.

დიუსელდორფის მიწების სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახლის ახალი მფლობელი ჯილდოს სახით 5 ათას ვეროს მიიღებს. მის მიერ ნაპოვნი განძის ღირებულება დაახლოებით 146 ათასი ვერო.

**მომზადებულია Stern.de-ს  
მასალების მიხედვით**

## უძველესი ევროპელები აბატი კრისტის ქალაქილა

აგატა კრისტის ქალაქ ტორკიში, კენტის მდგვიმეში თანამედროვე ადამიანის ზედა ყბის ძეგლს მიაკვლიერ, რომელიც სპეციალისტთა



ვარაუდით, შესაძლოა, ევროპაში თანამედროვე ადამიანის ყველაზე ძველი ნიმუში იყოს. თუმცა გაირკვა, რომ ყბის ძელის ზუსტი დათარიღება შეუძლებელია, რადგან გათხრები დაუდევრად მიმდინარეობდა და არტეფაქტი დაზიანდა.

კენტის მდგვიმე რამდენჯერმე გაითხარა. პირველად 1820 წელს. 1927 წელს კი, ადგილობრივი მუზეუმის კურატორმა ართერ ოგილვიმ ყბის ძელის ფრაგმენტი აღმოაჩინა, რომელზეც სამი კბილი იყო შერჩენილი. 1989 წელს, ოქსფორდის ლაბორატორიაში რადიოკარბონული დათარიღების მეთოდით დაადგინეს, რომ იგი დაახლოებით 35 ათასი წლისაა. ოქსფორდის

უნივერსიტეტის პროფესორმა ტომას პაიემა და მისმა კოლეგებმა შარშან ხელახლა შეაფახეს და ყბის ძელის ასკი დაახლოებით 41-44 ათასი წელიწადი აღმოჩნდა. იმავდროულად, ანთროპოლოგები მუზიდნენ დასკვნამდე, რომ ეს თანამედროვე ტიპის ადამიანის კბილებია.

ეს ნიმუში, რომ ევროპაში თანამედროვე ადამიანი გაცილებით ადრე და სწრაფად განსახლდა, ვიდრე აქმდე ფიქრობდნენ და რომ ნეანდერტალელი და თანამედროვე ადამიანი გაცილებით დიდხანს ცხოვრობდნენ მხარდამხარ, ვიდრე აქმდე გარაუდობდნენ. გამჭვარდება იმ მკვლევრების ვარაუდი, ვინც მიიჩნევს, რომ როგორი სამუშაო იარაღები, რომელთაც ნეანდერტალელთა სადგომებში მიაკვლიერ, მათ კი არ გამოიგონეს, არამედ გონიერი ადამიანებისგან გადაიღეს. კვლევა გრძელდება და მისა შედეგები European Journal of Archaeology-ში გამოქვეყნდება.

**ScienceNOW-ს მასალების მიხედვით**

## პრეზიდენტის და პარლემენტის კონსერვაცია დასრულდა

ქართულ-ამერიკული პროექტის შესაბამისად, ბაგინეთის არქეოლოგიური მონაკვეთი ნაყარი მიწისგან და მცენარეული საფრისგან მთლიანად გაიწმინდა, კონსერვაცია ჩაუტარდა სამეცო აბანოს, მარანსა და ქვის სარკოფაგს.

პროექტის მიხედვით, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკის ელჩთა კულტურის დაცვის ფონდის (AFCP) თანადაფინანსებით განხორციელდა, დაცვითი ხის კიბეები დამონტაჟდა კლდეებარზე, წარმართულ ტაძრისა და მარანს შორის. ძეგლის ტერიტორიაზე განთავსდა საინფორმაციო დაფები და მოქმედ ბილიკები.

იმავდროულად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ბაგინეთში განხორციელდა დედოფლის აბანოს, წარმართული ტაძრის, ორსენაკიანი

ნაგებობის, სვეტებიანი დარბაზისა და ერთნავიანი ეკლესიის კონსერვაცია.

დასრულდა ანტიკური ხანის სამეფო კომპლექსის არქეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოებიც. 400 კვადრატული მეტრის ტერიტორიის შესწავლისას სპეციალისტებმა ქვათლილებით ნაგები სათავსის ნაშთს მიაკვლიერა.

ამას გარდა, ორსენაკიანი ნაგებობის ჩრდილოეთით, აღმოჩენილია ქვითა და ალიზით ნაგები და კრამიტით გადახურული ქვესი სახლი (II-III სს.) და ქვატებილებითა და ქვათლილებით ნაგები ორი სახლი (IV-V სს.). კვლევისას აღმოჩნდა II-III საუკუნეებით დათარიღებული კერამიკული მასალაც: სანელსაცხებლის, ჩაფისა და ხელადის ფრაგმენტები. სამუშაოები საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ცენტრმა შეასრულა.

**„ოსტორიანი“**



დონორები  
და  
მეცნიერები  
მიღებულ  
შეღვევების  
უცხოებას



სარჯლის ფეხის გარსაკრავები. კერცხლი, ბაგინეთი



**talizi**  
თმის გადანერგვის ცენტრი

ტარგათის 27. ტელ: 2141515

**WWW.TALIZI.GE**

# შავი გაგის როიათასწლიანი რეცეპტორი

დანამდვილებით ცნობილი არ არის, რამდენად ძლიერმოქმედი იყო შავი მაგიის წყველა, რომელსაც ძველი რომაელები მიმართავდნენ. მაგრამ თუ მათ ათასეუთასი წლის შემდეგაც მოაღწიეს ჩვენამდე, როგორც ჩანს, თვით რომაელებს ისინი „ჩამოსაწერად“ სულაც არ მიაჩნდათ ესპანეთში, სარაგოსის უნივერსიტეტის პროფესორმა სელია სანხეს ნატალიასმა ტყვიის ორი ფირფიტა გაშიფრა. როგორც გაირკვა, მათ სწორედ შავი მაგიის რიტუალებისთვის იყენებდნენ.

ფირფიტები, რომელიც სულ მცირე 1600 წლისაა, იტალიაში, ბოლონიის არქეოლოგიური მუზეუმის საცვჭში XIX საუკუნიდან ინახებოდა, თუმცა მათი შინაარსი უცნობი იყო.

პროფესორი ნატალიასი აღნიშნავს, რომ ორივე არტეფაქტზე გამოსახულია ღვთაება, წინასწარი დასკვნებით, მთვარის შუქის ქალღმერთი ჰეკატა.

რომის მოქალაქებმა სენატორ ფისტისა და კეტერინარ პორსელოს დაწყვლა ღჯაბითურთ, მთვარის შუქის ქალღმერთ ჰეკატას „დაუკუთხეს“

ქალღმერთის თავიდან გველი გამოდის, რაც მეცნიერის აზრით ნიშნავს, რომ წყველის აღსრულების იარაღად სწორედ ეს ქვეწარმავალი იგულისხმებოდა.

პირველი წყველის სამიზნე სენატორი იყო, სახელად ფისტი. წყველის მიზანი კი მისი კოდურების სრული დაშლა.


მეორე წყველის ადრესატი ვეტერინარი პორსელო და მისი ოჯახი გახლდათ.

ორივე ფირფიტა ლათინურად არის დაწერილი სხვადასხვა ადამიანის მიერ.

თვად წყველის ობიექტები მათხე მუმიებად არიან გამოსახული, გულზე ხელდაკრეფილი. თიორეულ მსხვერპლს ორივე ხელზე საკუთარი სახელი აქვს ამოტვიფრული.

სელია სანხეს ნატალიასი ამბობს, რომ ამ ტიპის წყველა რომის იმპერიის გვიანდელ პერიოდში ფართოდ იყო გვრცელებული.

**მომზადებულია LiveScience-ის  
მასალების მიხედვით**





## ქველი გალავნის „ახალი სიცოცხლე“

თბილისის ცენტრში ქველი კელელი და დიდის  
კარი დია ცის ქვეშ მუზეუმად ჩადაიწევა

თბილისის ძეგლი გალავნისა და სამი გოდოლის ნაშთები: შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევი რამდენიმე არქეოლოგიური შრე, გალავნში ჩატანებული ქვა არაპელი წარწერით, წინასწარი მონაცემებით XIII-XIV საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ჭურჭლის ფრაგმენტები, განვითარებული შუა საუკუნეების მინის სამაჯურები და სპილენძის რამდენიმე მოზეტა, ერთი, საკარაულოდ, თამარ მეფის დროინდელი — ასე გამოიყერება იმ ძეგლებისა და არტეფაქტების სია, რომელსაც სპეციალისტებმა დედაქალაქის შუაგულში, კურცხლისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში მიაკვლიერს.

თბილისის ამ ერთ-ერთ უძველეს უბანში შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოები ორი თვეა მიმდინარეობს. ძეგლი გალავნის ნაშთებს თავდაპირელად მშენებლები გადააწყდნენ, სარეკონსტრუქციო და შენობათა გამაგრების სამუშაოების წარმოებისას.

ტერიტორიას არქეოლოგიურ მეთვალყურე-

ობას ახლა სპეციალისტთა მცირე ჯგუფი უწვეს. დაზერვით და გაწმენდით სამუშაოებზე ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქისტანიძის სახლობის არქეოლოგიის ცენტრის რამდენიმე თანამშრომელი და ლიქტორანტი მუშაობს.

მას შემდეგ, რაც ქელი თბილისის გალავნის ნაშთები გამოჩნდა, პუშკინისა და ეკ-



სამუშაოები ციხის გოდოლებს შორის მიმდინარეობს კოფილ დიღმის ქართან



ფილაკავანითა (ქვის სახროლი მანქანა) და შურდულით  
სატყორცის საგანგებოდ დამუშავებული ქვები



დღემდე უცნობი არაბული წარწერა თბილისის  
ძელი გაღაენის კედელში



ცხლის ქუჩების კუთხეში ცნობისმოყვარეთა სიმრავლე შეიმჩნევა. ადგილობრივები თუ უცხოელი ტურისტები არქეოლოგთა შრომას თვალს კურადღებით ადგენებენ. იღებენ ფოტოებს და ჯერ მხოლოდ შორიდან ათვალიერებენ გალავნის ნანგრევებს.

მერაბ ძნელაძე (*ისტორიის დოქტორი, ეროვნული მუზეუმის თოარ ლორთქისტანის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის თანამშრომელი*): — სამუშაოების დროს ციხე-გალავნის ნაშთები გამოჩნდა. ამ გალავნის ნაწილი თავის დროზე არქიტექტორმა შოთა ფავლაშვილმა ვახუშტის რუკის მიხედვით აღადგინა. მას ჩვენ ახლა, ფაქტობრივად, 110-მეტრიანი მონაკვეთი დავუმატეთ.

გამოჩნდა სამი გოდოლი. მათგან პირველი ყველაზე დიდია და ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩების კუთხეს ქმნის. პირველ და მეორე გოდოლს შორის არის ე.წ. დიღმის კარი — ერთ-ერთი კარიბჭე ციხე-გალავნით შემოსაზღვრული თბილისისა. ალბათ აქვე იყო საბაჟოც. აქედან გადიოდნენ მცხეთისკენ და დიღმით თავისთავად უნდა გავლოთ. ისტორიული ცნობებით, დიღმის კარიდან იწყებოდა

დიღმის გზის ერთ-ერთი განშტოება. ეს კარი აკეშმირუბდა კალას გარეთუბანთან. აქვე იწყებოდა ძევლი თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგზაო არტერია, რომელიც მიუყვებოდა ვერცხლისა და ლესელიძის ქუჩების ხაზს. დიღმის კარი უკავშირდებოდა კოჯრის კარს კვირაცხოვლის (ახლანდელი ალექსანდრუ დიუმას) ქუჩით და მეიდნის, ანუ მუხრანის კარს — დღვენდელი ნიშნიანიძის ქუჩით.

დიღმის კარი ცნობილი იყო ასევე „შუა კარის“ სახელით, „ქვემო კარსა“ და „მაღლა კარს“ შორის მდებარეობის გამო.

სპეციალისტები აღნიშნავნენ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს გამოცემულ თბილისის ატლასზე კარგად ჩანს გალავნის ის მონაკვეთი, რომელსაც ვერცხლისა და პუშკინის ქუჩების კვეთაზე მიაკვლიერს. რუკაზე ასევე დატანილია ნაგებობები, ხიდები, სასახლეები და ეკლესიები თბილისში. თუმცა გალავნის ზედა ფეხა, რომელსაც მიაკვლიერ და რომელიც ვახუშტი ბატონიშვილისეულ რუკაზე ამ მონაკვეთს ასახავს, როსტომ მეფის დროინდელია. სწორედ მან დაუმატა გალავნის განჯის კარის ქვედა ნაწილიც.

ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის რუკა, XVIII საუკუნის I ნახვარი. წითლად აღნიშვნელია აღიღი, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს





თბილისის ძეგლი გაღავნის სხვადასხვა პერიოდის  
ფეხები



— ის, რაც გახუშტის რუგაზეა, ფაქტობრივად, ჩაუთვალოთ როსტომისეულ გალავნად. თუმცა გალავნის კედლების შესწავლისას აშკარად იგვეთება რამდენიმე ფეხი, აგრეთვე გამაგრების კვალიც. ჩანს, კოშკი დაიბზარა, გადაიხარა და მას გასამაგრებლად ახალი პირი შემოაკრეს. ანუ კარგად ჩანს სტრატიგორაფია — როგორ ხდებოდა გალავნის აღდგენა-გამაგრება, — აღნიშვნას მერაბ მნელაძე.

ზედა ფენისგან განსხვავებით, ქვედა შრე გაცილებით ძველია. საყრაუდოდ, არაბობის ეპოქისა. გალავნის კედლები, კარიბჭესთან გამოჩნდა ქვა არაბული წარწერით. სპეციალისტთა ინფორმაციით, გალავნის ფრაგმენტები XII-XVIII საუკუნეებით თარიღდება.

ეს არც არის გასაკირი. არა მხოლოდ განვითარებული, არამედ აღრუული შეუსაუნების პერიოდის წყაროებში, მათ შორის არაბულსა და სომხურში თბილისი კარგად გამაგრებულ ციხე-ქალაქად მოიხსენიება. თუმცა, პუშკინისა და ვერცხლის ქუჩების კუთხეში არ შეინიშნება ისეთი ძველი შრე, როგორიც ვახტანგ გორგასლისეული და დაისხეული გალავნია. ანუ, იმ დროისა, როცა დედაქალაქი მცხოვიდან თბილისში გადმოდის.

აღმოჩენილი არტეფაქტები შესასწავლად სპეციალისტებს გადაეცათ.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ამ ტერიტორიაზე არტეფაქტების სიმცირეს თავისი მიზეზები აქვს. მიუთითებენ, რომ 1801 წლის შემდეგ, როცა საქართველოს ანექსია განხორციელდა, რუსეთმა თბილისის საფორტიფიკაციო სისტემა მთლიანად დაანგრია, რომ ყველაფერი მიწის დონეზე გადასწორეს. მათ შორის ერვანძეების მოედანი. ისე, რომ არტეფაქტებიც აღარ დარჩენილიყო. ეს შეგძლებულად კეთდებოდა, რათა ქართველ კაცს სიამყინვა და პატრიოტიზმის გრძნობა აღარ დარჩენილა. ეს მხოლოდ დედაქალაქში კი არა, რეგიონებშიც მოხდა, — განმარტავს მერაბ მნელაძე

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, მიუხედავ პუშკინის ქუჩის მნიშვნელობისა, ეს მონაკვეთი ჯერ გაითხრება, შემდეგ მოხდება მისი შესწავლა და რეკონსტრუქცია-კონსერვაცია. გალავნის ფრაგმენტების ნახვა ნებისმიერ მსურველს შემოდგომიდან შეეძლება. ანუ, ძველი თბილისის გაღავნი თბილისელებისა და ტურისტებისთვის იქცევა ღია ცის ქვეშ მუზეუმად.

## თემა პალატი

# პრონაისის ბრძოლა

ამ ოშში არც აღა-მაჰმად ხანს ეთემოდა გაეარჯვებული.

უდიდესი ზარალიც განიცადა,  
მარც საქართველო დააჩოქა  
და ვერც ქართველთა მეფე  
შეიაყრო

...ახლოებებოდა საქართველოსთვის აფე-  
დითი დღე, 1795 წლის 11 სექტემბერი (ახ. სტი-  
ლით 24 სექტემბერი).

აღა-მაჰმად ხანმა 70 ათასი მეომარი შეკ-  
რიბა, მათი ნაწილი ურჩი სახანოების დასა-  
მორჩილებლად გაუშვა, თავად კი 25 ათას მებ-  
რძოლს ჩაუდგა სათავეში. ყარაბაღში ბრძო-  
ლით შევიდა და კლდეზე აგებულ შუშის ცი-  
ხეს ალყა შემორტყა. ალყა თითქმის ერთ  
თვეს გაგრძელდა. აღა-მაჰმად ხანი, როგორც  
კი კავკასიაში რუსების სარდალ გულივითან  
ფარული ურთიერთობის შედეგ დარწმუნდა,  
რომ რუსები ქართველების დახმარებას არ  
აპირებდნენ, თავისი ძირითადი ჩანაფიქრის შეს-  
რულებას შეუდგა. შეუბის ციხეს ალყა მოხ-  
სნა, განჯისა და შაქის ჯარიც შემოიერთა და  
35 ათასი მებრძოლით, გასაოცარი სისწრაფით  
წამოეიდა თბილისისკენ.

ამ დროს ერეკლე II თავად მიდიოდა ერუ-  
ნის მიმართულებით, რათა ქვეწის სამხრეთი  
საზღვრები დაეცვა. მის ლაშქარში 5 ათასი მე-  
ომარი იყო, აქედან ორი ათასამდე იმერული.  
იმერუთის მეფე, საკუთარი შვილიშვილი სო-  
ლომონ მეორეც თან ახლდა ყაზახთან მიახ-  
ლოებულ ერეკლეს. ამჯერად მისმა ერთადერ-  
თმა მოკაშირემ, ყარაბაღის ხანმა იბრაჟიშ-  
მა შეატყობინა სპარსელთა თბილისისკენ გა-  
დაადგილების ამბავი. ქართველებიც დაუყოვ-  
ნებლივ შემობრუნდნენ უკან და 6 სექტემბერს  
სოდანლუდს მოადგნენ. 7 სექტემბერს კი  
მტრის ჯარი მდინარე ხრამის ნაპირთან, წი-  
თულ (გატეხილ) ხიდს მიუახლოვდა.

ხიდს ორასი ქართველი მეომარი იცავდა,  
მტრის მრავალიც ხოვან, მეწინავე რაზმებთან



ერეკლე II

აღა-მაჰმად ხანის  
ცვალის ფიგურა თურქეთის მუზეუმში





**ქართველი მეომარი**

თავდაუწოგავი შებრძოლების შემდეგ ქართველებმა ორმოცდაათამდე დაღუპული და მძიმედ დაჭრილი მებრძოლი დატოვეს და უკან დაიხიეს.

სპარსელები ჯერ მდინარე ხრამის პირას დაბანაკდნენ, 8 სექტემბერის კი თბილისის გარდა დაძრული მათი რაზმები იაღლუჯის ქედის მი-დამოუქმი გამოჩნდნენ. აქ შეეფეთა მათ დაზერვაზე წამოსულ ქართველთა ოორმეტკაციანი რაზმი, შხვერავებმა უკან არ დაიხიეს და თერთმეტი მათგანი გმირულად შეაკვდა მტერს. რაზმის უფროსი თბილისის გარდა და მეფეს მტრის გადაადგილების ამბავი აუწყა.

თბილისის მცხოვრებთა ნაწილმა ქალაქი-

დან გახდა დაიწყო, მთიულეთისკენ გარბოდნენ სომხები, კახახის, შაშმადილუსა და ბორჩალოს მუსლიმანი მოსახლეობა.

აღა-მაპმად ხანის ჯარი თბილისიდან და-ახლოებით შეიდი კილომეტრის მოშორებით, მტკვართან ახლოს, სოღნლულის ველის განაპირას, სარგანის მნიდორზე დაბანაკდა.

9 სექტემბერს სპარსელთა ჯარის მცირე ნა-წილი სოდანლულისკნ დაიძრა, გადაადგილებას დაზერვითი ხასათი ჰქონდა. სოღნლულის ბაღებში ჩასაფრებულმა ქართველებმა მტერი ახლოს მიუშეს, მერე კი ზარბაზნისა და ოფის ცეცხლი დაყარეს, ხმალდახმალაც დაერთინებ და დიდად დაზარალებული მტრის რაზმი თავიათი ბანაგსკენ უკუაციეს.

10 სექტემბერს, სომხები მელიქების (რომ-ლებიც ერეკლეტე იყვნენ განწყვენებული და არაფრად მიაჩნდათ, რომ თავიანთი ინტერესების გამო ათასობით სომხების სიცოცხლეს აგ-დებდნენ საფრთხეში) რჩევით, თბილისზე თვე-დასხმა აღა-მაპმად ხანმა, შავნაბადას, წალა-ცურისა და თელეთის მიდამოდან თელეთის ქე-დის გადავლით, შინდის-ტაბახმელაში ასვლით, აქედან კი კრწანისის ველზე დაშვებით გადაწყვიტა, საიდანაც იოლად მიაღებოდა დედა-ქალაქის გალავნს. აქედან, თაბორის ქედით, პირდაპირ თბილისის მიდამოებშიც შეიძლებოდა მოხვედრა. ოთხი ათასამდე სპარსელი და-იძრა შინდის-ტაბახმელისკენ.

10 სექტემბერს, ერეკლეს ბრძანებით, ქართველთა ჯარის მეფის შეილიშვილი, დავით ბატონიშვილი სარდლობდა. ის არტილერიით შინდის-ტაბახმელასთან, თაბორის ქედის სამხრეთის ფერდობებზე იყო გამაგრებული.

ბრძოლა აქ დაიწყო და ქვემოთ, კრწანისის ველის შედარებით ვაკიან აღგილებში გა-დაინაცვლა, საყარაულოდ იქ, სადაც ახლა ყოფილი სამიაცრობო აგარაკებია.

ხელჩართულ ბრძოლაში თავად ერეკლე და სოლომონ მეორე ხაუბნენ. მეფეთა თავდადებით აღტაცებული ქართველი მებრძოლები სპარსელებს ლომებით დატოვნენ, „მტერი წინ გა-ფარეს და უკან მიჰყვნენ“. „აოტნეს მრავალნი და მრავალი სპარსი მოსრეს მას დღესა შინა“.

მტრის გადარჩენილმა მეომრებმა დღის ბოლოს უკან დაიხიეს, თელეთის ქედის გადაღმა გადავიდნენ და თავიათ ბანაკს შიაშურეს.

10 სექტემბერს, ქართველებმა გმირული გამარჯვება მოიპოვეს. მტრის დამარცხების ამბავმა თბილისელები გაახარა და იმედი ჩა-უსახა, თუმცა ეს სისარული ნაადრევი იყო.

აღა-მაკმად ხანმა იმ ღამეს გადაწყვიტა თბილისის ასაღებად შეტყვა ერთაანი ძალებით განეხორციელებინა როგორც შინდის-ტაბახმელის მხრიდან, ასევე სოლანლურიდან თბილისისკენ მიმავალი, ძნელად გადასალახი გზითაც.

11 სექტემბერს, დილის 7 საათიდან დაიწყეს სპარსელებმა თბილისზე შეტყვა. ძაღები რიცხობრივად მეტად უთანასწორო იყო. პირველი ორი დღის ბრძოლის შემდეგ სპარსელებს 33 ათასამდე მებრძოლი მაინც კუროლებოდათ. აღა-მაკმად ხანმა ლაშქარი 14 ნაწილად დაკონიარებული იყო. სპარსელთა ჯარის ნაწილებს უკან 6 ათასამდე თურქები მებრძოლი ჩაუყენა და უბრძანა, თუ ვინმე უკან დახხვდა, ვინც უნდა კოფილიყო, „მყისვე მოკლათ იგი“.

აღა-მაკმად ხანი, გარდა იმისა, რომ მთელ ჯარს მეთაურობდა, თავად ჩაუდგა სათავეში იმ კორპუსს, რომელიც ყურყეთ-სოლანლურის მხრიდან უნდა შემოსულიყო თბილისში.

ქართველთა ჯარს 11 სექტემბერს თავად ერკელე სარდლობდა. ერკელეს ერთგულნი ურჩევდნენ მეფეს, არ მიედო მონაწილეობა სელჩართულ ოში, მაგრამ ის ბოლომდე შუაგულ ბრძოლაში დარჩა და თავანწირულობისა და გმირობის მაგალითს აჩვენებდა.

თბილისის დამცველთა რაოდენობა 6 ათასს არ აღემატებოდა.

დაცვის მარჯვენა შხარეს დავთ ბატონიშვილი სარდლობდა. მას მტერი, წინა დღის მსგავსად, შინდის-ტაბახმელის მიდამოდან კრწანისისკენ, სოლოლაკისა და თაბორის ქედის ჩრდილოეთი მხარის ფერდობებისაკენ არ უნდა გაემდა.

დავითი თაბორის ქედის სამხრეთ ფერდო-

ბებზე გამაგრდა 6 ზარბაზნითა და 400 მეომრით. მეტინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი ედგა სათავეში. თბილის იცავდნენ იოანე მუხრანბატონის, ოთარ ამილახერის, ვახტანგ ბატონიშვილის რაზმები, იმერლები ზურაბ წერეთლის მეთაურობით.

ერკელე, ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გარდა, იცავდა თბილისისკენ სეიდაბადის გავლით მიმავალ ცენტრალურ გზას. როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან ჩნდა, ერკელე ამ ადგილებში შემაღლებულ ფერდობზე ავიდა თავისი რაზმით და იქიდან აკონტროლებდა ბრძოლის ველს.

სოლომონ მეორე და მისი ხუთასი იმერული მეორარი თბილისის გალავანობან, აბანოს კარის მიდამოებში დააყენა მეფემ, რათა საჭიროების შემთხვევაში თაბორის ქედის ფერდობებზე განლაგებულ მეზარბაზნებს მიხმარებოდნენ.

თბილისის დამცველებს 35 ზარბაზნი ჰქონიათ. მეზარბაზნიც გამოცდილი იყვნენ, მათი რაოდენობაც საკმარისი იყო, ერკელე არტილერიას დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ „ზარბაზნის დამცველი ჯარი“, რომელთაც ზარბაზნის გადატენის დროს უნდა დაეცვათ არტილერისტები, რიცხობრივად ძალიან მცირე იყო. მეზარბაზნებს თავად უხდებოდათ ხმალდახმალ ბრძოლა.

აღა-მაკმად ხანმა შინდის-ტაბახმელისკენ 5 ათასამდე მებრძოლი გაუშვა, მათ ერთგული სარდლები ჩაუყენა სათავეში, თავად კი სპარსელთა ძირითადი ჯარით, სოლანლურიდან მიმავალი გზით თბილისისკენ დაიძრა. შინდის-ტაბახმელადან დაშვებული და ყურყეთა-სოლანლურიდან შემოსული სპარსელები

1795 წლის კრწანისის ბრძოლა, ბორის რომანოვი, 1939 წ.



კრწანისის ველზე უნდა გაერთიანებულიყვნენ.

თულეთის ქედის ბოლოს, ვიწრო გზის დასწეულისში (სავარაუდო იქ, სადაც ამჟამად მარნეულისა და რუსთავის საავტომობილო გზები იყოფა), მთიან ადგილებში ჩასაფრებულმა ქართველთა მეწინავე რაზმის მებრძოლებმა თოფის ცეცხლი გახსნეს და ასობით თანამებრძოლი მოუქლეს შაპს.

შეშფოთდა აღა-მაპმად ხანი, მიხედა, რომ აქედან გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, მაგრამ უკან არ დაიხია, ცხენი ადიდებული მტკვრისკენ შემოაბრუნა და მდინარე გადაცურა, მას უკან სამი ათასამდე მებრძოლი მიჰყა. სამასამდე სპარსელი ადიდებულ მდინარეში დაიხრო. შაპი ნავთლუების მხარეს გადავიდა, აქედან განაგრძო გზა თბილისისკენ, დაათვალიერა თელეთის ქედის ფერდობები და ქართველთა ჯარის სამცირეში დარწმუნდა.

ქართველი მეწინავე მებრძოლინი ამ მანევრმა დააბინა, ისინი ალყაში მოქცევას მოერიდნენ, წინა სანგრები დატოვეს და კრწანისის ველისკენ დაიხიეს. ასე რომ, თბილისისკენ მიმავალი ვიწრო გზა გათავსისუფლდა და სპარსელებმა თავისუფლად დაიწყეს გადადგილება. შაპი კი მოღალატეთა მიერ ნაჩვენები ფონით, ორთაჭალის მიდამოდან იოლად გადავიდა მტკვრის მეორე მხარეს და სოღანლულიდან ვიწრო, საქარავნე გზით შემოსულ თავის ძირითად რაზმებს შეუერთდა.

თბილისის დაცვის მარჯვენა მხარეს, შინდის-ტაბახმელასთან, გმირულად იბრძოლენენ დავით ბატონიშვილი და მისი მეომრები. ქართველებმა მრავალრიცხოვანი მტრის შემოტევას ვერ გაუძლეს. დავითმა ზარბაზნები ხევში გადაყარა და ბრძოლის ველი დატოვა.

კრწანისის ველზე სპარსელია ერთიანი შეტევა დაიწყო, ისინი ახლა ყოველი მხრიდან თავისუფლად მოიწვედნენ თბილისისკენ. ამინდი დალიდანვე ღრუბლიანი, ნისლიანი და წვიმიანი იყო. მალე ნისლი გადაიყარა და სპარსელებს თვალწინ გადაეშალათ ქართველთა პოზიციები. თბილისის დამცველები ალყაში ექცეოდნენ.

ქართველებმა უკან, მესამე სანგრისკენ დაიხიეს. ერეკლე თავისი მებრძოლებით შემაღლებულ ადგილიდან დაეშვა, სპარსელთა მოწინავე რაზმის ალყაში მოქცევა ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მტრის სამრავლის გამო, მეფეს ველია, თენდაც ძალიან გონივრული ჩანაფიქრის განხორციელებაც კი გაუჭირდებოდა.

სპარსელები თოფის სროლით მიიწვედნენ



წინ, შემდეგ შემაღლებული ადგილებიდან ზარბაზნის ცეცხლიც გახსნეს. ქართველებიც არ უშინდებოდნენ მტერს, ძალას არ იშურებდნენ, ერთი ათს ებრძოდა. აღა-მაპმად ხანის ცხენს ზარბაზნის ტყევია მოხვდა და ქართველთა დაუძინებელი მტერი ატალახებულ მიწაზე გაგორდა. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ბრძოლის ბედი, ტყევია ცხენს კი არა, მის პატრონს რომ მოხვედროდა.

აბანოთუბანთან მდგარი იმერლები ადგილების უცოდინრობის გამო დაიძნენ, როცა სპარსელები იქ დაინახეს, სადაც არ ელოდ-



ძველი თბილისის გრაფიურა, გერმანული გამომცემლის, იაზეფ მიურის (1796–1856) გრაფიურების  
ატლანტიდან Meyers Universum-ი, რომელიც 1856 წელს გამოაქვენა პილატურგპაუზის (გერმანია)  
ბიბლიოგრაფიულმა ონსტიტუტმა

ნენ, ამასთან, ერეკლეს მიერ მათთან გამოგზავნილი შიკრიკიც გზაში აჩქეს სპარსელებმა. გაოგნებული იმერლები თბილისისკენ შემობრუნდნენ და დიღმის კარით ქალაქიდან გავიდნენ.

მესამე სანგრის მიდამოში „იბრძოდეს მეწინავენი მზედრობანი მეფისა საკვირვლად“. ესენი იყენებ 300 არაგველი, ფშავ-ხევსურნი, ქიზიყელნი, თბილისის მოქალაქენი, მტრის ტყვიას გადარჩნილი ქართლ-კახელი და იმერელი მეორები.

არაგველნი, ფშავ-ხევსურნი და ქიზიყელ-

ნი დაცვის ნაცვლად შეტევაზე გადავიდნენ, იქით მიიწვდნენ, სადაც აღა-მაპმად ხანი გვულებოდათ. არაგველებს შეიძლება მისი მოკვლაც ჰქონდათ დაგალებული, ეს კი ბრძოლის ქართველთა სასარგებლოდ დამთავრების ერთადერთი იმედი იყო. მაატანეს კიდეც „მაღალთა კლდიერთა გორათა“, სადაც შაპის ბანაკი იყო განლაგებული. არაგველი და ფშავ-ხევსურნი ლამის შიშველი ზელებით ეცნენ მტრის დღროშებს, შაპისკენ მიიწვდნენ, თვალწინუნადულებრივ ერთგულ მებრძოლებს, მაგრამ მტერიც უმოწყალოდ ხოცავდა ქართვე-



უწმიდესისა და უნეტარესის, სულიად  
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილა ი-ის  
წინადაღისთ 2008 წლის 27 ვინის წმინდა სინოდმა  
1795 წლის კრწანისის ოში მომწერაში 300  
არაგველი წმინდა მოწმებად შერაცხა.  
ხატმწერი შოთა ცოცაძე

ლებს. გმირულად, სიმღერით შეაკვდა მტერს  
თეატრის დასი მაჩაბელას ხელმძღვანელობით  
განადგურდა არტილერიაც, მებრძოლებიდან  
ცოტა თუ გადაუჩა სიკვდილს. გოორგი გუ-  
რამიშვილის რაზმის არტილერისტები სი-  
ცოცხლის ფასად არ დაემორჩილნენ სპარსე-  
ლებს. ერეკლეს ერთგული ორას თათარი გან-  
საჟარებული სისატყით დახოცა მტერმა. თბილისის  
დამცველთა სისხლით იყო მიწა  
მორწყელი, თუმცა იმ მიდამოში 13 ათასი  
სპარსელი მებრძოლის სისხლიც დაიღვარა.

მოსალამოვდა, კრწანისის ველზე შემოსუ-  
ლი 20 ათასზე მეტი სპარსელი უკვე დაუბრკო-  
ლებლად მოიწვედა თბილისისკნ, დანარჩენები  
კი მოუბიდან არტყამზნენ აღყას ქართველებს.

ერეკლე თითქმის ერთ საათს აკავებდა  
მტერს მესამე სანგართან, მერე ბრძოლით მე-  
ოთხე სანგრისეკე გადაინაცვლა (დაახლოე-  
ბით იქ, სადაც ახლა სამასი არაგველის მე-  
მორიალია) და აქედან ფეხის მოცვლას ცოც-  
ხალი თავით არ აპირებდა. კახტანგ და ოიანე  
ბატონიშვილებმა აღყა გაარღვიეს და ერეკ-

ლეს გადასარჩენად გამოეშურნენ. ის იყო, უნ-  
და შეეყროთ ერეკლე, რომ ითანე ბატონიშ-  
ვილმა „აღმატებულით და საკვირველითა გუ-  
ლოვნებითა და სიმწხვით“, ერეკლეს გარშე-  
მო მგლის ხროვასაცით შესეული სპარსელე-  
ბი „უკან აქცივნა და განარინა ხელთაგან მათ-  
თაგან მეფე“. ერთგული თანამებრძოლები  
გარს შემოურტყენ ერეკლეს და თანდათან უკან  
დახვა დაიწყეს. ძალით გაპყავდათ ის ბრძო-  
ლის ველიდან. დამარცხებას მტრისთვის თა-  
ვის შეკვლა ერჩივნა ღირსეულ მეფეს.

ერეკლე თბილისში შემოვიდა, მას სამასამ-  
დე სისხლში ამოსვერილი თანამებრძოლი შე-  
მოჰყვა. ამ დღის ერთხელ კიდევ დაიქუსა ნა-  
რიყალას ბურჯებიდან ზარბაზნებმა. ციხის-  
თავი, სომეხი აღალუა, კუმბარებს აყრიდა  
მტერს და ერეკლეს თბილისიდან გასვლას  
უადვილებდა, მაგრამ არტილერისტთა ეს რაზ-  
მიც მაღლე განადგურდა.

ერეკლე ავლაბრის ხიდით ტოვებდა თბი-  
ლის. აქ მან კიდევ ერთხელ იშიშვლა ხმალი  
და ბრძოლის ველისკნ ცხენი შემოაბრუნა,  
მაგრამ გვერდით მყოფი გარს შემოურტყენ  
და ძალით წაიყვანეს მეფე. მისი მცირე, 150-  
კაციანი რაზმი საგურამის მიმართულებით  
დაიძრა. იქ შეისვენეს, მეორე დამე დუშეთში  
გაათიეს და მესამე დღეს ავიდნენ ანანურში,  
სადაც მეფეს ოჯახის წევრები და ახლობლე-  
ბი ელოდნენ. არც ერთ ოჯახის წევრს მეფის  
დალატი გულში არ გაუვლია. ერეკლე მეორე  
დღესვე საზაო თუ საომარი მოქმედების გვგ-  
მის შემუშავებას შეუდგა.

თბილისი შემოჭრილმა სპარსელებმა და-  
უნდობლად და სასტიკად ააოხრეს, გადაწვეს,  
გაანადგურეს ქალაქი და მისი შემოგარენი. 20  
სექტემბერს აღა-მაპმად ხანმა საქართველო  
დატოვა, ათასობით ტყვე წაიყვანა და სპარსე-  
თის გზას გაუდგა.


ამ ომის გამომწვევ თუ დამარცხების მი-  
ზენებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ასევე შე-  
უძლებელია აღწერო ბრძოლის მიმდინარეო-  
ბის გველა დეტალი.

მართალია, ქართველები სასტიკად დამარ-  
ცხდნენ, მაგრამ ქვეყანა საბოლოოდ წელში  
არ გატეხილა, ქართლ-კახეის კიდევ შერჩე-  
ნოდა სიცოცხლის უნარი. არც აღა-მაპმად ხა-  
ნი გამოიყერებოდა გამარჯვებულად, მას დი-  
დი ზარალი განიცადა, ვერც საქართველო და-  
ახოქეა, ქართველთა მეფე ვერ შეიძყრო და ვერ  
შეისრულა თავისი დიდი ხნის სურვილი.

**თეითურაზ პატრიარქი**

**ისტორიის საიდუმლოებებით მოცული  
ყველაზე საინტერესო ფაქტები!**

**თვეში ერთხელ  
„კვირის პალიტრასტან“ ერთად**



**შეგრძნების ასალი დროს  
10 ტრიად**

**გაიგი, რის შესახებ  
დამს ისტორია!  
მხოლოდ ის, რაც  
ბალებს შეკითხვას...**

**508ის  
სპაციალური ფასი  
9 ლარი  
გაზრდომა ერთად  
10 ლარი**



**17-დან  
24 სეპტემბრამდე**

**შემდეგ 508ი:**

**მოაის ქადაგებები**

**შეისწავლა კაცობრიობის  
ისტორიის უღილესი საიდუმლოებანი!**

# ნოე ჩამიშვილის მემორალი თმი ნითაცი ჭუხის ნინალმაძე

ქართველია ენერგია  
ჭიდაობისას სტალინი  
ისე დაანარცხა მიზაზე,  
რომ აღგომა გაუპნელდა

ნოე რამიშვილი



ნოე რამიშვილის, გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწისა და პიროვნების შესახებ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად უკავშირდება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას. არსებული მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ ნოე რამიშვილის ბრძოლა ქართული ინტერესების დაცვისთვის სრულად გამოვლინდა მის ძლიერ ანტიბოლშვილებურ საქმიანობაში, როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში ცხოვრების დროსაც.

ნოე რამიშვილი 1900-იანი წლებიდან აქტიურად ჩაება პოლიტიკურ პროცესებში და თავიდანვე განსაკუთრებული სიმპათით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს, არა-მედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ წრე-ებშიც. რამიშვილი პირადად იცნობდა რუსეთის როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების ლიდერებს, ამ უკანასკნელებთან კი, უკვე 1903 წლიდან შეურიგებელი იდეური დაპირისპირებაც პქონდა.

ბოლშევიკერი რეჟიმის მთელი 70-წლიანი ბატონობის პერიოდში, რამე სახით ნოე რამიშვილის სახელის დადგებითად ხსენება ყოვლად შეუძლებელი იყო. მაშინ ნებისმიერი ქართველი კომუნისტისთვის იგი აღიქმებოდა როგორც კომუნისტთა წინააღმდეგ მებრძოლი, დაუძინებელი მტერი და, ამასთან ერთად, ბოლშევიზმის აქტიურ მტრებს შორის ყველაზე გამჭრიანი, ჭკვიანი და შეურიგებელი მო-

წინააღმდეგე. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკებს რამიშვილი განსაკუთრებულად სტულდათ და კიდევაც უშინოდათ მისი.

რუსმა ბოლშევიკთა ლიდერებმა ქართველ ბოლშევიკებს მოსკოვიდან მოწერილობაც გამოიუჩანეს: არ გააკაროთ სიახლოეს ნოე რამიშვილი და მისი მომხრევებით და ეს მაშინ, როდესაც ლენინის დეპუტატურინიიმისადმი ამბობდა, რომ: „Держите связи с меньшевиками типа Жордания“. განსაკუთრებული ენერგიით დაიწყო ბრძოლა ნოე რამიშვილმა ბოლშევიკების წინააღმდეგ უკვე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

როგორც ჩანს, ნოე რამიშვილის ანტიბოლშევიკური პოლიტიკა სრულებით არ შეესაბამებოდა ნოე უორდანიას პოლიტიკურ მისწრაფებსა და შეხდულებებს, რაც ხშირად მათი დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა. წმირი იყო ფაქტები, როცა ნოე რამიშვილის

მიერ დაპატიმრებული, ხოლო ქორდანიას მითითებით გათავისუფლებული ბოლშევიკები, ქორდანიას კაბინეტიდან ღიმილით გამოსული, სიამაყით აცხადებდნენ, — ჩვენ ნოე ქორდანიამ გაგვათავისუფლა, როცა პირობა მივეცით, რომ ბოლშევიკები არაყითარ წინააღმდეგობას არ გავიწევთო. მაგრამ, რა თქმა უნდა, პირობა პირობად რჩებოდა.

ქორდანიასგან განსხვავებით, განსაკუთრებულად მტრული დამოკიდებულება პქონდათ ბოლშევიკებს ნოე რამიშვილისადმი, რასაც, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის ძლიერი ანტიბოლშევიკური განწყობა განაპირობებდა. ბოლშევიკების დამოკიდებულებაზე რამიშვილისადმი საინტერესო ცნობას გვაწვდის გერიონტი ქიქოძე თავის მოგონებებში, სადაც ის წერს: „...საქართველოს გასაბჭოების მეორე დღეს, მე, მისაკო წერეთელი (ანარქისტი), გიგო ნათამე (სოციალისტ-რევოლუციონერი) და თუდო ღლონტი (ფედერალისტი) მთავრობის სასახლეში შევედით და თავდაპირველად ფილიპე მახარაძე ვინაზულეთ, ხოლო შემდგე მამია ორახელაშვილი და შალვა ელიაშვა... ფილიპე მახარაძე გვითხრა, ნოე ქორდანიას ურჩიეთ, ჯარსა და გვარდიას იარაღი დააყრევინოს, ხოლო თვითონ საბჭოთა საქართველოში დარჩეს. რაც შევხება ნოე რამიშვილს, მას გარანტიას ვერ მოვცემ, რომ თუ ზელში ჩაგვივარდა, არ დავსჯითო“.

ნოე რამიშვილისადმი მტრული დამოკი-

დებულება პქონდა სტალინსაც, რომელთა შორის დაპირისპირებაც, ჯერ კიდევ 1900-იანი წლების დასაწყისიდან გაჩნდა. საქმე ის არის, რომ რევოლუციამდელ საქართველოში სოციალ-დემოკრატის ორივე ფრაქციას შორის საჯარო პოლიტიკური დისკუსიები ხშირად იმართებოდა. რამიშვილსა და სტალინს ამ დისკუსიებზე, როგორც ოპონენტებს, ორჯერ მოუხდათ დაპირისპირება და სწორედ ამ დისკუსიებთან დაკავშირებით პქონდა სტალინს, როგორც ჩანს, ნოე რამიშვილთან „პირადი ანგარიში“.

1907 წლის შემდეგ, როდესაც ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის საბოლოო გათიშვა მოხდა, საქართველოში ასეთი დისკუსიები ხშირად ეწყობოდა. მანამდე ისინი ფორმალურად ერთ ორგანიზაციად გამოდიოდნენ, მაგრამ, ფაქტობრივად, არასოდეს პქონიათ ნამდვილი ერთიანობა.

დისკუსიები ხშირად იმართებოდა კუკიის, პეტრე-პავლეს, ვერის ახალ სასაფლაოზე, რადგან ეს ხელსაყრელი იყო კონსპირაციის თვალსაზრისით. თუ პოლიციას ვინმე გამცემი შეატყობინებდა, ადვილი იყო საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს შეკრებილი იყნენ ვინმეს პანაშვიდზე. მიუხედავად ამისა, დისკუსიათა ორგანიზატორები შორიახლოს მაინც აყინებდნენ თავიანთ ხალხს, რომელებიც საშიშროების მოახლოების შემთხვევაში მაშინვე ატყობინებდნენ დისკუსიის მო-

სტალინი  
და  
ლენინი





**სტალინი. 1902 წ.**

ნაწილებს. დისკუსიებში, რა თქმა უნდა, როგორც ბოლშევიკთა, ისე მენშევიკთა ფრაქციებს თავიანთი რჩეული წარმომადგენლები გამოჰყავდათ ხოლმე.

რამიშვილისა და სტალინის დაპირისპირებაც სწორედ ამ დისკუსიებიდან იღებს სათავეს. ისინი ერთმანეთი პირველად დაუპირისპირდნენ გურიაში (სოფელ ზიდისთავში) გამართულ დისკუსიაშე, მეორედ კი ჭათურაში (სოფელ პერევისაში). ეს ის პერიოდი იყო, როდესაც იურიევის უნივერსიტეტიდან გამორიცხვის შემდეგ რამიშვილმა გერმანიაში განაგრძო სწავლა, როგორც დავით სარაჯიშვილის სტაპენდიანტმა. ამიტომ იგი მხოლოდ ზაფხულობით ჩამოსვლისას ებმებოდა პარტიულ მუშაობაში. ორივე ეს შეხვედრა სტალინის სასტიკი დამარცხებით დამთავრებულა. განსაკუთრებული დაპირისპირება პერიოდიათ მათ მეორე შეხვედრისას. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს ქართველი ემიგრანტი შალვა ბერიშვილი: „პერევისაში დისკუსიის დამთავრების შემდეგ, ტეშმი დიდი სუფრა ყოფილა გაშლილი. სუფრასთან შემოსხდომის წინ სტალინი მისულა ნოე რამიშვილთან და ხმამაღლა, ყველას გასაგონად უთქვამს: — აბა, დამეჭიდე, თუ გაუკაცი ხარო. ყველა სმენად გადაქცეულა... — როგორ, მე დაგეჭიდო? — გაკვირვებით უკითხავს ნოე რამიშვილს. — დიახ, დიახ, თქვენ! — უპასუხებია სტალინს. ნოე რამიშვილი შეძრწუნებულა, პიჯაკი გაუხდია, ხეზე გადაუკიდია.

ამის შემდეგ ნოე რამიშვილს თვალის დახამაშებაში წამოუკიდინა სტალინი და ისე დაუნარცხებია მიწაზე, რომ მას ადგომა გასძნელებია (სხვებს წამოუყენებიათ და ისე მიუყვანიათ სუფრასთან)“.

ერთი შეხვედრით ეს სახუმარო ამბავი, როგორც ჩანს, სულაც არ იყო სახუმარო სტალინისთვის, რომელიც აგადმყოფური შურისძიების გრძნობით უხვად იყო „დაჯილდობული“. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რამიშვილის მოშორებით სტალინიც ისევე ყოფილიყო დაინტერესებული, როგორც სხვა ქართველი და რუსი ბოლშევიკთა ლიდერები.

ნოე რამიშვილთან „პირადი ანგარიშსწორება“ პერნდა ლავრენტი ბერიასაც, რომელიც რამიშვილმა ჯერ კიდევ 1920 წელს დააპატიმრა საქართველოში საბჭოთა აგენტურული საქმიანობის გამო, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანში გადასახლა.

ნოე რამიშვილის საქართველოს მტრებისა და მოღალატებისადმი დაუნდობელი იყო. ამიტომაც ასეთი დამანაშავებისთვის რამიშვილის მიერ დანიშნული ბრალმდებელი სამხედრო ტრიბუნალზე, როგორც წესი, ყოველთვის საჯელის უმაღლეს ზომას ითხოვდა. როდესაც ნოე რამიშვილის მიერ წარდგენილ ბრალდებათა საფუძველზე ტრიბუნალს ბოლშევიკი ჯაშუშისთვის საჯელის უმაღლესი ზომა გამოიპონდა, არაიშვათად საქმეში ერთდა ნოე ჟორდანია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივის საფუძველზე სასჯელს უცვლიდა ჩავარდნილ ბოლშევიკს საბჭოთა რუსეთში გადასახლებით, რაც ნოე რამიშვილის გაღიზუანებას იწვევდა.

ნოე რამიშვილის რისხვას ვერც ქართველ ბოლშევიკია ლიდერი ფილიაქ მახარაძე გადაუჩა, რომელიც ნოეს აზრით, დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობაში ნომერი პირველი პერსონა იყო. მან რამდენჯერმე სოხოვა ნოე ჟორდანიას ფილიაქს დაპატიმრებაზე სანქცია, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო. საქმე ის არის, რომ ფილიაქ მახარაძე ჟორდანიას ბაგშვიბის მეგობარი იყო, სემინარიიდან თანაკურსელები იყვნენ. ცნობილია ისიც, რომ ნოე ჟორდანია ცდილობდა გადმობირებას თუ არა, ფილიაქს განეიტრალებას მაინც. სწორედ ამ მიზნით, ჟორდანიამ მახარაძეს კარგ ხელფასიანი თანამდებობაც კი მისცა თბილისის მუნიციპალიტეტში. რამიშვილიც იძულებული იყო დაეთმო, მაგრამ როცა 1920 წელს ნოე


რამიშვილმა გაიგო, რომ მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მახარაძემ ლენინს ჩაუტანა სიყალბეჭე აგებული პასკვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაური ვითარების შესახებ (ცხადია, ამ გაყალბებული მოხსენებით ფილიპე ესტრაფოლა საბჭოთა რუსთანის პროეკტირებას საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარგვისთვის), ნოე რამიშვილის მოთმინების ფიალა აიგსო. მას ნოე ჟორდანიასთვის აღარ უთხოვაა ნება, ისე და-აპატიმრა ფილიპე მახარაძე. როდესაც ჟორდანიას გაუგია ფილიპეს დაპატიმრების ამბავი, უთქვამს, — იყოს ისე, როგორც ნოე რამიშვილს უნდა.

საყურადღებოა ისიც, რომ რამიშვილს, გარდა ბოლშევიკური საქმიანობისა, სხვა ინტერესებიც ამოძრავებდა მახარაძისადმი, კერძოდ, ის, რომ მას მახარაძე მიაჩნდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორად.

სწორედ ფილიპე მახარაძის დაპატიმრების შემდეგ დაიწყო ნოე რამიშვილმა ილიას მკვლელობის გამოძიების პროცესი. რამიშვილი მიიჩნევდა, რომ ეს გარემოება საბოლოოდ გაუტეხდა სახელს ქართველ ბოლშევიკებს საქართველოში. გამოძიება ყველა მიმართულებით ენერგიულად წარიმართა, რადგან იგი უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრის კონტროლზე იყო აყვანილი.

ქართველ ბოლშევიკთა ერთმა ჯგუფმა პროცესის ჩაშლის მიზნით განიზრახა ფილიპე მახარაძის გაქცევის მოწყობა მეტების ცინიდან. შეთქმულებმა ამ მიზნით გადაწყვიტეს ციხის უფროსის მოსყიდვა. ციხის უფროსს, რომელიც იმავდროულად, ჟორდანიას ძველი ნაცნობი იყო, საქმის ვითარება შეეტყობინებინა მისთვის. ჟორდანიას ციხის უფროსისთვის უთქვამს: „ძალიან კარგი შესაძლებლობაა ხელი გავითავისუფლოთ მახარაძისგან, რადგან მისი გასამართლება ლენინთან კონფლიქტს გვიქადის. გადაეცი მახარაძეს და მის მმაკაცებს და საქმე ისე მოაჩვნე, რომ მათ იგი გააქციეს, რაშიც მათ თითქოს შენ ქმარებოდი. მანქანას გამოგიგზავნი, ჩასვი მასთან ერთად მისი მმაკაცი და ვლადიკავკაზში გაგზავნე სასწრაფოდ ისე, რომ ნოე რამიშვილმა დრომდის არაფერი გაიგოს და შემდეგ, როგორც ბოლშევიკების ჩაწყობილი, ისე მოხსენდეს“.

ცხადია, ისეთი ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც ნოე რამიშვილი იყო, არ შეიძლება თავიდანვე ვერ მიმხვდარიყო



**ფილიპე მახარაძე**

საქმის ნამდვილ ვითარებას, მაგრამ რაღას იზამდა.

ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ილიას მკვლელობის სასამართლო პროცესზე გამოტანის დრო არახელსაყრელი იყო საქართველოსთვის, რადგან, ეს-ესაა დავდეთ ხელშეკრულება რუსთან, ჩვენ კი ვასამართლებთ

**ნოე ჟორდანია**





საქართველოს პარლამენტის სხდომა. მარჯვნივ ღლოფაში სხდან მოურობის წევრები, მათ შორის, ნოე რამიშვილი

საქართველოს კომპარტიის ლიდერს, რითაც საბჭოთა რუსეთს ვაძლევთ პროტესტის საბაბს, — ამბობდა უორდანია.

აღნიშნული ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რაოდენ ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდათ ბოლშევიკებს საქართველოში ნოე რამიშვილის სახით. ამიტომაც იყო, რომ ისინი განსაკუთრებულად ცდილობდნენ შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ რამიშვილისთვის, რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ მის „განსაკუთრებულ რაზმს“.

ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას წეოდა რამიშვილი ემიგრაციაშიც, სადაც 1922 წელს მისივე ძალის ხმევით მოხერხდა ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნა.

ემიგრაციაში ნოე რამიშვილი აქტიურად აქტევნებს პოლიტიკური სასათის წერილებს, სტატიებს, გამოსცემს წიგნებს (მაგალითად, 1924 წელს მან პარიზში გამოსცა თავისი პირველი ნამუშევარი „საქართველო და რუსეთი“; 1930 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე კი დაასრულა მუშაობა მეორე წიგნზე „დემოკრატიული სოციალიზმი“), რომლებშიც სასტიკად არის უარყოფილი ბოლშევიკური იდეოლოგია და დაგმობილია საბჭოთა რუსეთის ინტერესები კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსადმი. ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს მისი ნამუშევრების დანართის სახის გამოყენებას.

ბიდან, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბოლშევიკებისადმი რამიშვილის დამოკიდებულებაზე:

„ბოლშევიზმი სოციალიზმისგან კიდევ უფრო შორს დგას, ვინებ ეს იყო ანარქიზმი... ბოლშევიზმი სოციალიზმთან ვერ მორიგება, ერთი სხვა, მეორე სხვა, შუაში უდევს დიდი ზღვარი.“

„...რუსული კომუნიზმი უტოპიაა, თანამედროვე კულტურასთან და კაცობრიობის განვითარებასთან მას საერთო არაფერი აქვს და მხოლოდ მის დამოუკიდებას ემსახურება.“

„ბოლშევიზმი და ფაშიზმი მსოფლიო ომით გამოწვეული არევ-დარევით სულდგმულობს. მათი სტიქია ანარქია... ბოლშევიზმმა ხელი შეუწყო ფაშიზმის წარმოშობა-განვითარებას, ხოლო უკანასკნელი ახალ ნიადაგს უზრადებს კომუნიზმს. ძალდატანება და ტერორი — ასეთია მათი საერთო გზა“. ფაქტია, რომ მისი ასეთი რადიკალურად უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა იმპერიისადმი ბოლშევიკთა ძლიერ გაღიზიანებას იწვევდა.

ნოე რამიშვილის 30-წლიან პოლიტიკურ მოღვაწეობას ჰქონდა ღოგიერი დასასრული, პარტიულ კრებაზე მიმავალი, 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში, იტალიის მოედანზე იგი ქართველმა ემიგრანტმა, საბჭოთა ხელისუფლების აგენტმა პარმენ ჭანუყვაძემ მოკლა.

**თამარ სიღამონიძე**

# გრიგოლ გაკურიანის ქე პირანტირის დიდი ფომასტიკოსი

ბიზანტიის იმპერია შეა საუკუნების  
საქმით დიდ მონაკვეთში  
„სუპერსახლმწიფო“ იყო. იგი  
დასავლურ და აღმოსავლურ  
ცივილიზაციებს შორის ერთგვარი ხიდის  
როლს ასრულებდა. ვერობისა და  
მახლობელი აზის ხალხთა ისტორიაში  
ცოტა იუა ისეთი ერი, რომლის  
ცხოვრებაში ბიზანტიას, მის კულტურას  
გამორჩეული როლი არ  
შეეძლობინოს. ბიზანტიას თავისი  
არსებობის განმავლობაში მჭიდრო  
კავშირურითიერობა ჰქონდა  
საქართველოსთანაც.



გრიგოლ და აბას ბაქურიანის ხელები.  
გულრიწინის სახულის მხატვრობა (XIV ს.)

ბიზანტიისთვის XI საუკუნე გამორჩეული ეპოქაა. მან ამ საუკუნის პირველ ნახვარში პოლიტიკური ძლიერების ზენიტს მიაღწია. დაიმორჩილა და თავის საზღვრებში მოაქცია ბულგარეთის სამეფო, ზედიშედ დაიკავა ტარინი (966 წ.), იმიერტაოს (1001 წ.), ვასტურა კანის (1021 წ.) სამეფოები. ამავე პერიოდში მოაშადა ანისის სამეფოს დაპირობის საუზებელი. თავისი პოლიტიკის გასავრცელებლად ერთმანეთს უხამებდა ფარულ და ღია დიპლომატიას, სამხედრო ძალის დემონსტრაციას და რაც ყველაზე საინტერესოა, იურიდიულ გარიგებებს. გამორჩეულად ნიჭიერი უნდა ყოფილიყო კაცი, ვინც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ეს მიმართულება ჩამოაყალიბა. ამ მიმართულების არსი ასეთი გახლდათ: ბიზანტიის წინააღმდეგ გამოსულ ამა თუ იმ ქვეყნის ხელმწიფებს იმპერატორი დიდსულოვნად აპატიებდა დანაშაულს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი გარდაცვალების შემდეგ თავის სამეფოს ანდერძით დაუტოვებდა ბიზანტიას. აქ ერთი შეხედვით დიდი ტრაგედია არ ჩანდა და ყველა ცდილობდა, იმპერატორისგან კარს მომდგარი რისხვა აეცილებინა. მომავალში რა იქნებოდა, ნაკლებად ფიქრობდნენ. ბიზანტია

კი სხვა ქვეყნის დაპყრობის იურიდიულ საფუძველს ქმნიდა. ასე ჩაიგდო ხელში სომხური სამეფოების უმეტესი ნაწილი, ასეთივე ხერხით დაიკავა ბასილ II-მ იმიერტაოს ქართველთა სამეფო.

987-989 წლებში ბიზანტიის მხედართმთავარმა ბარდა ფოკამ ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა და აჯანყდა. მას მხარი დაუჭირა ქართველმა მეფემ დავით III კურაპალატმა. ბასილ II-მ დაამარცხა ბარდა ფოკა და მისი მომხელების დასჯაც გადაწყვიტა, მათ შორის დავით III-ისა. ქართველთა მეფემ კი ბიზანტიის აგრძესის თავიდან ასაცილებლად ბასილს პირობა მისცა, გარდაცვალების შემდგენ თავისი სამეფო მისთვის დაეტოვებინა.

1001 წელს დავით III გარდაცვალა. ბასილმა ქართველებს პირობის შესრულება მოსთხოვა და დიდი ლაშქრით შევიდა იმიერტაოში. აქ საქმეების მოგვარების შემდგებ ქართველ აზნაურებს მძევლები ჩამოართვა, ხოლო დიდგვაროვნების ნაწილი თან წაიყვანა, მათ შორის ბაკურიანი და მმები — ფერები და ფერსი.

საუკუნეების განმავლობაში ბედისწერას ბევრი ქართველი მოუშორებია დედასაშმობ-



**ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II**

**დაჭით III კურაპალატი, ოშის ბარელიეფი**



ლოსთვის. ბევრი მათგანის თანამდევი იყო გაჭირვება, ტანჯვა-წამება, უსახელო სიკვდილი. მხოლოდ ცოტას თუ გაუმართლა, მაგრამ ისიც მწვავედ განიცდიდნენ საკუთარი მიწისებან მოწყვეტას.

ბიზანტიაში გადასახლებულ ტაოელ ქართველებს და მათ შოთამომავლებსაც ძალიან გაუჭირდათ უცხოეთში. ალბათ ამიტომ ზოგმა, როგორც კი საშუალება მიეცა, სამშობლოს მოაშურა. დარჩენილები ბიზანტიის სამსახურში ჩადგნენ. ერთი ამათგანი იყო გრიგოლ ბაკურიანის ძე.

ეს ის გრიგოლია, რომლის მამა ბაკურიანი, მეცნიერთა აზრით, ბასილ II-მ საქართველოდან წამოიყვანა. ბაკურიანის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლის დედა გაჭირვებამ აიმუღა, ნაწილი ქონებისა გაუყიდა, ნაწილი კი ქალიშვილებისთვის გადაუცა შზითვად. გრიგოლსა და მის ძმას აბაზს კი თითქმის არაუგრი შემჩათ. ძმები იმპერიის სამსახურში ჩადგნენ და მალე დიდ წარმატებას მიაღწიეს. გრიგოლი აქტიურად მონაწილეობდა იმპერიის სამხედრო ექსპედიციებში და კარგი მეომრისა და მხედართმთავრის სახელი დაიმტკიდრა.

გრიგოლ ბაკურიანის ძეს XI საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს უკვე საქმაოდ დიდი თანამდებობა ეჭირა. დაახლოებით 1064 წლისთვის იბერიის თემში მოღვაწეობს, მონაწილეობს თურქ-სელჩუკთა მიერ გარემოცული ანისის ციხე-ქალაქის დაცვაში. მართალია, ანისი დაეცა, მაგრამ იმპერატორს გრიგოლის გაუკაცობა სათანადოდ დაუფასება და მალე იბერიის თემის მმართველად დაუნიშნავს.

იბერიის თემი ანუ საკატეპანო იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციაში, საქართველოს მოსაზღვრედ შექმნილი ბიზანტიური სამხედრო-აღმინისტრაციული ერთული იყო და ძირითადად მოიცავდა დავით III კურაპალატის მამულებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1001 წელს შეიერთა ბასილი II-მ. ამას გარდა, მასში შედიოდა ანისისა და კარის (ყარსის) სამეფოთა მიწა-წყალიც. იბერიის თემის მმართველის ანუ დუქას თანამდებობა იმპერიაში ერთობ საპატიო იყო.

გრიგოლ ბაკურიანის ძეს რთულ დროს მოუნდა იბერიის დუქად ყოფნა: ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვრებში თურქ-სელჩუკები თარეშობდნენ, იბერიის თემსა და მის მიმდებარე ტერიტორიას მომთაბარე ლღუზები არბევდნენ. გრიგოლმა ერთხანს შეძლო იბერი-



## ეარსის (ეარის) ციხესიმაგრე


ის თუმის შენარჩუნება, მაგრამ XI საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში თურქ-სელჩუკთა შემოსვებმა არახანული მასტრაბები შეიძინა. მტრები ბაზარის ცენტრალურ რაიონებს დაემუქრა. მომთაბარე ღლუზები კონსტანტინოპოლისაც კი მიუახლოვდნენ. იმპერატორმა გადაწყვიტა ამიერკავკასია დროებით დაეთმო, აქედან გრევული მეომრებით კი ცენტრალური პროვინციები გაემარჯვინა.

ამ დროს კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარის ქართველთა საქამაოდ დიდი პარტია არსებობდა. ისინი, უპირველესად, ბიზანტიის დედოფლის, ქართველი მართა-მართიანის გარშემო იყვნენ თავმოყრილი. საფიქრებელია, რომ ამ დაჯგუფებას მიეკუთვნებოდა გრიგოლ ბაკურიანის ძეც. პოლიტიკურმა ვითარებამ და საქართველოს სამეფო ოჯახთან ახლო ნათესაობამ იმპერატორს უბიძგა, იბერიის თემში შემავალი ციხეები საქართველოს მეფის სისვის, გიორგი II-ის თვის გადაეცა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში დედოფლის გარშემო დაჯგუფებულ ქართველთა დასსაც უნდა შეესრულებინა საგრძნობი როლი. საბოლოოდ ეს საქმე იმპერატორმა გრიგოლს მანადო. გიორგი II და გრიგოლი ბანაში შეხვდნენ ერთმანეთს. მათი შეხვედრისას გაფორმდა ხელშექრულება, რომლის პირობით, საქართველოს დაუთმეს კარის (ყარსის) (ციხე-ქართველოს დაუთმეს კარის) ყარსის

ლაქი და მისი მიმღებარე ტერიტორია. ასევე  
ქართველთა ხელში გადავიდა სამხრეთ და სამ-  
ხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელ-  
თა გამგებლობაში მყიფი ციხეები. ეს იყო სა-  
ქართველოს საგარეო პოლიტიკის საგრძნო-  
ბი წარმატება. სიბოლოურია, რომ ეს საქმე  
სწორედ გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელით გან-  
ხორციელდა.

აღმოსავლეთში ოურქ-სელჩუკთა გაბატონების შემდეგ იძერიას საკატეპანო გუმშდა. გრიგოლმა მოღვაწეობა ბიზანტიას დასვლეთ ნაწილში — ბალინეთში ანაგრძო.

1081 წელს აღექვის კომნენტისმა აჯანყება  
მოაწყო. იმპერატორი ნიკიფორე III ტახტი-  
დან ჩამოაგდი და თავი იმპერატორად გამო-  
აცხდა. ამიერიდნ ბიზანტიის სათვეებში თით-  
ქმის ერთი საუკუნე კომნენტისთა საგარეულო  
იდგა. ეს გადატრიალება კონსტანტინოპოლ-  
ში არსებულ ქართველთა ხელდებით განხორ-  
ციელდა. შეთქმულებას ფარულად ხელმძღვა-  
ნელობდა მარაბ დედოფალი. ალექსი კომნე-  
ნოს მხარში ედგა და მასთან ერთად იბრძო-  
და გრიგოლ ბაკურიანის ძეც. ჩვენამდე მოლ-  
წეულია აჯანყებამდე გამართული მათი საუბ-  
რის ტექსტი. მ. საუბრიდნ ნათლად ჩანს, რომ  
გრიგოლ ბაკურიანის ძე არათუ დიდი მხედარ-  
თმთავარი, მოხერხებული ჰოლატიკოსიც იყო.  
აღექვის კომნენტის ქალიშვილის, ანა კომნე-



**ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორ III**

ნოსის მონათხრობით, როცა აღექსიმ აჯანყება გადაწყვიტა, დამის პირველი დარაჯობისას მივიდა გრიგოლ ბაგურიანის ძესთან და „უძბო მას კველაფერი... იმან (ე.ი. გრიგოლმა) ყოველივე ეს მოსმინა და მიხვდა, რომ ამგვარ შემთხვევაში დაყოვნება დაუშვებელია, რომ საჭიროა ახლავე შეუდგნენ ამ კეთილშობილ საქმეს და უთხრა: — თუ ხვალ, დილით ადრე, აქედან გახვალ, მეც გამოგვები და თავგმოდებით დაგიცავ, თუ მომვლისოფის გადასდებ შენი განხრახვის აღსრულებას, იცოდე, მე თვითონ დაუყოვნებლივ მივალ მეფეს-

თან და ვემბობ შენსა და შენი თანამზრახველების შესახები“.

გრიგოლის განხრახვა აბსოლუტურად გასაგებია. მას სურდა კომნენტის აეჩქარებინა, ვინაიდან, როგორც გამოცდილმა სარდალმა, შესანიშნავად იცოდა, რომ გადავადება მხოლოდ აენებდა დაწყებულ საქმეს და ჩანაფიქრს ჩაშლიდა. შეთქმულება განხორციელდა. საიმპერატორო ტახტი აღექსი I-მა კომნენტის დაიკავა, გრიგოლ ბაგურიანის ძე კი დასვლეთ ჯარების სარდალი ანუ დასავლეთის დიდი დომესტიკოსი გახდა. ამავე დროს იმპერატორმა მას ბიზანტიის უდიდესი სამოხელეო — სევასტოპოლის უბოძა. იმპერიის სამხედრო იერარქიაში კი იმპერატორის შემდეგ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჯარების სარდლები იდგნენ. XI საუკუნის მიწურულს დასავლეთის დიდი დომესტიკოსი გნაკუთრებულ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მცირე ხნით ადრე ეს საპატიო თანამდებობა სწორედ აღექსი კომნენტის ეჭირა, გაიმპერატორების შემდეგ კი იგი გრიგოლს გადასცა.

XI საუკუნის 80-იანი წლებიდან ბიზანტიის დასავლეთ სახლვრებთან გახშირდა პატანიებისა და ყიზჩაღების თავდასხმები. გრიგოლი თავდაუხოვგავად ებრძოდა მტერს. 1081-1083 წლების შუალედში ერთ-ერთი ბრძოლისას ტყვედაც ჩაუგდიათ ყიზჩაღებს, მაგრამ ალექსი კომნენტის დიდ საფასურად გამოუხსნია.

იმპერატორი უდიდეს პატივს მიაგებდა გრიგოლს და მას დამოუკიდებლად მოქმედების უფლებასაც კი აძლევდა.

1086 წელს აღექსი I-მა გრიგოლს მომთაბარე სკვითების წინაღმდეგ გალაშქრება დაავალა. გრიგოლმა გადამწყვეტი ბრძოლის წინ საგანგებოდ განალაგა თავისი ჯარი. შუა ბრძოლისას მოულოდნელად ცხენმა გაიტაცა,



მუხას დაეჯახა და იქვე დალია სული. ეს იყო დიდი ტრაგედია ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში. ანა კონსტანტინის სიტყვით, მამამისმა — იმპერატორმა ალექსი I-მა, დიდად განიცადა ეს ამბავი: „დაიტირა დაღუპულები, ყველანი ცალ-ცალკე და ერთად, ხოლო დომესტიკოსის სიკვდილის გამო განსაკუთრებით წუხა და ცრემლს ღვრიდა, ვინაიდან ძაღლიან უყვარდა ეს კაცი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მეფედ გამოაცხადებდნენ“.

ბიზანტიის იმპერიის დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე დიდი პატივით წამოასვენეს და მისსავე აშენებულ პეტრიწონის მონასტერში დაკრძალეს. საქართველოსგან შორის განისვენა ბიზანტიის დიდმა დომესტიკოსმა, თავისი დროის უდიდესმა სარდალმა და ქველმოქმედმა.

უცხოეთში მოღვაწე ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა დასში გრიგოლ ბაკურიანის ძე გამორჩეულია ეროვნული თვითშეგნებით. მართალია, მთელი ცხოვრება ბიზანტიის სამსახურში გალია, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუსუსტებია მისი სიყვარული სამშობლოსადმი, ქართველებისადმი. ბიზანტიის დიდმა დომესტიკოსმა უზარმაზარი სიმდიდრე დაგროვა. უკვე ხანძი შესულმა თავისი ქონებით იმპერიის ეკრანებზე ნაწილში, ბულგარეთის ტერიტორიაზე, პეტრიწონის სავანე აღაშენა. 1083 წელს ამ მინასტერს საგანგებო ტაპიკონი — წესდებაც განუწესა.

გრიგოლი ქართული სამშედრო ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი გახლდათ. ბიზანტიელი ისტორიკოსები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ დიდმა დომესტიკოსმა უკეთ იცოდა ჯარის მომზადება, მისი დაწყობა ფალნებულანგ (საბრძოლო წყობა, ქვეითი ჯარის ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივები), მოხერხებული საბრძოლო წყობის მოფიქრება. გასაოცარია, მაგრამ გრიგოლს თავი უპირ-



#### ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კონსტანტი

ველესად ქართველ მხედარომთავრად მიაჩნდა. ჩემ „ქართველი ვართ ნათესავით მხენი და მხედრობით აღზრდილი და მარადის ჭირვეულისა ცხოვრებას ჩუეულნი“, — საგანგებოდ აღნიშნავს იგი.

პეტრიწონის მონასტერიც გრიგოლმა მხოლოდ თავის თვისტომთათვის, ქართველთავის ააგო. მართლაც საინტერესოა, რომ ბერნებს, რომელთა გარემოში იზრდებოდა და რომელთა სახელმწიფოს ძლიერებისთვის იბრძოდა წლების განმავლობაში, საგანგეში მოლგაწეობა ეკრძალებოდათ. გრიგოლი ტაპიკონ-

#### ანისის ციხე-ქალაქის პანორამა





**ტეტრიწონის მონასტერი (თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე)**

ში საგანგებოდ აღნიშნავდა: „მე ვურჩევ ყველას ამ მონასტერში მყოფს და უმტკიცესი დადგენილებით ვაწესებ, რომ არასოდეს ჩემს მონასტერში ბერძენი ზუცესი ან მონაზონი არ იქნეს დამკაიდრუბული გარდა ერთი მდივნისა, რომელმაც იცის წერა და რომელიც ხანდახან მთავრებთან გაგზავნის წერილს წინამდღვრისგან და მათთვის გაგზავნილს უკან და-

**გრიგოლ და აბას ბაკურიანისძების საძგალე  
ტეტრიწონის მონასტერში**

იბრუნებს და მონასტრის საქმეებს წარმართავს“. ამ გადაწყვეტილებას გრიგოლი ამგვარად ხნიდა: „ბერძენბა მოძალადენი არიან, უპირონი და ანგარი და მონასტერს რაიმე გაჭირვებას და ვნებას შეამთხვევნ ან ვინმე მოწინააღმდეგეს დააყენებენ ადგილზე, რომელიც შეცდება იქ გაბატონდეს, ან მამასახლისობა თვითონ მიითვისოს, ან სხვა რაიმე დაწყევლილი საბაბით მონასტერი მიიჩემოს, რაც ხმირად გვინახავს მათგან ჩაღენილი წვენი ტომის გულუბრყვილობისა და გულმართლობის წყალობით“.

XI საუკუნიდან მოყოლებული, პეტრიწონის მონასტერი ქართველთა კულტურულ-საგანგანათლებლო ცენტრი იყო. ამ საყანეში ბერძრი სახელოვნი ქართველი მოღვაწეობდა. ამის ნათელსაყოფად იოანე პეტრიწის ხსენებაც საქართველოსად ითვლილი გრიგოლ ბაკურიანის ძე კი სამარადისოდ დარჩა ქართველი კაცის მქონეორებაში ჰუმარიტ ქართველად, ვინც ბედუგულმართობაში სამშობლოს მოსწევიტა და შორეულ ქვეყანაში გადააგდო, მაგრამ დიდებისა და სიმდიდრის მიუხედავდ, ქართველი ხალხი არ დაივიწყა, თავისი მოღვაწობის ყველაზე დიდი შედევრი მას უძღვნა, თავისი სამშობლოს აღმასვლაზე ზრუნავდა.

**პეტრიწონის მონასტერი**




# ივანე ჯავახიშვილის

„ქართველი ერის ისტორია“

5 ტომად

**3 სეპტემბრის დანიშნულებაზე**  
თვეული ერთსიან  
„კვირის პალიტრასთან“  
ერთად



....ყოველ განათლებულ ეროვნებისთვის...  
საჭიროა იწოდეს თავისი ნარცისული...  
უცყვარი, უძმარიტი ისტორია და არა  
გაზიარებული, ყალბი.

**პირველი!**  
**60 ცლის შემაზად!**

**სრული ვერსია**

ნიმუშის საციფრაციანი ფასი: 9 ლარი  
გაზიარებული ერთად: 10 ლარი



# „ქართველი ერის ისტორია“

## ივანე ჯავახიშვილის ნამრავების ხუთომაული

3 სექტემბრიდან — გაზეთ „პარის  
ალიტრის“ სიურპრიზი მკითხველს

ქველა ქართველის, ვისთვისაც ძირიფასია  
თავისი ქვეყნის ისტორია,  
საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა  
ერის წარმომადგენელის, ვისთვისაც,  
ბენებრივია, დირექტორი უნდა იყოს იმ  
ქვეყნის წარსული, რომლის  
მოქალაქეცაა, გამომცემლობა  
„პალიტრა L“ შესაძლებლობას უქმნის,  
თავისი წიგნის თარო გააძიდოროს  
მართლაც ფასდაუდებელი ისტორიული  
ხუთომეტეულით, რომლის აუტორიც  
უდიდესი ქართველი ისტორიკოსი და  
დიდი ქართველი მოღვაწე  
ივანე ჯავახიშვილია.

3 სექტემბრიდან სწორედ ამ ხუთომეტეულის პირველი ტომის შემქნა შეუძლია გაზით „კვირის პალიტრის“ მკითხველს.

ხუთომეტეული გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 1982 წლის გამოცემა. აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემაზე თავის დროზე მუშაობდნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები: დაყით ჩხილვიძეილი, ალექსანდრე ბარამიძე, გახტანგ ბერიძე, თამაზ გამყრელიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, სიმონ ყაუხებიშვილი, არნოლდ ჩიქობაგა, შალვა ძიმიგური და სხვები.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთომეტეული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ჟურნალ „ისტორიანის“ რედაქტორმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ჯაბა სამუშაომ.

ჯაბა სამუშაო: „ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ ხუთი ტომად — გამომცემლობა „პალიტრა L“-ის პროექტია. გამოცემის საფუძვლად ავიდეთ ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეტეულის I-III



ივანე ჯავახიშვილი

ტომები და დაგამატეთ ივანე ჯავახიშვილის სხვა თხზულებები, რომლებიც ავსებს „ქართველი ერის ისტორიას“.

„ქართველი ერის ისტორია“ ქართველი ისტორიოგრაფიის დიდი მონაბოვარია და მას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ამ ნაშრომის პირველი წიგნი ერთი საუკუნის წინ — 1908 წელს გამოიცა, მაგრამ მას დღემდე არ დაუკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობა. მართლია, ახალი წყაროებისა და აღმოჩენათა საფუძველზე ბევრი საკითხი უკვე ახლებურადაა გააზრუნებული და დაზუსტებული, მაგრამ დიდი ივანეს დაკირცხები, ამა თუ იმ მოვლენის მისეული ინტერპრეტაცია, დამეთანხმებით, რომ ფასდაუდებელია.

ივანე ჯავახიშვილის გეგმის მიხედვით, „ქართველი ერის ისტორია“ თხ წიგნად უნდა გამოსულიყო. პირველი წიგნი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდნ VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე. მეორე წიგნში გადმოცემულია საქართველოს ისტორია არაბთა ბატონობის დამჭარებიდან (VII საუკუნის 50-იანი წლები) თამა-

რის მეფობის ჩათვლით. მესამე წიგნი გამოიცა 1941 წელს და მაში მოთხრობილია XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორია. მეოთხე წიგნში უნდა შესულიყო XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია. ნაშრომის ერთი ნაწილი 1924 წელს დაიბეჭდა კიდევ, თუმცა მისი დასრულება აუტორმა ვერ მოახერხა.

დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, მის არქივში დაცული მასალები გაერთიანდა და 1953 წელს გამოიცა. აღსანიშვნებია, რომ ეს ნაშრომი სრული სახით, პირველად ბოლო 60 წლის განმავლობაში, სწორედ წინამდებარე გამოცემაში შევიდა.

შევცადეთ, ეს გამოცემა შეგვედგინა ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი გეგმის მიხედვით. მხოლოდ მესამე წიგნს ვყოფთ ორ დამოუკიდებელ ტომად. გამოცემა გათვალისწინებულია საზოგადოების ფარიო წრისთვის, ამიტომაც მაქსიმალურად განვიტვირთ ტექსტი უცხოენოვანი ციტატებისგან. სრულად დავტოვეთ 12-ტომეტულის აკადემიური გამოცემის კომინტრარება, თუმცა დაგამატეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ახალი ინფორმაციაც“.

ასე რომ, საქართველოს ისტორიის „გულშემატკივრებს“ ყოველი თვის დასაწყისში „პალიტრა L“ ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მომღევნო ტომს მიაწვდის. შესაბამისად, ხუთტომეტულის გამოსვლა საახალწლოდ დასრულდება და ბუნებრივია, ამაზე კარგ საახალწლო საჩუქარს ვერც ვინატრებდით.

აქევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი თავის უძირველეს ნაშრომს – „ქართველი ერის ისტორიას“ უახლოეს ადამიანებს უძღვნის: „ჩემს საყვარელ დედას და ძეირფას ხსოვნას ჩემის საყვარელი მამისას ვუძღვნი ამ წიგნს“ – ვკითხულობთ წარწერას მრავალტომეულის პირველ წიგნზე.

ჯერ კიდევ საუკუნე-ნახევრის წინ დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა: „ერის დაცემა და გათახისრება მშინი იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად შიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“.

იმისთვის, რომ ჩვენა ისტორია კარგად გვახსოვდეს, დამეთანხმებით, ამ ისტორიის პი-

დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, მის არქივში დაცული მასალები გაერთიანდა და 1953 წელს გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი სრული სახით, პირველად ბოლო 60 წლის განმავლობაში, სწორედ წინამდებარე განმავლობაში, სწორედ წინამდებარე გამოცემაში შევიდა.

რუთვნელი მემატიანე გვჭირდება. საბედნიეროდ, ქართველებს სწორედ ასეთი პირუთვნელი მემატიანე გვგვავდა – დიდი ივანე ჯავახიშვილი, და ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ საქართველოს ისტორიის „არდავიწყებაში“ ყველაზე უკეთ მისი „ქართველი ერის ისტორია“ დაგვჭმარება.

## სალომა პოპილაშვილი

იღია ჭავჭავაძე:

„ერის დაცემა და

გათახისრება მაშინ

იწყება, როცა ერი,

თავის საუბედუროდ,

თავის ისტორიას

ივიწყებს“





## დუელი

# სიკვდილი ღირსების სახელი

ახალი დროის ეპონაკაში დუელი ისათი აოკულარობა  
მოიაოვა, რომ დღესაც გერ ივიზუაცია...

დუელი ორთაბრძოლის სახეობაა, რომლის მიზანია ერთი აღამიანის მიერ მეორის შეურაცხოფაზე ჰასუხის გაცემა, მეცრად რულამერწირებული წესებისა და ტრადიციების მახვილი ივი სათავეს ჯერ კიდევ წარმართული სასამართლო წარმოდგენებიდან იღებს და შუა საუკუნეებისა და ახალი დროის უროპაში იძღვნად პოპულარული ხდება, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მაღალი წრის საზოგადოებას, არაერთ ქვეყანაში, ორთაბრძოლის ეს სახეობა სისხლში პქრნდა გამჯდარი.

## სასამართლო ორთაბრძოლა

დუელის წინამორბედად შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული „სასამართლო ორთაბრძოლა“ მინჩევა. თავის მხრივ, ის სათავეს იღებდა ანტიკური დროიდან და წარმართულ წარმოდგენებს უკავშირდებოდა. „ღვთიური სასამართლოს“ ტრადიციის მიხედვით, ტექნიკური თვალსაზრისით თანაბარ პირობებში მიმდინარე თანაბარ პირობებში გამარჯვებას იმას არგუნებდნენ, ვის მხარესაც სიმართლე იყო.

შუასაუკუნეობრივი ტრადიცია დავის იარაღით გადაწყვეტის შესახებ უკავშირდებოდა შემთხვევას, როცა სასამართლოს აღარ შეეძლო სიმართლის დადგენა სხვადასხვა მტკიცებულების თუ მოწმეთ ჩვენებების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ინიშნებოდა სასამართლო ორთაბრძოლა, რომელიც უნდა გამართულიყო განსაზღვრული წესებისა და ტრადიციების მიხედვით ორთაბრძოლაში დამარცხებული დამარცხებელი მინჩეოდა. გამარჯვებულისთვის აუცილებელი არ იყო მოწი-

ნააღმდეგის მოკვლა ან მისი დაჭრა. საკმარისი იყო მხოლოდ გამარჯვების მიღწევა — მოწინააღმდეგის განიარაღება, აგრეთვე ისე წაქცევა, რომ მეტოქეს ფქზე ადგომა არ შეძლებოდა.

დუელის კიდევ ერთ წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ „რაინდული ტურნირები“ შუა საუკუნეების ეპოქაში, რომლებიც ასევე განსაზღვრულ ტრადიციებს უკავშირდებოდა. რაინდული ბრძოლების კულტინაციას წარმოადგენდა სხვადასხვა სახის ორთაბრძოლა ხმლითა თუ სხვა სახის იარაღით. მოგვიანებით, სიკვდილიანობისა და ფიზიკური ტრავმების თავიდან ასაცილებლად დაბლაგვებული შუბებით ბრძოლის წესი შემოიღეს. ეს ორთაბრძოლები XVI საუკუნეში აიკრძალა. ამის მიზეზად იქცა 1559 წელს ტურნირის მონაწილე საფრანგეთის მეფის, ანრი II-ის უეცარი გარდაცვალება. მეფის მოწინააღმდეგის, გრაფ მონტგომერის შუბი გადატყდა და მისი ბასრი ნატეხი მეფეს თვალში მოხვდა, რის შემდეგ გაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

### „ომი გურჩვაში“


დუელი, როგორც ურთიერთობის გარეებისა და მიყენებულ შეურაცხყოფაზე პასუხის

ფორმა, XIV საუკუნის იტალიაში გაჩნდა. ამგვარ დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა საზოგადოების მაღალ ფენებში, სადაც მიაჩნდათ, რომ აზნაურული ღირსება და დამსახურება თითოეულ აზნაურს დაბადებითვე მოსდევდა. ღირსების შელახვას სწორედაც დაუყოვნებლივი პასუხი უნდა მოჰყოლოდა აზნაურის მხრიდან, შეურაცხმყოფელის ბრძოლაში გამოწვევით. თუკი აზნაური მისი ღირსების შეძლახვს პასუხს არ გასცემდა, იგი პატივაყრილად, ღირსებაყრილად მიიჩნეოდა. ამგვარი ორთაბრძოლის გამართვისთვის იტალიელი აზნაურები ირჩევდნენ ნაკლებად ხალხმრავალ ადგილებს, სადაც ერთმანეთს მხოლოდ იმ იარაღით ებრძოდნენ, რომელიც თან ჰქონდათ, ყოველგვარი წესებისა და ტრადიციების გარეშე. ამიტომ ასეთმა ორთაბრძოლებმა, ზემოხსენებული „სასამართლო ორთაბრძოლებისგან“ განსხვავებით, შეიძინეს სახელი „ბრძოლა ბუჩქებში“.

ადსანიშნავია, რომ „ბრძოლას ბუჩქებში“ ერთგვარი „პროგრესული“ მნიშვნელობა პქინდა იმდროინდელ საზოგადოებაში. თუკი მანამდე არისტოკრატები ურთიერთბრძოლისას თავს ესხმოდნენ ერთმანეთს, ან სახლებსაც კი, რასაც ხშირად არა მხოლოდ ერთი



სარაინდო  
ტურნირი  
შუა  
საუკუნეებში



შეა საუკუნების მედარაღვების დაშავებული ხმლებისა და დაშების ხარისხზე დუღლანტების სიცოცხლე დიდწილად იყო დაძირდებული



ადამიანის მსხვერპლი მოჰყვებოდა, „ბუჩქებში ბრძოლით“ ორ პირს შეეძლო ურთიერთობები პირისპირ გაერკვია. ეს საგრძნობლად ამცირებდა უბედურ შემთხვევათა და მსხვერპლის რაოდენობას.

XVI საუკუნიდან დუელი დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის არისტოკრატიულ ფენებში იყო გარცელებული, თუმცა ორთაბრძოლების სიბშირე ერთნაირი არ გახლდათ. როგორც ცნობილია, ინგლისში დუელს უფრო იშვიათად მიმართავდნენ, ვიდრე იტალიაში, გერმანიაში ან საფრანგეთში. დუელში გამოწვევზე უარის თქმა შეეძლო მხოლოდ 60 წელს გადაცილებულ ადამიანს, მძიმედ ავადმყოფს ან „არასაქმარისად“ წარჩინებულ აზნაურს. დუელში მონაწილეთა ასაკის ქვედა ზღვარი იყო 14-16 წელი, როცა აზნაური ხმლის ტარებას იწყებდა. დუელის ადგილსა და დროს ირჩვედა ბრძოლაში გამომწვევი პირი, ხოლო იარაღს — გამოწვეული მხარე. ამიტომ ხშირად ცდილობდნენ, თვითონ ყოფილიყნენ გამოწვეული მეტოქის მიერ.

ორთაბრძოლის წესები განსხვავდებოდა „სასამართლო ორთაბრძოლის“ წესებისგან და დასაშვებად მიიჩნევდა რიგი „არარაინდული“ მოქმედებებით ბრძოლასა და მოწინააღმდეგის მოკვლასაც კი. ბრძოლის ვერაგული საშუალებებიდან დაშვებული იყო დამცავი მუზარადის ჩაცმა ტანსაცმლის შიგნით ან მოწინააღმდეგებზე თავდასხმა ზურგიდან, დაქირავებული მკვლელის მიერ. სწორედ ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად დაიწყო მებრძოლ მხარეთა მიერ სეკუნდანტების — ერთგარი დამკაირვებლების აყვანა, რომელთა ამოცანა გახლდათ ბრძოლისთვის თვალყურის დვნება და ბრძოლის წესების აღსრულება.

### არისტოკრატთა შლეტა

ფრანგული მაღალი საზოგადოების რიგებში დუელმა იტალიიდან შეაღწია, 1494-1559 წლებში მიმდინარე „იტალიური ომების“ დროს. საფრანგეთში გახდა დუელი ყველაზე პოპულარული და იტალიისგან განსხვავებით, სადაც ორთაბრძოლები მხოლოდ საზოგადოების თვალისებრ მოფარებულ ადგილებში იმართებოდა, საფრანგეთში დუელებს პირდაპირ ქუჩებში აწყობდნენ, ზოგჯერ სამეფო სახლის მახლობლადაც.

დუელის პოპულარობასთან ერთად, XVI საუკუნეში დაიწყო ამგვარი ორთაბრძოლების

ამკრძალველი კანონების გამოცემა. ამის მიზეზი ის დიდი მსხვერპლი იყო, რაც დუელებს თან სდევდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ანრი IV-ის (1589-1610) დროს დუელში დაღუპულ აზნაურთა რაოდენობა 7-12 ათასამდე ყოფილა. თავად ანრი IV-ს რამდენიმე კანონი გამოუცა დუელის წინააღმდეგ. ამკრძალავ კანონებს შორის აღსანიშნავია ტრიენტის (ტრიენტოს) საკლესიო კრების (1545-1563) დადგენილება, რის მიხედვითაც ეკლესიიდან განკვეთილად გამოცხადდნენ როგორც დუელის მონაწილენი, ასევე მაყურებლები, რომელნიც ბრძოლებს ესწრებოდნენ.

საფრანგეთის პირველმა მინისტრმა კარდინალმა რიშელიემ (1624-1642) დუელის აკრძალვის შესახებ კანონი 1627 წელს შემოიღო. კარდინალმა ეშაფოლტზე გაგზავნა იმ დროისთვის ცნობილი მედუელენი — დე ბუტვილი, დე შაპელი და დე ბევრონი, თუმცა ამ უკანასკნელმა პარიზიდან გაქცევით უშველა თავს.

რომის პაპმა პიუს IX-მ 1869 წლის 12 ოქტომბერს გამოსცა კანონი მედუელეთა ეკლესიიდან განკვეთის შესახებ. დუელის მონაწილები თვითმკვლელებად გამოცხადდნენ,

მათი სასაფლაოზე დაკრძალვა არ შეიძლებოდა.


ორთაბრძოლისას ცეცხლსასროლი იარალის გამოყენებამ დუელის ისტორიაში XVIII-XIX საუკუნეებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოიტანა. იარალის შეცვლას მოჰყვა ცვლილებების ბრძოლის წესებშიც. გამოწვევიდან დუელამდე ვადა 24 საათით განისაზღვრა, მსროლელებს შორის 25-35-ნაბიჯიანი დისტანცია დადგინდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევრში დუელების აქტივობით გამოირჩეოდა გერმანელ სტუდენტთა საზოგადოება. თითქმის ყველა უნივერსიტეტში იმ დროს „დუელის საზოგადოება“ არსებობდა. ორთაბრძოლები იმართებოდა ცივი იარალით, მედუელები ბრძოლის წინ დამცავი ტანსაცმლით იმოსებოდნენ, თავად იარალს კი საგულდაგულო დეზინფექცია უკეთდებოდა, ჭრილობების დაწინცირების თავიდან ასაცილებლად.

#### ზესვანი

**დუელის კოდექსი.** წესების ამ კრებულის მიხედვით განისაზღვრუნებოდა ორთაბრძოლის

პარიზში, ბულონის ტყეში დუელები ცვი იარაღით XIX საუკუნის მეორე ნახევრშიც იმართებოდა





ცეტნასასროლ იარაღზე კადასელა დუელანტებმა XVIII საუკუნიდან დაიწყეს. უფრო ხშირად იყენებდნენ ერთჯერადი სროლის რეჟიმის მქონე პასტოლეტებს



გამართვის წესები, დუელის სახეობა, ბრძოლაში გამოწვევის წესები და სხვ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპისთვის საერთო დუელის კოდექსი გამოიცა, რომელიც გრაფმა ვერუემ 1879 წელს საფრანგეთში მიიღო.

**იარაღი.** თავდაპირველად დუელში ცივი იარაღი გამოიყენებოდა. აზნაურისთვის მისაღები იყო ყოველდღიური იარაღით ბრძოლა, რომელიც მას მუდაშ თან ჰქონდა. XVIII საუკუნიდან დუელში აქტიურად იწყება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. უფრო ხშირად გამოიყენებოდა ერთჯერადი სროლის რეჟი-

მის მქონე პასტოლეტები, რომელთაც, მებრძოლთათვის თანაბარი პირების დასაცავად, ერთნაირად აშადებდნენ. განსხვავება იყო მხოლოდ ციფრებში „1“ და „2“, რომლებიც იარაღის ლულაზე იყო ამოტგიფრული. უფრო იშვიათად გამოიყენებოდა გრძელლულიანი იარაღი და მრავალჯერადი სროლის რეჟიმის მქონე პასტოლეტები.

**დუელის მიზანი.** დუელში გამოწვევის მიზანი შეიძლება გამხდარიყო როგორც მეგობრის ან ნათესავის მკვლელობისთვის შურისძიება, ასევე თუნდაც გაუფრთხილებელი ხუმრობა, რის შეურაც ხყოფად მიღება შეიძლებოდა. ბრძოლის მთავარი მიზანი საკუთარი ღირსების დაცვა იყო. არ არსებობდა რამე ზღვარი ან კრიტერიუმი, რითაც ამა თუ იმ შეურაც ხყოფის დონე „გაიზომებოდა“. გამოწვევა დამოკიდებული იყო მხოლოდ პარის ღირსებას და თვითშეგნებაზე. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ღირსების შელახვა მხოლოდ მასთან წილებრივად გათანაბრებულს შეეძლო. წოდებითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით უფრო დაბალ რანგში მდგომი პირი მასზე მაღლა მდგომს დუელში ვერ გამოიწვევდა. კატეგორიულად იკრძალებოდა დუელები კრუდიტორისა და მეცალეს შორის.

**დუელში გამოწვევა.** შეურაც ხყოფილ ადამიანს ძირითადად ორი არჩევანი ჰქონდა — ან შეურაც ხმელეთისგან ბოლოშის მოხდა მოეთხოვა, ან მასთან სეკუნდანტები გაეგზავნა, რომელიც სიტყვიერად ან წერილობით აცნობებდნენ მოწინააღმდეგეს გამოწვევის შესახებ. ტრადიციის მიხედვით, შეურაც ხმელეთსა და შეურაც ხყოფილს დუელამდე ერთმანეთი არ უნდა ენახათ და ყველანაირ საორგანიზაციო საკითხზე სწორედ სეკუნდანტებს უნდა ეზრუნათ. მათ მებრძოლები თვალი ირჩვდნენ და პირველ რიგში, ბრძოლის მიზანს აცნობდნენ დაწვრილებით. თუკი სეკუნდანტები მიზანს არასაკმარისად მიიჩნევდნენ, შესაძლებელი იყო დუელის გაუქმებაც. გამოწვევიდნ ართაბრძოლამდე დრო 24 საათით განისაზღვრებოდა.

**დუელის მონაწილენი.** ორი მებრძოლის გარდა, დუელში მონაწილეობდნენ სეკუნდანტები და ექიმები. დუელზე დასწრება შეეძლოთ მებრძოლთა ახლო შეკობრებსა და ნათესავებს, თუმცა არცთუ კარგ ტონად ითვლებოდა ორთაბრძოლის სპექტაკლად გადაქცევა, რომელსაც „მაფურიებლი“ ესწრებოდა.

**ორთაბრძოლის წესები.** ტრადიციულად,

დუქლი უნდა მოეწყოთ ადრიან დილით, წინასწარ განსაზღვრულ დროსა და ადგილას. მებრძოლებისთვის ხებადართული იყო მხოლოდ 10-15 წუთით დაგვიანება. თუ რომელიმე მებრძოლი უფრო მეტი ხნით დაიგვიანებდა, იგი დამარცხებულად და შესაბამისად, დირსებააყრილად მიიჩნეოდა.

მებრძოლების მოსვლის შემდეგ, სეკუნდანტები ამოწმებდნენ მათ მზადყოფნას ბრძოლისთვის და კიდევ ერთხელ სიახობდნენ სიტყვიერ დაზავებას ბოდიშის მოხდით. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ბრძოლის წესების გამოცხადება იწყებოდა. ამ წუთიდან ბრძოლის დასასრულამდე არც ერთ მებრძოლს არ ჰქონდა უფლება, მოწინააღმდეგებისთან სიტყვიერი შერიგება მოეთხოვა. ეს უკვე ლაჩრობად მიიჩნეოდა და მებრძოლის რეპუტაციას ძირს სცემდა.

სეკუნდანტების მეთვალყურების ქვეშ მებრძოლები საბრძოლო პოზიციას იყავებდნენ. ნიშნის მიცემასთან ერთად ბრძოლაც იწყებოდა. მისი დასრულების შემდეგ, ორივე მეტოქის უნდა გადარჩინოს შემთხვევაში, მათ ერთმანეთისთვის ხელი უნდა ჩამოერთვათ, შეურაცხმყოფელს კი ბიძიში მოქადა შეურაცხყოფილის წინაშე და ეს ულირს საქციელად არ ჩაეთვლებოდა, რადგან ბრძოლის შედეგად

ორივე მებრძოლის ღირსება იყო გადარჩინოლი. ამის შემდეგ სეკუნდანტები ბრძოლის პროტოკოლს ადგენდნენ, იმის საბუთად, რომ დუელის მონაწილეებს წესები არ დაურღვევიათ.

მიიჩნეოდა, რომ ბრძოლაში გადარჩინის შემთხვევაში, მოწინააღმდეგებს, თუკი ისინი ერთმანეთის მევიბრები არ გახდებოდნენ, იმაზე მაინც უნდა ეზრუნათ, რომ შემდგომში ნორმალური ურთიერთობა პქონოდათ.


## დუელის გეოგრაფია

როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დუელის სიხშირე იკლებდა, რუსეთში პირიქით, მეტად იმატებდა. დუელის პირველი ფაქტი რუსეთში 1666 წელს მოიხსენიება, პირველი ამკრძალავი კანონი კი 1715 წლით თარიღდება.

დუელმა შეაღწია რუსეთის XIX საუკუნის არისტოკრატიულ საზოგადოებაში. საქვეყნოდ ცნობილი რუსული დუელებიდან შეიძლება დავსახელოთ 1837 წელს რუსი პოეტის, ალექსანდრ პუშკინისა და ფრანგ ოფიცერ ეორე შარლ დანტესის ორთაბრძოლა, რომელიც რუსი პოეტისთვის ტრაგიკულად დასრულდა. ოთხი წლის შემდეგ ოფიცერ ნაკილია მარტინოვთან დუელში დაიღუპა ასევე რუსი პოეტი მიხაილ ლერმონტოვი.

როგორც ცნობილია, რუსული დუელები

ჩრდილოეთ ამერიკული დუქლი სისახტით არ ჩამორჩებოდა კვროპულ



განსაკუთრებული სისახტიკით გამოირჩეოდა. ამ ქვეყანაშ მსოფლიოს მისცა დუელის ისეთი სახეობები, როგორიც არის „დუელი ცხვირსახოცით“. ამ დროს ორი მებრძოლი ერთმანეთთან ზურგით დგებოდა და ცხვირსახოცის კუთხე მარცხნის ხელით ეჭირა, ქსოვილი მებრძოლებს შორის დაიგონალზე იყო გაჭიმული. ბრძოლის დაწყების ნიშანთან ერთად ისინი შემობრუნდებოდნენ და ერთმანეთს ესროდნენ. ცნობილია ისიც, რომ თუ ევროპაში ცეცხლსასროლი იარაღით დუელისას მებრძოლთა შორის მანძილი 25-35 ნაბიჯი იყო, რუსეთში ეს დისტანცია 15-20 ნაბიჯამდე შემცირებული იყო (დაახლოებით 7-10 მეტრამდე), რაც გაცილებით მეტ მსხვერპლს იწვევდა.

ჩრდილოეთ ამერიკაში დუელი პოპულარული XIX საუკუნის შეუძლია გახდა და ეს XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით გაგრძელდა. ამერიკული დუელებიც არანაკლები სისახტიკით გამოირჩეოდა. იქაური დუელის ერთ-ერთი სახეობა მებრძოლების ერთმანეთზე ნადირობასაც კი წააგვდა. დანიშნულ დროსა და ადგილას ორი მებრძოლი სხვა-დასხვა მხრიდან მოდიოდა და ერთმანეთის

გვალის ქვების იწყებდა. მიზანი იყო ერთურთის პოვნა და მოკვდა.

დღეს დუელი, როგორც ორ ადამიანს შორის სიმართლის დადგენის ფორმა, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში კანონით იკრძალება. მიუხედავად ამისა, ცალკეული დუელები მაინც წარმოადგინება.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან ურუგვაიში დუელი აკრძალეს 1920 წელს, თუმცა შემთხვევები 1990 წელსაც კი აღირიცხა.

პერუში ბოლო დუელი 2002 წელს მოხდა. კონგრესმენმა ეიტელ რამოსმა ცეცხლსასროლი იარაღით დუელში ვიცე-პრეზენტონტი დეკიდ გაისმანი გამოიწვია. საბოლოოდ გაისმანი მა ბრძოლაზე უარი თქვა. საინტერესო შემთხვევა იყო იაპონიაში. 2005 წელს, ტოკიოში დააკავეს 15-დან 17 წლამდე ასაკის თორმეტი იოკაპამელი ახალგაზრდა, დუელის აკრძალვის შესახებ 1889 წელს მიღებული კანონის დარღვევის გამო. ისინ ექვს წევილად, ერთი-ერთზე არგვედნენ ურთიერთობებს და ერმანეთისთვის დაზიანებების მიყენებაც მოასწრეს...

### კახაპერ ჟალიჩავა

1804 წელს დუელში აშშ-ის სახელმწიფო ხაზინის მდგრანი ალექსანდრ პამილტონი მოკლა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა აარონ ბიორმა. პამილტონი დუელებს პრინციპულად წინააღმდეგებოდა რელიგიური და გამოუყენება



# რომის კოლეზეუმის რესტავრაციას პიზნესმენი აფინანსებს



31 ივლისს რომის კოლოზეუმის რესტავრაცია დაიწყო. რომის მერია ჯანი აღემანიომ განმარტა, რომ სამუშაოები ექვს სამშენებლო მოედანზე მიმდინარეობს. თითოეული მათგანის რესტავრაციას ორი-სამი წელიწადი დასჭირდება.

პროექტი, რომლის მიხედვითაც სამუშაოები წარიმართება, ჯერ კიდევ შარშან მოიწონეს. ზუსტად ერთი წლის წინ, რომის ხელისუფლებამ ფქსაცმლის მწარმოებელი კომ-

პანია Tod's-ის მფლობელ დიეგო დელა ვალესთან გააფორმა შეთანხმება, რომელიც სარესტავრაციო სამუშაოების დაფინანსებას ითვალისწინებს. სანაცვლოდ იტალიელ მეწარ-

მუშა — რომის მერია ჯანი აღემანიო, მარჯვნივ — დიეგო დელა ვალე





გლობალურთა ასპარეზი მარადიული ქალაქის კველაზე გრანდიოზული ღირსშესანიშნაობაა

მეს უფლება ექნება, საკუთარი კომპანიის რეკლამა კოლიზეუმზე 15 წლის განმავლობაში განთვალისწინებოთ.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო და კერძო სექტორი სახელმწიფო მნიშვნელობის კულტურის ძეგლების რესტავრაციისას თანამშრომლობენ.

ახლა სპონსორს რომის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა, ტრევის შადრევანი ექვება.

დივო დელა ვალეტ უკვე შეასრულა კველა ვალდებულება. მან მხოლოდ სამუშაოებისთვის სახსრების გამოყოფა კი არ ითვა, არამედ ორ-სამწლიანი სამუშაოების დეტალური გეგმაც წარმოადგინა. რესტავრაციის

პერიოდში გეგმა ტურისტებისთვის კოლიზეუმის დახურვას არ ითვალისწინებს. მეტიც, დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ძეგლი ცირკის ახლახან გახსნილი სივრცე და დერეფანი, რომელსაც არენასთან გაუკავართ. სწორედ მისი გავლით გადიოდნენ გლადიატორები სცენაზე.

შეიცვლება ღობე, რომელიც კოლიზეუმს აკრავს და რესტავრირდება კატაკომბები.

კოლიზეუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მომსახურების ცენტრი განთავსდება. აქ განლაგდება სალაროები, მაღაზიები, საპირფარეშოები, საინფორმაციო დაფები. ცენტრი 1600 კვმ-ს დაიკავებს. კედლებზე, სადაც სა-



რესტავრაციო სამუშაოები წარიმართება, ორმეტრიან სარკკლამო პანელებს დაამაგრებენ.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე რეკლამის განთავსების გადაწყვეტილება იტალიის მომხმარებელთა ასოციაცია „კიდაჯონისმა“ სასამართლოში გაასაჩირა და დიუგო დელა გალესთან რომის ხელისუფლების მიერ გაფორმებული ხელშექრულების შეწყვეტა მოითხოვა, თუმცა იტალიურმა მართლმსაჯულებამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

მეწარმე თავიდანვე ირწმუნებოდა, რომ კოლიზეუმის კედლებზე Tod's-ის წარმოების ფეხსაცმლის რეკლამას არ გამოფენდა. შეთანხმების თანახმად, დელა გალეს ასევე აქვს უფლება, 15 წლის განმავლობაში კოლიზეუმის ლოგო გამოიყენოს, რომელ მეცნად განსაზღვრული მიზნებისთვის.

ქველმოქმედი და ეთიკური ქცევების მქადაგებელი იტალიელი მეწარმე ირწმუნება, რომ კოლიზეუმის რესტავრაცია მხოლოდ კუთილი ნების გამოვლინებაა და მას კომერციული საფუძველი არ აქვს. თუმცა სამართლიანად მოითხოვს, თანხების ხარჯვა მკაცრად გაკონტროლდეს.

კოლიზეუმის რესტავრაციის აუცილებლობაზე რომის ხელისუფლებამ ლაპარაკი 2009 წელს დაიწყო, მაგრამ თანხების არარსებობის გამო სამუშაოების გადადება უწევდათ.

**მოშადებულია Corriere della Sera-ს მასალების მასწავლით**

სპონსორს ეძებს რომის კიდევ ერთი ღირსეული მასამართლამა, ტრუვის შადრევანი





# სტეან გადერა ხასი, ჩოხაცის იმპერიისთვის სისამისის შემისაც საშიში...

ეროვნული გმირი ფერების ერს ჰყაუს. ოუმცა არიან გმირები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ მოული კაცობრიობის კუთვნილებაა. ჯუშებე გარიბალდი, ჯუშებე მაძინა, სიმონ ბოლივარი, პრისტო ბოტვინი და სხვები. მათ რიცხვს განეკუთვნება უკრაინელი სტეპან ბანდერაც.

— სუკი მასზე წლების განმავლობაში ნადირობდა. ბანდერაზე არაერთი თავდასხმა მოეწყო, უამრავი ფული დაიხარჯა, რათა მისთვის თანამოაზრები აემსედრებინათ და პოლიტიკური ასპარეზიდან გაეძვებინათ ბოლოს და ბოლოს, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, ოუმცა საქმე, რომელსაც ბანდერა ხელმძღვანელობდა, ცოცხალია. ამიტომ ბანდერას სული დღესაც ჩენთანაა, — წერს უკრაინელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმირ იაგორიფსკი.

ბანდერაზე დღესაც ბევრს წერენ და არა მარტო უკრაინაში. რუსეთში კვლევაც გრძელდება ანტიბანდერული ცილიაშვილებლური კამპანია, იწერება სტატიები, წიგნები. მკვდარი ბანდერაც კი იმპერიისთვის საშიშია.

## ნაადრევად დაღვინებული

### ახალგაზრდა

სტეპან ანდრეეს ძე ბანდერა დაიბადა 1909

წლის 1-ელ იანვარს სოფელ სტარიუგრიინოვში (ამჟამინდელი იგანოფრანკოსკის ოლქი). მამამისი, ბერძნულ-კათოლიკური ეკლესის მღვდელი, გულმხერებალე პატრიოტი იყო. ის აქტიურად მონაწილეობდა 1918-1920 წლების ბრძოლებში.

— ღმერთი და უკრაინა უმაღლესი ფასეულობებია, მამაჩემმა ეს ბავშვობიდანვე მტკიცედ ჩაგვინერგა, — წერს თავის „ავტობიოგრაფიაში“ ბანდერა.

პატრიოტულ აღზრდას მხიბე რეალობაც დაემატა. უკრაინა მაშინ დანაწევრებული და გახლოებილი იყო. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი საბჭოთა კუმინის შემადგენლიბაში შედიოდა. გალიინა (გალიციის აღმოსავლეთი ნაწილი) პოლონეთმა მიიტაცა, ბუკოვინა — რუმინეთმა, იმიერკარპატიისამრთი — ჩეხოსლოვაკიამ. გალიჩინა, რომლის მკიდრიც ბანდერა გახლდათ, პოლონეთმა დაიპყრო. აქ მიმდინარეობდა ძალდა-

ტანქისთი პოლონიზაცია, უკრაინელები „მეორეხარისხოვან“ ადამიანებად იყვნენ გამოცხადებული. ამ ყველაფერმა ძლიერი ანტიპოლონური განწყობილება წარმოქმნა.

— ყველაზე კარგი სამუშაო პოლონელს ეძლეოდა, ნებისმიერ მეზოვეს შეეძლო დაევირა: „ეი, რუსინ ტერია, გაიარე!“ (რუსნები — აღმოსავლეთსაბური ეთნიკური ჯგუფი). საბჭოთა კავშირის მსგავსად გალიჩინაში მასობრივი ტერორი არ იყო, მაგრამ ასეთი დამამცირებელი რეჟიმი არანაკლებ საშინელია, — წერს ცნობილი უკრაინელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ლარისა კრუშელნიცებია.

ახალგაზრდობაც ეროვნული იდეალებისთვის ბრძოლაში მასობრივად ჩაეხდა. ამ თაობის ლიდერი გახდა სტეპან ბანდერა. ჯერ კიდევ სტრიას გიმნაზიაში სწავლისას იყო დაუკავშირდა უკრაინის იატაკქვეშა სამხედრო ორგანიზაციას (უვო-ს). 1929 წელს უვო-ს ბაზაზე იქმნება ოუნ-ი (უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია), რომლის იატაკქვეშეთს დასავლეთ უკრაინაში 1930 წელს სათავეში უდგება ბანდერა. ნელ-ნელა მისი სახელი პოპულარული ხდება.

— ახალგაზრდაა, მაგრამ ნაადრევად დაღვინებული, — ასე ამბობდნენ მასზე, — წერს პროფესორი პეტრო მირჩუკი.

ბანდერას შეთაურობით პოლონური საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმები მოწყო. პიკი გახლდათ პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ბრონისლავ პერაციის ლიკვიდაცია (ვარშავა, 1934 წ.). ბანდერა დააპატიმრეს, როგორც ამ აქციის ორგანიზატორი. სასამართლო პროცესზე ბანდერამ უარი განაცხადა ჩვენების პოლონურ ენაზე მიცემაზე და დემონსტრაციულად უკრაინულად ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ პერაციის სახლთანაა დაკავშირებული სისხლიანი სადამსჯელო აქციები და ამის გამო დაისჯა კიდევ.

— პერაციის აქციით ბანდერა მთელმა მსოფლიომ გაიცნო, — წერს მირჩუკი.

საბჭოთა ჩეკისტი პაველ სუდოპლატოვი მეტარებში აღნიშნავს, რომ უკვე 1934 წლისთვის ბანდერა ცნობილი იყო, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამოწენილი ლიდერი.

## დაცივისა და კომუნიზმის შინააღმდეგ

1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

პოლონეთი, რომელმაც რუსულ-გერმანული დარტყმა პირველმა იყენდა, თვალის დახამნა-მებაში დაიშალა. ვარშავა გერმანელებმა და-იკავეს, დასავლეთი უკრაინა კი რუსებმა.

— წითლების შემოსვლამდე ერთგვარი სახელისუფლებო ვაკუუმი შეიქმნა. ჩვენც, უკრაინის პატიმრებმა, ამით ვისარგებლეთ, ციხის კარი გაფნგრიეთ და გარეთ გამოვედით, — იგონებს უკრაინული ნაციონალისტური მოძრაობის ვეტერანი ვასილი კუპრი.

სხვა პატიმრებთან ერთად, ციხიდან ბანდერაც გაიქცა. ერთხანს ის რუსების მიერ ოკუპირებულ ლვოვში იმყოფებოდა, შემდგებ არალეგალურად გადავიდა საზღვარზე და კრაკოვში ჩაიდა, რომელსაც მაშინ პიტლერულები აკირტროლებდნენ.

— ბანდერა ემიგრანტთა პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაეხდა, — წერს პროფესორი მირჩუკი.

ოუნ-ში იმსანად დაძაბული ვითარება შეიქმნა. უფროსი თაობის მებრძოლები ამტკიცებდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში პიტლერელებთან თანამშრომლობა აუცილებელი იყო. ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ახალგაზრდები. მათი ლიდერი ბანდერა მიიჩნევდა, რომ პიტლერელებთან თანამშრომლობა უკრაინას არაფერს მოუტანდა, რადგანაც ნაცისტებს უკრაინის დამოუკიდებლობას გაგონებაც კი არ სურდათ. ბანდერას აზრით, ოუნ-ს საკუთარი თამაში უნდა წარემა-



სტეპან ბანდერას პაველის ფოტო



ახალგაზრდა  
ბანდერა

თა, ხოლო პოლიტიკა უნდა ყოფილიყო არა პროგერმანული ან პროდასვლური, არამედ პროექტაზე ამ მიზეზით ის სასტიკად და-უპირასპირდა ოუნ-ის მაშინდელ ლიდერ ან-დრეი მელნიკეს, რაც 1940 წლისთვის ოუნ-ის გათიშვით დასრულდა.

— ბანდერას მოქმედებმა შექმნეს საკუთარი ორგანიზაცია, სახელწოდებით ოუნ-რევოლუციური. სწორედ მის წვერებს უწოდეს შემდგომში ბანდერელები, — წერს პეტრო მირჩაკი.

1941 წლის 22 ონის გერმანია-საბჭოთა კავშირის ძმი დაიწყო. 30 ონის პიტლერული არმია ლვოვში შევიდა. ბანდერულებმაც მაშინვე გამოაცხადეს უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენა, შეიქმნა დროებითი მთავრობა. გერმანელებმა დამოუკიდებლობის აქტის გაუქმება კატეგორიულად მოითხოვეს. ორი დღის შემდეგ ლვოვში ჩაიდა აინხაცოლანდა



ბანდერას ოჯახის სახლი ცეტარი ურგინვემდი

(ჰიტლერულთა სადამსჯელო სპეცნაწილები), რომელმაც პრეზიდენტი სტეცკო და მთავრობის თითქმის გველა წევრი დააპატიმრა. კრაკოვში დააპატიმრეს სტეპან ბანდერაც. გერმანელები ისევ მოითხოვდნენ დამოუკიდებლობის აქტის გაუქმებას. ბანდერას პასუხი მტკიცე იყო: აქტი არ გაუქმდება!

— მაშინ ჰიტლერულებმა ის ზაკსენპაუზენის საკონცენტრაციო ბანაგში მოათავსეს, — წერს მირჩუკი, — ბანდერას ორი ქმა, ვასლი და ალექსანდრი კი ოსვენციშში. 1943 წელს ბანდერას ორივე ქმა ცოცხლად დაწვეს. თავად ბანდერა კი 1945 წლამდე საპატიომროში იყო.

ჰიტლერულებმა ბანდერულთა წინააღმდეგ  
მასობრივი რეპრესიები დაიწყეს. პროფესორ  
კოლოდიმირივიჩის ცნობით, მხოლოდ 1941  
წლის აგვისტო-სექტემბერში რეპრესირებულ  
ბანდერულთა რიცხვმა ორი ათასს გადააჭარ-  
ბა. პასუხად ბანდერულები იატაკებულშეთში გა-  
დავიდნენ. 1942 წელს მათ შექმნეს უპა (უკ-  
რაინის აჯანყებულთა არმია), რომელმაც წა-  
მოიწყო შეიარაღებული ბრძოლა როგორც ნა-  
ციზმის, ისე კომუნიზმის წინააღმდეგ

— უპა-ს კონტრლექვეშ მოეცა როგორც  
კოლინის დიდი ნაწილი, ასევე დნეპრის მარ-  
ჯვენა ნაპირის მოზრდილი ტერიტორიაც, —  
წირს მიტწუ ი.

1945 წლის 9 მაისს მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, უკრაინაში კი ბრძოლები გრძელდებოდა. ბანდერელები იარაღით ხელში 1956 წლამდე იბრძონენ.

მავლელობა

მეორე მსოფლიო ომის შედეგ ბანდერა  
მიუნხენში დამკვიდრდა. მის გარშემო უკრა-  
ინული ემიგრაციის ყველაზე აქტიურმა ელე-  
მენტუებმა მოიყარეს თავი. ოუნ-რევოლუციუ-  
რიც განაგრძობდა ომს საბჭოთა კავშირთან.  
მას საკუთარი უშიძროება ჰყავდა, აგრეთვე  
კადრები, რომელთაც პოლიტიკური ბრძო-  
ლაც შექძლოთ და პარტიიზანული ომის ორ-  
განიზებაც. საბჭოთა შჩვერავი კი ფილბი,  
რომელიც იმსანად ინგლისის დაზვერვაში  
მუშაობდა, მოსკოვს ატყიბინებდა, რომ ოუნ-  
რევოლუციური ორგანიზაცია სხვა უკრაინულ  
ორგანიზაციებს შორის ყველაზე მძლავრი და  
გავლენიანი იყო, ბანდერა კი უკრაინულ მოღ-  
ვაშეთაგან ყველაზე ძლიერი. მას ჰყავს მომ-  
ხრები როგორც ემიგრაციაში, ისე საბჭო-  
თა უკრაინაშიც.

არგენტინელი ექსპერტი ენრიკე მარტინეს კოდი წერდა:

— მოსკოვმა უკრაინაში მასობრივი წმენ-დები მოაწყო. მიუხედავად ამისა, უკრაინული წინააღმდეგობის მოძრაობის განადგურება რუსეთმა ვერ შეძლო. უპა კვლავაც რჩება მძლავრ პოტენციურ ძალად, რომელსაც შე-უძლია საბჭოთა კავშირ-დასავლეთს შორის ომის შემთხვევაში პარტიზანული მოძრაობა გააჩადოს.

კრემლმაც ბანდერაზე ნადირობა დაიწყო. სუკი შეეცადა, ოუნ-რევოლუციური შიგნიდან აეფეთქებინა და ბანდერა პოლიტიკური ას-პარტიზიდან განედევნა. მცდელობა მარცხით დასრულდა. ამის შემდეგ დაიწყო ბანდერაზე თავდასხმების ორგანიზება. პეტრო მირჩუკის ცნობით, მხოლოდ 1948-1952 წლებში ბანდე-რას ლიკვიდაცია თორმეტჯერ სცადეს. ყვე-ლა მათგანი თუნ-ის უშიშროების სამსახურ-მა აღკვეთა. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბან-დერაზე ნადირობა გაათეკეცებული ძალით გაგ-რძელდა.

— ხუშჩოვს, რომელიც წლების განმავ-ლობაში უკრაინის ცენტრალურ კომიტეტს ედგა სათავეში, ბანდერასთან ძევლი ანგარი-შები ჰქონდა. ნიკიტა სერგეევიჩმა სუკის მა-შინდელი შეფის, შელეპინის წინაშე მოკლე და ლამონიური ამოცანა წამოაყენა: ბანდერა უნ-და მოკვდეს! — წერდა ლეონიდ მლეჩინი.

მევლელის „როლზე“ დასავლეთ უკრაინის მევიდრი ბოგდან სტაშინსკი „დაამტკიცეს“. იგი ძალზე კოლორიტული ბიოგრაფიის პატ-რონი გახდლდათ სტაშინსკი სოფელ ბოირშტო-ვიჩში (ლვოვის მახლობლად) დაიბადა დარიძი, მაგრამ პატრიოტულ უკრაინულ ოჯახში. მისი და ირნა ბანდერული იყო, დის საქმრო კი ბო-ირშტოვიჩის მახლობლად მოქმედ ბანდერელ პარტიზანთა რაზმს მეთაურობდა. სუკმა ეს



ბოგდან სტაშინსკი (მარცხნივ) თავის თჯაზუან ერთად

დაადგინა და სტაშინსკიც უჩუმრად დააპატი-რეს. მას ულტიმატუმი წაუჟენეს: ან სუკის-თვის მუშაობა, ან დის დახვრუტა და ოჯახის ციმბირში გასახლება. სტაშინსკიმ პირველი აირჩია. მისი პირველი სერიოზული ოპერაცია იმ პარტიზანული რაზმის განადგურება იყო, რომელსაც მისი დის, ირინას საქმრო მეთაუ-რობდა. სტაშინსკის დახმარებით სუკმა შეიპ-ყრო ამ რაზმის ერთ-ერთი მებრძოლი, ვინმე მიხაილო სტახური. მოგვიანებით სტახურს ბრალი უკრაინელი საბჭოთა ანტიფაშისტი მწერლის, იაროსლავ გალანის მკვლელობა-ში დასდეს და დახურიტეს. სტაშინსკის დახ-მარებით ხსენებული რაზმი განადგურდა, ირი-ნას საქმრო ჩეკისტებთან შეტაკებისას დაი-ღუპა, თავად ირინას, ისვე როგორც სტაშინ-სკების ოჯახს, სუკი არ შეხებდა. ჩეკისტებმა ბოგდანისადმი მიცემული პირობა პატიოსნად შეასრულეს.

ამის შემდეგ სტაშინსკი სპეციალურ ჯგუფში შეიიყვანეს, რომლის ამოცანაც უკრაინულ გმიგრაციასთან ბრძოლა იყო. ბოგდანი აღმო-



ლევ ბეგეტი  
ოსკენციიში,  
1941 წ.



2009 წელს კივის ქუჩებში უკრაინელ  
ნაციონალისტთა ორგანიზაციის (ოუნ) შექმნის  
67 წლისთვეს აღნიშვნავნ

სავლეთ ბერლინში მცყოფებოდა, საიდანაც და-  
სავლეთ გერმანიაში გადადიოდა, რათა უკრა-  
ინული ემიგრაციის ლიდერებს გასწორებოდა.  
სწორედ სტაშინსკიძმ მოკლა უკრანელთა  
ერთ-ერთი ლიდერი, პროფესიონალ ლევ რებე-  
ტი. მას სპეციალური ზისტოლეტიდან სახეში  
კალიუმის ციანიდი შეასხა. მოგვიანებით  
ფრანგულ გაზეთ „მონდში“ ეს პისტოლეტი  
ასე აღწერეს: „უკანასკნელი სიახლე, სანიმუ-  
შო, უბრო პისტოლეტი, რომელიც ისერის კა-  
ლიუმის ცანიდის ბაზზე დაზადებულ მფრი-  
ნავ შეამს. ის მსხვერპლს სახეში ესხმება და  
მომენტალურ სიკვდილს იწვევს. ექვსი წუთის  
შემდეგ მსხვერპლის ორგანიზმი შეამის თით-  
ქმის არაერთარი ქალა აღარ რჩება. გაკეთი-



ბანდერას საფლავი გალდორიდჰოფში (მიუნიციპალიტეტი)

სას ექიმის შეუძლია დააღინოს მხოლოდ ის, რომ გული გაჩერდა და კეთდება დასკვნა გულის შეტყვის შესახებ“.

რებეტის სიკედლილი თავდაპირველად ყველამ უეცარ ინფარქტს დააბრალა. სუქმა გადწყვიტა, მსგავსი მეთოდი ბანდერას მიმართაც გამოვეწნებინა. ჩეკისტებმა იცოდნენ როგორც ბანდერას მისამართი (ის მიუწენდი სტეპან პოპელის სახელით ცხოვრიბდა), ისე მისი დღის განრიგი. ჯრძოდ ის, რომ ბანდერა დღის პირველ საათზე შინ სასადილოდ მოდიოდა. 1959 წლის 16 ოქტომბერსაც ოუგ-ის ლიდერი შინ მოიდა. ჩასაფრებულმა სტამინსკიდ დაინახა, რომ მანქანა, სადაც მისი მცველები ისხდნენ, ანაზღად ადგილს მოსწერდა და წავიდა. ბანდერა კიბეს აუყვა. სტამინსკი საფარიდან გამოიდა, კიბები კატასაფით უხმაუროდ აირინა. ბანდერას მაშინ დაწია, როცა ის გასაღებით საკუთარი ბინის კარს აღიბდა.

— რაო, საკეტი არ მუშაობს? — შეეკითხა  
მკვლელი.

ბანდერა ინსტინქტურად შემოტრიაღდა.  
სტაშინსკიც ამას ელოდა. მან მარჯვენა ხე-  
ლი წინ გამოისროლა და სასხლეტს თითო გა-  
მოჰკრა. გაისმა მოშიშინე ხმა. ყრუდ გასკდა  
აძპულა.

— ბანდერას მუეღლებ ქმრის ხმა გაიგონა. ქალმა კარი გააღო თუ არა, თვალწინ საზარელი სანახაობა გადაეშალა. კიბეზე მისი ქმარი იწვა. ის უკვე აღარ სუნთქვადა, — წერს მირჩქი.

რამდენიმე საათის შემდეგ მთელი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა გაავრცელეს ცნობა, რომ მიუნხენში გაურკეველ ვითარებაში დაიღუპა უკრაინული ეროვნული მოძრაობის ლიდერი სტეპან ბანდერა.

\* \* \*

დღეს უკვე ცნობილია, როგორ შეუეტარ-  
და სტაშინსკის გერმანელი ინგე პოლი, რო-  
გორ დაარწმუნა ინგემ დასავლეთში გაქცე-  
ვის აუცილებლობაში, როგორ გადავიდა ბოგ-  
დანი ინგესთან ერთად საზღვარზე და როგორ  
ჩაპარდა დასავლეთ გერმანიის ხელისუფლე-  
ბას. ბანდერას მყვლელობის საიდუმლოებას  
ფარდა აწადა...

ბანდერა ისტორიაში შევიდა როგორც წა-  
მებული გმირი. იგი დაუმორჩილებელი უკრა-  
ინის სიმბოლოდ იქცა...

ବୁଦ୍ଧି ତଥା ପରିମାଣ

სამხელეო ჟურნალი,  
„კრიტიკა“!



ინფორმაცია, რომელიც  
მიზანში ხვდება!

გამოდის თვეში ორჯერ!  
იყიდული პრესის გამარტინაცია!



# ლაშერობათა დასაწყისი პირველი ჯვაროსნები

შეა საუკუნების ეპოქისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში უძნიშვნელოვანები აღილა უკაფა ჯვაროსნეულ ლაშერობებს. სამეცნიერო წრეებში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა ამ მასტებული მოძრაობის მიზნებისა და ხასიათის შესახებ. ჯვაროსნეული ლაშერობები უკავშირდება ეპოქური შეა საუკუნების ერთ-ერთ გველაზე პოპულარულ და რომანტიკულ სახეს – რაინდობას. ასევე კათოლიკურ ეკლესიას, რელიგიური იდეებით შთავონებული ეპოქის დაბალ სოციალურ ფენებსა და სერთოდ, დასვლურ ქრისტიანულ სამყაროში ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას.

მაინც ვინ იყვნენ პირველი ჯვაროსნები? რამ აიძულათ ისინი, დაეტოვებინათ თავიანთი ქეყნები, ოჯახები და მორიულსა და უცნობ მხარეში საომრად წასულიყვნენ, თან არც კი იცოდნენ, დაბრუნდებოდნენ თუ არა? მიზეზები ძალიან მრავალთეროვანია, ისევე როგორც აღმოსავლეთში უფლის საფლავის

გასათავისუფლებლად წასულთა შემადგენლობა.

თავდაპირველად ამ ლაშერობათა გამომწვევ მიზეზებზე შევჩერდეთ. ისტორიკოსთა აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რამაც აღმოსავლეთისკნ ასეთი მასტების მოძრაობა გამოიწვია, ეპოქაში მიწების სიმ-

წირე იქცა. დიდ ფეოდალურ ოჯახებს, რომლებიც მრავალშეგოლიანობით გამოირჩეოდნენ, მიწები აღარ ჰყოფნიდათ. მიწა, როგორც წესი, მეტყვიდრეობით უფროს ვაჟს გადაეცემოდა, დანარჩენები კი ხშირად უმიწევყლოდ რჩებოდნენ. ეს წვრილი რაინდობის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენდა, ამიტომ რაინდთა ნაწილი, რომელიც ქონებასა და სიმდიდრეს იყო დახარბებული, თან „საქმენი საგმირონიც“ იზიდავდა, ხალისით მიემართებოდა აღმოსავლეთში საომრად, არა იმდენად უფლის საფლავის გასათვაის უფლებლად, რამდენადაც სახელისა და ქონების მოხვეჭის სურვილით.

არანაკლებ პრაგმატული მიზნები ამოძრავებდათ იტალიის ცნობილ ქალაქებს – გენუას, პიზას, ვენეციას. მათ აღმოსავლეთის სიმდიდრეებთან ერთად (რომლის შესახებ ვროპელებს გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ, თუმცა კი იმდროინდებოდი აღმოსავლეთი სიმდიდრითა და ფუფუნებით მართლაც აღმატებოდა დასავლეთ ვეროპას) ძლიერი საგაჭრო კონკურენტის – ბიზანტიის დასუსტებაც აძლევდათ ხელს. მსხვილი ვეროპელი ფეოდალები კი ახალ-ახალი სამფლობელოების, ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის გაზრდაზე ოცნებობდნენ. გარდა ამისა, აქ გასათვალისწინებელია ევროპელ ქრისტიანთა ბრძოლა მუსლიმან დამპერობთა წინააღმდევ, განსაკუთრებით ესპანეთში, რომელიც „რეკონკისტას“ სახელითაა ცნობილი. მუსლიმანებთან ბრძოლას უკავშირდება დასავლურ ქრისტიანობაში განვითარებული „წმინდა ომის“ იდეა, რომლის მიხედვითაც, სამართლიანია ომი, რომელიც უწმუნოთა წინააღმდევ წარიმართება (საუროოდ, რელიგიის ისტორიაში ცნობილია „წმინდა ომის“ იდეა, თუნდაც ისლამური „ჯიპადი“ რომ გავიხსნოთ).

მაგალითად, 753 წელს რომის პაპ სტეფანეს მიერ ფრანკი წარჩინებულებისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ იმ მეომრების ღვაწლი, რომლებიც სარაცინი (ანუ არაბი, მუსლიმანი) ბარბაროსების წინააღმდევ იმში დაიღუპებოდნენ, მოწამეთა ღვაწლის ტოლფასი იქნებოდა, ხოლო პაპ ღვამეორის თქმით, ასეთი მეომრები სიკვდილის შემდეგ ცათა სასუფეველში მოხვდებოდნენ, რადგან ისინი თავს სწირავდნენ „ჰეშმარიტი რწმენისთვის, საშობლოსა და ქრისტიანობისთვის“. ხშირად მოიხმობდნენ ძველაღთქმისე-

ულ მაგალითებს, რითაც განამტკიცებდნენ „წმინდა ომის“ იდეის სამართლიანობას (უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება ნეტარი აეგუსტინეს თხზულებებიდან იღებს სათავეს). ანუ დასავლური ეკლესიის წიაღში ჯვაროსნული ლაშქრობების იდეის აღმოცენებას იღეოლოგიური საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. ქრისტიანული დასავლეთი ისლამურ აღმოსავლეთზე კონტრშეტვისთვის ემზადებოდა. ამ ყველაფერს ემატებოდა ვეროპაში გახშირებული ეპიდემიები და შიშმბლი, რაც განსაკუთრებით დაბალ სოციალურ უქნებს ლაშქრობაში მონაწილეობის საბაბს აძლევდა.

XI საუკუნის შუა წლებისთვის დასავლური ეკლესია გაძლიერებისა და აღმავლობის გზაზე დადგა, რაც გამოწეული იყო კლენიური მოძრაობის რეფორმებითა და პაპ გრიგორი VII-ის (1073-1085) მოღვწეობით. კლენიური მოძრაობა მტკიცე საეკლესიო ორგანიზაციის შექმნასა და სამღვდელოების ზნეობრივ ამაღლებაზე ზრუნავდა. 1054 წელს ბერძნულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მორიგი და საბოლოო განხეთქილება მოხდა, თუმცა ორი ეკლესიის დაშორება უფრო ხანგრძლივი პროცესი იყო და XI საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ეკლესია დიდ გავლენას ფლობდა და ბერძნოვია, მის მოწოდებებს კოველთვის ბევრი აღმაინი ეხმაურებოდა. ჯვა-



საეკლესიო კრუბა კლერიკონში, 1095



კლიენტის საქალენით კრების შემდეგ პაპმა ურბან  
მეორემ დღა ცის ქვეშ შეკრუბილ ხალხს უფლის  
საფლავის გათავისუფლებისკენ მოუწოდა

როსნელი ლაშქრობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას ისტორიკოსები ხშირად ახსენებენ იმდროინდელი ევროპის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრამარეობას, საკაპიტო-პოლიტიკურ ინტერესებს, დემოგრაფიასა და სხვ მსგავს ფაქტორებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი — რელიგიური საფუძველი. რელიგია დღესაც, XXI საუკუნის სამყაროშიც უმნიშვნელოგანეს როლს ასრულებს. მით უფრო დიდი იყო მისი გავლენა შუა საუკუნეებში. ვფიქრობთ, ადამიანთა დიდი უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთში გულწრფელი რელიგიური მოსაზრებებით მიემართებოდა. მათ მართლაც პეტროს ცოდვათა მიტევებას შეჰქიდა, იმ შემთხვევაში თუ ისინი აღმოსავლეთში უფლის საფლავის გათავისუფლების გულწრფელი სურვილით წაგიდოდნენ და არა სიმდიდრისა და სახელის მოსაზეპარ.

როსნელი ლაშქრობის პირველ მონაწილეებს: გლეხებს, ქალაქის მოსახლეობის უდატაკეს უწენებსა და ზოგადად უკელაზე დაბალი სოციალური წრების წარმომადგენლებს. თუმცა ასეთ გულწრფელ მოწმუნეთა გვერდით უძრავი მოძალადე და ბოროტმოქმედი იყრიდა თავს.

სანამ უშუალოდ ლაშქრობაზე ვისაუბრებდეთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ საფრანგეთი, კლერმონი, 1095 წლის 26 ნოემბერი, როცა საეკლესიო კრების დასრულების შემდეგ რომის პაპმა ურბან მეორემ დღა ცის ქვეშ შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა და უფლის საფლავის ურწმუნოთა ხელიდან გათავისუფლებისკენ მოუწოდა. „ასეთია ნება ღვთისა!“ — ყვიროდნენ მოედანზე შეკრებილნი, პიუის ეპისკოპოსმა ადემარმა მუხლი მოიყარა პაპის წინაშე და ლაშქრობისთვის კურთხევა გამოსთხოვა. ლაშქრობის იდეა ათასით ადამიანმა აიტაცა, მათ თავიანთ ნიშნად სამოსზე, მარჯვენა მხარეს ამოქარგული ჯვარი აირჩიეს. ასე დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები. რომის პაპი ლაშქრობათა მონაწილე ქრისტიანებს ცოდვათა მიტევებას შეჰქიდა, იმ შემთხვევაში თუ ისინი აღმოსავლეთში უფლის საფლავის გათავისუფლების გულწრფელი სურვილით წაგიდოდნენ და არა სიმდიდრისა და სახელის მოსაზეპარ.

რა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთში? X საუკუნეში ბიზანტიის იმპერიამ ძლიერების მწვერვალს მიაღწია, თუმცა XI საუკუნეში მის საზღვრებთან თურქთა გამოჩენამ მდგომარეობა მნიშვნელოვან შეცვალა. საიმპერატორო კარის გადატრიალებებმა, მმართველთა ხშირმა ცვლილებამ და მტრის (პატანიკები, თურქები, ნორმანები) მასობრივა შემოსავებმა იმპერიის საზღვრები შეამცირა. ბიზანტიას აგრესიულად უტევდნენ თოლრულ-ბეგი, ალფ-არსლანი (1065-1072) და მალიქ-შაჰი (1072-1092). ბიზანტიელებმა სასტიკა მარცხი იწვნიეს 1071 წელს მანასკერტთან, სადაც იმპერიატორი რომანოს დიოგენე თურქებს ტკედ ჩაუკარდა. ეს დამარცხება იმპერიისთვის დიდი ტრაგედიის დასაწყისად გადაიქცა. თურქებმა დაიპყრეს კაპადოკია, აიღეს ნიკეა, იკონია, ქრისოპოლი და იმპერიის სხვა უმნიშვნელოვანების სტრატეგიული ქალაქები, ციხესიმაგრები თუ მხარეები. თურქ-სელჩუკთა გავლენა ახლო აღმოსავლეთში დიდ ნაწილზე გავრცელდა. თურქებმა დაიპყრეს სომხეთიც. 1048 წელს აიღეს არზნი, 1064 წელს — ანისი, ხო-

ლო 1071 წელს, ბიზანტიულთა სახტიყი მარცხის შემდეგ, სომხეთის დაჩქნილ ნაწილსაც დაეუფლენენ. სომხერი სახლმწიფოებრიობა მხოლოდ კილიკიის სომხურ სამეფოში განაგრძობდა არსებობას, თუმცა ეს უკანასკნელი რამე სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა. თურქებმა დაიპყრუს ერაყი, სირია, ირანი, მცირე აზიის დიდი ნაწილი.

უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოს სამეფოში იყო, რომელიც ბიზანტიის შემდეგ აღმოსავლეთში ქრისტიანობის უმთავრეს დასაყრდენად რჩებოდა. სელჩუკები საქართველოში მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს შემოიჭრენ (1064 წელს). მიუხედავად ქართველთა წინააღმდეგობისა, თურქებმა საქართველოს დიდი ნაწილის დაპყრობა მოახერხეს. მდგომარეობა კიდვე უფრო დამძიმდა ბაგრატის მემკვიდრის გიორგი II-ის (1072-1089) მეფობისას, საქართველოს სამეფო კარი თურქებს ხარკს აძლევდა, ეს უკანასკნელი საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს სამორებად და იყენებდნენ. მდგომარეობა რადიკალურად არც გიორგის მემკვიდრის, დავით IV-ის (1089-1125) მეფობის პირველ წლებში შეცვლილა. დავითი იძულებული იყო, თავისი მეფობის პირველი ათწლეულის განმავლობაში სელჩუკებისთვის ხარკი ქადა.

აი, ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთი, როცა მის მიწაზე პირველმა ჯვროსნებმა შეაბიჯეს. როგორც აღვნიშნეთ, პირველი ჯვროსნები უბრალო მორწმუნები, კვროპის მოსახლეობის კვლელაზე დაბალი სოციალური უფენების წარმომადგენლები იყვნენ. მათთვის უმთავრესი მიზანი წმინდად

რელიგიური იყო, რადგან აღმოსავლეთისკენ სასწაულების მოლლოდნში მიდიოდნენ. მგზნებარე მქადაგებელ პეტრე მეუდაბნოისა და რაინდ ვალტერ უქონელის (გოტიერმცროსის) ხელმძღვანელობით ჯვაროსანთა ნაწილი ჩრდილოეთ საფრანგეთში შეიკრიბა. სხვა ნაწილი იკრიბებოდა გერმანიაში. უხარმშეარი მასის რაოდენობა ასი ათასს აღწევდა. ეს უშველებელი ბრძოლი, წმინდა რელიგიური იდეაბით აღტკინებულ ადამიანთა გარდა, გაქცეული გლეხებს, დამნაშაულების, აფხავებს, მოძალადებებისა და სხვა მსგავსი საქმიანობისა და ფსიქოლოგიის ადამიანებისგან შედგებოდა. ისინი ნაკლებად უსმენდნენ თვიანთ წინამდლოლებს და რადგანაც სასჯელის შიში არ ჰქონდათ, ყველაფერზე მიდიოდნენ. მით უმეტეს, თან არც საკვები, არც სხვა რამ რესურსი გააჩნდათ, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯაზე იყვნენ გადასული. სალაშქროდ წასულ მმაკაცებს თან მიყვებოდათ ქალები და ბავშვები. მიაღწევდნენ თუ არა რომელიმე დასახლებულ პუნქტს, კითხულობდნენ: „ეს ხომ არ არის იერუსალიმი?“ რელიგიური ისტერიის ფონზე რაინისპირა ქალაქებში ებრაელთა რბევა დაიწყეს. ებრაელთა საშინელი სასაკლაოები მოაწყვეს ვორმესში, კიოლნში, მაინცში. მაინცის ებრაელობა ადგილობრივმა ეპისკოპოსმა საკუთარ სახლში გადამალა, მიუხედავად ამისა, ბრძოლის გამოსახულის სახლში შეიჭრა და იქ მყოფი ებრაელები ამოხოცა.

ჯვაროსანთა წინამდლოლად პეტრე ამიენელი მიიჩნეოდა. გვაინდელმა ლეგნდამ საერთოდ ჯვაროსნულ ლაშქრობათა დაწყება

კონსტანტინოპოლი  
— ბაზანტიის  
დედაქალაქი



**პეტრე შეუდანოისა და რაინდ ფალტერ უქონელის  
არძია თურქებმა გაანადგურუნ...  
არძია თურქებმა გაანადგურუნ...**



**...და პარველი 100-ათასიანი „გლეხური“  
ლაშერობაც სრული კატასტროფით დასრულდა**

სწორედ ამ პოპულარულ მქადაგებელს დაუკავშირა. ლეგენდის თანახმად, იერუსალიმში მყოფ პეტრეს (ის პილიგრიმი იყო და იერუსალიმის მოსალოცად ლაშერობათა დაწყებამდეც დადიოდა) ძილში მაცხოვარი გამოეცხადა, რომელსაც პეტრესთვის უთქმის: „პეტრე! საყვარელო შვილო ჩემო! ადექი და მიდი ჩემს პატრიარქთან და ის მოგცემს შენი წარგზავნილობის წერილს. მოყვეთ შენს სამშობლოში წმინდა ადგილთა სავალალო მდგომარეობის შესახებ და გამოაფხიზლე მორწმუნეთა გულები, რათა იერუსალიმი წარმართთაგან გაათვისუფლონ!“ პეტრეც მისულა იერუსალიმის პატრიარქთან, რომელსაც მართლაც მიუცია მისთვის წერილი. პეტრემ წერილი ჰაპს წაუღო, რაც გამსდარა მიზეზი ჯვაროსნული ლაშერობების დაწყებისა. ისტორიკოსთა აზრით, ეს ლეგენდა მოგვიანებით პეტრეს პიროვნებით აღფრთოვანებულ მორწმუნეთა წრეში შეიქმნა, რომლებსაც ჯვაროსნულ ლაშერობათა ინიციატორად უბრალო მქადაგებლის ხილვა სურდათ და არა უმაღლესი იერარქისა.

უნგრეთისა და ბულგარეთის გავლისას ჯვაროსნები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ გადაწყვიტა, დაუპატიჟებელი სტუმრებისთვის ჭკუა ესწავლებინა. უნგრეთის საზღვართან მათ უნგრეთის კბილებამდე შეარაღებული მეფე კალომანი დახვდა. კალომანმა ჯვაროსნებს დახმარება და ქვეყნის ტერიტორიაზე მშვიდობიანი გავლა შესთავაზა, მხოლოდ იმ პირობით, თუ მომზდურები ადგილობრივ მოსახლეობას არ შეაწებდნენ. თავდაპირველად ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართა, მაგრამ როცა უნგრეთში ჩასულ ჯვარისანთა მეთაურმა გოტშალგმა შეიტყო, რომ ჩეხების მთავარ ბრიანჩისლავს ჩეხეთში მყოფი ჯვაროსნები დაუხოცავს (რისი მიზეზიც ნამდვილად ექნებოდა), შერისძიების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა და აწიოკება დაწყო. კალომანმა ჯვაროსნები ერთი დარტყმით გაანადგურა. სრულ კატასტროფას გადარჩენილებმა ძლიერ გამოაღწიეს უნგრეთიდან. კარგი დღე არც ბულგარეთში მყოფთ დაადგათ. როგორც იქნა, არეულმა, ცუდად შეიარაღებულშა და არაორგანიზებულმა ბრძომ კონსტანტინოპოლამდე ჩააღწია (1096). ბერძნები ჯვაროსნებს კეთილგანწყობილად დახვდნენ, ასევე ძალიან კეთილგანწყობილი იყო მათდამი იმპერატორი ალექ-

სი კომნენოსი, რომელმაც დედაქალაქში ჩა-  
სულთ მნიშვნელოვანი დაბმარება გაუწია,  
მაგრამ ბიზანტიის იმპერიის ბრწყინვალე დე-  
დაქალაქში ევროპელი გლეხები, რომელსაც  
ცხოვრებაში ფიცრულების მეტი არაფერი  
ენახათ, ადგილობრივ სიმძიდრეებს დახარ-  
ბდნენ. ქალაქში უწესრიგობა დაიწყო. ჯვა-  
როსხებს ადგილობრივ სამართალდამცვე-  
ლებთან უხდებოდათ შეტაკება, თუმცა ქა-  
ლაქში დიდხანს არც გაჩერებულან. აღარ მო-  
უცადეს რაინდებს, იმპერატორსაც მათი თა-  
ვიდან მოშორება სურდა, და ბოსფორის სრუ-  
ტით მცირე აზიაში გადავიდნენ. ასი ათასი  
ჯვაროსნიდან თურქების მახვილს იქიდან  
მხოლოდ პეტრე მეუდაბნეუმ და რამდენიმე  
ათასში გამოასწრო. ლაშქრობა სრული კა-  
ტასტროფით დასრულდა.

ამასობაში კი ევროპაში ფეოდალები იწ-  
ებდნენ შეიარაღებასა და შეკრებას. პროვან-  
სელები და იტალიელები გრაფ რაიმონდ ტუ-  
ლუზელის მეთაურობით აღმოსავლეთისკენ  
იტალიის, დალმაციისა და ეპირის მთების გავ-  
ლით მიემართებოდნენ. ჩრდილოეთ საფრან-  
გეთისა და გერმანიის რაინდები, ლოთარინ-  
გიის პერიოდის გოტფრიდ ბულონელისა და  
მის ძმის შეილ ბალდუსის ხელმძღვანელობით,  
მდინარე დუნაის დაუკვნენ. მესამე ჯგუფს ძი-  
რითადად ნორმანები შეადგენდნენ და მათ  
ბოემუნდ ტარენტელი და მისი ძმის შეილი ტან-  
კრედი მეთაურობდნენ. ისინი აღმოსავლეთის-  
კენ ადრიატიკის ზღვის, ეპირისა და თრაკიის  
გავლით მიდიოდნენ. ჯვაროსანთა მეოთხე  
ჯგუფს ჩრდილოეთ საფრანგეთის ნორმანი  
რაინდები შეადგენდნენ, პერიოგ რობერტ  
ნორმანელის მოთავობით.

ჯვაროსნებმა კინსტატინიებოლში თავი  
1096 წელს მოიყარეს. სწორედ აქ გამოჩნდა  
განსხვავება ცივილიზებულ ბიზანტიასა და იმ-  
ღროინდელ დასავლეთ ევროპას შორის. დახ-  
ვეწილი და განათლებული ბიზანტიელი არის-  
ტოკრატია ევროპელებს „ბარბაროსებად“ და  
„ველურებად“ მოისხენიებდა. ანტიათიას, რა-  
საკირიელია, აღმსარებლობითი განსხვავებაც  
აღრმავებდა. ალექსი კომნენოსმა (რომელსაც  
მათი საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენე-  
ბა და თვითად მოშორებაც სურდა) ბოსფო-  
რის სრუტის გავლით სწრაფად გადაიყეანა  
ისინი მცირე აზიაში, მანამდე კი ერთგულე-  
ბის ფიცი დაადებინა. თავდაპირველად გოტ-  
ფრიდ ბულონელმა ამ ფიცის დადებაზე უარი  
განაცხადა და ამაყად თქვა, რომ იმპერატორს



**ანტიოქიაში ჯვაროსნებმა საშინელი ხოცა-ჟღეტა  
მოწვევეს**

მხოლოდ ისე დაელაპარაკებოდა, როგორც  
თანასწორი თანასწორს, მაგრამ როდესაც იმ-  
პერატორმა მის წინააღმდეგ ჯარები დაძრა,  
მაშინვე მორჩილებისა და ერთგულების ხასი-  
ათზე დადგა და ფიცი, ისევე როგორც ყველამ,  
გოტფრიდმაც დადო.

პირველი ქალაქი, რომელსაც ჯვაროსნებ-  
მა ბერძნებთან ერთად ალფა შემოაპტევს,  
იყო რუმის სასულთნოს ქალაქი ნიკა (ბი-  
ზანტიის უძველესი ქალაქი, სადაც პირველი  
და მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებები  
გაიმართა). ბერძნები თურქებს მოელაპარაკ-  
ნენ, თურქებმა ქალაქი ბერძნებს დაუთმეს, ამ  
უკანასკნელებმა კი ჯვაროსნებს ქალაქის კა-  
რიბჭე ჩაურაზეს და გარეთ დატოვეს (1097).  
ჯვაროსნებს გზა უნდა განეგრძოთ. გზა კი  
გრძელი და მძიმე იყო, თან ყველაფერს სა-  
შინელი სიცხე (სიცხეში ჯავშანი ხურდებო-



გოტფრიდ  
ბულონელის  
სკულპტურა  
ინსტუქის  
ეკლესიაში



გოტფრიდ  
ბულონელის  
მანები  
იერუსალიმში,  
აღდგომის  
ტაძარში  
ინახება

და და მეომარი გახურებულ ჯავშანში იხარ-შებოდა) და თურქთა თავდასხმები ემატებო-და. ჯვაროსნებს მხსნელებად კილიკიელი სომხები მოველინენ, რომლებმაც დაღლილ მეომრებს უმასპინძლეს. აქ ერთმანეთს გოტ-ფრიდ ბულონელის მმისშვილი ბალდუინი და ბოემუნდ ტარენტელის მმისშვილი ტანკრუ-დი წაეკიდნენ. ამ უკანასკნელმა ქალაქ ტარ-სოსის დაკავება მოისურვა, თუმცა იქიდან ბალდუინმა გამოაძევა. ბალდუინმა ესეც არ იკმარა, მირითად ლაშქარს გამოეყო და თა-ვი ედესის გრაფად გამოაცხადა (1098). ჯვა-როსნებმა გზა გააგრძელეს და აღმოსავლე-თის ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქს, ანტიოქი-ას მიადგნენ. ალყაც შემოარტყეს, მაგრამ მისი აღება ძალიან საეჭვო ჩანდა. ჯვაროს-ნებს მხსნელად აქაც სომები მოველინათ — ქალაქის ერთ-ერთი კოშკის მცველი, რომე-ლიც ბოემუნდ ტარენტელს, ნორმანთა ხელ-მძღვანელს, ქალაქში შეშვებას შეჰქირდა. ბოემუნდმა აღნიშნულის შესახებ დანარჩენ მეთაურებს აუწევა და გამოაცხადა, რომ სო-მები მცველის წინადაღებას მხოლოდ იმ შემ-თხევაში მიიღებდა, თუ ქალაქის მმართვე-ლად მას აირჩივდნენ. მეოსურუბმა თავდაპირ-ველად შეიცხადეს, იმპერატორისადმი მი-ცემულ ფიცს ვერ ვუდალატებო, მაგრამ როდესაც პორიზონტზე თურქთა ორას ათა-სიანი არმია გამოჩნდა, ფიცი კველას დაა-ვიწყდა და ბოემუნდის წინადაღებაც მაშინ-ვე მიიღეს. 1098 წლის 2 ფენისის ღამებს სო-მებმა მცველმა ჯვაროსნები თავის კოშკში აუშვა. ქალაქი მაღვევე დაეცა. ჯვაროსნებ-მა ანტიოქიაში საშინელი ხოცა-ულეტა მოაწყვეს, რის გაძარცვაც შეიძლებოდა, კვე-ლაფერი წაიღეს და გაიტანეს, მაგრამ იქვე იყო ახალი განსაცდელი.

ჯვაროსნების დაკავებულ ანტიოქიას თურქთა უზარმაზარი ლაშქარი მოადგა. ქა-ლაქში დაიწყო შიმშილი, ეპიდემიები, რე-ლიგიური ისტერია, გამოცხადებები და სხვ. ერთი პროვანსელი მღვდელი ამტკიცებდა, რომ გამოცხადებით იმ შების ადგილსამყო-ფელი შეიტყო, რომლითაც მაცხოვარს გვერდი განუგმირეს. მითითებულ ადგილას შები მართლაც აღმოჩნდა. ნორმანები ირ-წმუნებოდნენ, რომ მღვდელმა შები თვითონ ჩამარხა. მოძღვარმა თავისი სიმართლის და-სამტკიცებლად შებით ხელში ცეცხლში გავ-ლა გადაწყვიტა. გამოცდა წარუმატებლად დასრულდა. პროვანსელი მღვდელი რამდე-

ნიმე დღეში გარდაიცვალა. სსნა არსაიდან ჩანდა, ამიტომ ევროპელებმა ქალაქიდან გასვლა და თურქებთან პირისპირ შერკინება გადაწყვიტეს. თურქებს სუსტი მხარე პქონდათ: ჯარი უდისციპლინო და დაჯგუფებებად დაქსაქსული იყო, ამიტომ ჯვაროსნებმა სელჩუკები ადვილად დამარცხეს, შეძლებ მათ მიტოვებულ ბანაკს შეესივნენ და იქაურობა საშინლად ააოხრეს. ერთ-ერთი თვითმმარცვლის გადმოცემით (რომელიც ჯვაროსნებს, როგორც ჩანს, ჰუმანურ ადამიანებად მიიჩნევდა), „რაც შეეხება ქალებს, რომელებიც ბანაკში აღმოჩნდნენ, ჯვაროსნებს მათთვის არავითარი ზიანი არ მიუქენებიათ(?!), გარდა იმისა, რომ მათი მუცლები ხმლებით გაფატრეს“.

ჯვაროსნებმა განსაზღვრული ხნით ანტიოქიაში შეწერება და „საგმირო საქმეთაგან“ (რომლის მაგალითუბიც ზემოთ მოვიყვანეთ) დასვენება გადაწყვიტეს. დასვენების პერიოდში ეპიდემიამ იმსხვერპლა პაპის ლეგატი ეპისკოპოსი ადგემარი, რომელიც აქამდე ჯვაროსანთა გამაერთიანებლად გამოდიოდა. მისი სიკვდილის შემდგე ვეროპელი დიდებულები ერთმანეთს დაერიცხნენ. უთანხმოება გაღვივდა რაიმონდ ტულუშელსა და ბოემუნდ ტარენტელს შორის. ანტიოქიას ეს უკანასკნელი იჩქმებდა, რისი სასტიკი წინააღმდეგიც და ქალაქის იმპერატორისთვის გადაცემის მომხრე იყო ბოემუნდი. ქალაქი საბოლოოდ რაიმონდს დარჩა. ბოემუნდმა გზის გაგრძელებაზე უარი თქვა. დანარჩენები კი იერუსალიმისკენ გაეჭურნენ.

იერუსალიმი იმ დროს ფატიმიდების დანასტიას ექვემდებარებოდა. ჯვაროსნებსა და ფატიმიდებს შორის მოლაპარაკება რასაკვირველია, უშედეგოდ დასრულდა. ვეროპელები ქალაქის ასაღებად ეშზადებოდნენ. მათ დასახმარებლად იტალიის სახელგანთქმულმა ქალაქმა გენუამ მასალით დატვირთული გემები გამოგზავნა. ჯვაროსნებმა ქალაქთან ხის ორი კოშკი და კიბეები აღმართეს. შეტევამდე ქალაქის გარშემო მსელელობა მოაწევეს ლოცვით, რის შემდეგაც დაიწყო გააფორებული ბრძოლა ქალაქის ასაღებად. ერთ-ერთი შეტევისას ჯვაროსნებმა ხის კოშკიდან გალავანზე რამდენიმე ფიცრით ხიდის გადება მოახერხეს. სახელდახელოდ გადებულ ხიდზე პირველად ორი ფლამანდელი რაინდი გადავიდა, მათ მიჰყვნენ გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმისშვილი ბალდუინი. ამასო-



#### იერუსალიმის აღდა

ბაში ქალაქის სხვა მხარეს ნორმანებმა კვდელი გაარღვიეს და იერუსალიმში შეიჭრნენ. ქალაქი დაცუა 1099 წლის 15 ივლისს. ჯვაროსნებმა მუსლიმთა და ებრაელთა საშინელი ხოცვა-ულეტა მოწყვეს. სასაკლაო მხოლოდ რელიგიური ცერემონიების დროს წყდებოდა. იერუსალიმის მართველად ერთხმად გოტფრიდ ბულონელი აირჩიეს. ახლო აღმოსავლეთში ვეროპული ტიბის სამეფო-სამთავროები შეიქმნა. მუსლიმები არსახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჯვაროსანთა დაპყრობათა პარალელურად გაძლიერებული საქართველოს სამეფო ამიერკავკასიაში თურქების წინააღმდეგ დიდ გამათავისუფლებელ ბრძოლას იწყებდა, თუმცა სახარბიელო არც თვით ვეროპელთა მდგომარეობა იყო. თავიანთი გავლენის განსამტკიცებლად პირველ ჯვაროსნებს კიდევ ხანგრძლივად მოუწევდათ ბრძოლა.

#### შოთა მათითაშვილი

# კლიმატი — ცივილიზაციების . „მკვლელი“

ღომების ჭიშკარი, შესახლელი ძირის არქოპოლისში

ძვ. წ. XI საუკუნის დასაწყისში ძირის ცივილიზაციაშ არსებობა შეწყვიტა. ქალაქები დაინგრა. ცოცხლად დარჩენილები კი მარტივ სოფლურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. კაჭრობა მოიშალა, დამწერლობა მიავიწყდათ. ცივილიზაცია ძვ.წ. VIII საუკუნეში დაბრუნდა. მათ ვისაც ჩვენ ბერძნებს კუწოდებთ, ფინიკიელებისგან დამწერლობა გადაიღეს. წარმოიშვა ათენი, სპარსა და სხვა ძლიერი ქალაქ-სახელმწიფოები. კლასიკურმა საბერძნეთმა მნიშვნელოვნად გადაასწრო წინამორბედს და მნიშვნელოვანი გაფლენა მოახდინა მთელი კაცობრიობის კულტურაზე. მაგრამ რა ძედი ეწია ძირის? უკანასკნელი ცნობებით, ისიც იმ ცივილიზაციების სიას ავსებს, რომელიც კლიმატის ჭირვეულობამ დაღუპა.



ძირის ფრესკა. კნოსოსის სასახლე

კლიმატის შედარებით უმნიშვნელო ცვლილებამ რომ ქაოსამდე და ომებამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ხოლო ძლიერმა ცვლილებებმა — მთელი ცივილიზაციის განადგურებამდე, დაახლოებით ასი წლის წინ გახდა ცნობილი. თემცა ამ იდეამ მყარი მეცნიერული დასაბუთება მხოლოდ 1990-იან წლებში მოიპოვა. მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა მღვმელს და სტალაქტიტებზე ბუნების მიერ დატოვებული მინიშნებების გარჩევა ისწავლეს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც კლიმატის ცვლილებასა და აქადელთა იმპერიის კრახს შორის კავშირი დაადგინა, იელის უნივერსიტეტის პროფესორი პარვი გაისი იყო. სირიაში გათხრების წარმოებისას, ვაისმა მტვრის ნარჩენები აღმოაჩინა და ფარაუდა, რომ ძვ.წ. 2200 წელს რეგიონში კლიმატი უცბად ზედ-

მეტად მშრალი გახდა. ამას ძლიერი შემშილი მოჰყვა, რაც წერილობითი წყაროებითაც დასტურდება.

„ქალაქების დაარსებიდან პირველად, მიწამ არ მოგვცა ხორბალი, წყალმა არ მოგვცა თევზი, ბალებში არ მოვიდა მოსაყალი, არც ღვინო, ციდან არ ჩამოვარდნილა არც ერთი წევთი წყალი“, — ნათელმა „აქადის წყვლაში“.

პროფესორ პარვი ვაისის შრომება მის კოლეგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თემცა მისი ვერსიის დამატებიცებელი ბაზა ჯერ კიდევ სუსტი იყო. მაგრამ 2000 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ დემეონგალი და მისი კოლეგები საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რომელიც 1700 წლით თარიღდება, მიიღნენ დასკვნამდე, რომ ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთი ჩრდილოეთ ატლანტიკაში შექნილ პირობებზეა დამოკიდებული. ცივი წყლის ნაკადი შუამდინარეთში ნალექებს ამცირებს. შემდეგ მათ აღმოაჩინეს, რომ სწორედ ეს მოხდა აქადელთა იმპერიის დანგრევის წინაც.

მაღვევ ცნობილი გახდა, რომ კლიმატის ცვლილებები სხვა ცვილიზაციების უდროო აღსასრულის მიზეზი გახდა. მაგალითად, ჭველა მიღწევის მიუხედავად, დაეცა მაიას დიდი ცვილიზაცია.

შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიორმა ჯერალდ პაუგმა, 2003 წელს, ტბის დანალექების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ ცენტრალურ ამერიკაში ნალექების რაოდენობამ პიგს VII ასლლეულის შუახანებში მიაღწია. შემდეგ კი გვალვისა და უნალექების ხანა დადგა. 830 წლისთვის მაიას ქალაქებში მონუმენტური შენებლობა შეწყდა, თემცა ზოგიერთი დასახლება კიდევ რამდენიმე ასწლეულს არსებოდდა.


ამის მიუხედავად, ისტორიკოსები უხალისოდ თანხმდებან კლიმატური ფაქტორების პოლიტიკურისა და კულტურულის დონეზე განხილვას. საქმე ის გახლავთ, რომ ისტორიულმა შეცნიერებამ უკვე გაარა მსგავსი რამ XVIII-XIX საუკუნეებში. ეკოლოგიური დეტრმინიზმის თეორია ამტკიცებდა, რომ საზოგადოების სტრუქტურასა და ადამიანის ხასიათზე გავლენას გარემოც ახდენს: თბილი დინება ხელს უწყობს სიხარმაცეს, ზომიერი კლიმატი კი — გონებრივ აქტივობას. ეს იდეები არცოთ იშვიათად, რასიზმის გასამართლებლად გამოიყენდოდა.

პიტერ დემეონგალის განმარტებით, დღეს



აქადის  
მეფე  
სარგონი,  
ძ.წ.  
XXIII  
სუკუნი

ჯვრატისა და ტიგროსის შუამდინარეთი ჩრდილოეთ ატლანტიკაში შექმნილ პირობებზეა დამოკიდებული. ცივი წყლის ნაკადი შუამდინარეთში ნალექებს ამცირებს...





**მაას ტომების ქალენდარი**

არავინ ცდილობს, კლიმატი ანთროპოლოგიური თვალთახედის თავში დააყენოს. მისი სიტყვებით, კლიმატი ცივილიზაციას მხოლოდ ამა თუ იმ შეზღუდვას უწესებს. მაგალითად, რამდენიც უნდა იტრიალო, უნაყოფო ნიადაგი დიდ მოსაგალს ვერ იძლევა. შშიერი ადამიანები კი უფრო მეტად დაუცავლი ხდებიან, უფრო მეტად ავადმყოფობენ, მოსაგალს მავნებლები ეტანებიან და სხვ. ამდენად, როგორი განვითარებულიც უნდა იყოს საზოგადოება, კოლაფსი გარდაუყალია.

სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს სურათი ზედმეტად გამარტივებულია. ტექსასის ოსტინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ბუტცერი მიუთითებს, რომ კლიმატური პრობლემები მხოლოდ აშიშვლებენ „ინსტიტუციურ ჩავარდნებს“, ანუ საზოგადოებრივი მოწყობის სუსტ წერტილებს.

მაგრამ როგორი მოსაფიქრებელია, უხევების მიჩვეული მაიას ცივილიზაცია როგორ უნდა გამკლავებოდა ნალექების 40%-ით შემცირებას. ეს უდიდესი გამოცდა იქნებოდა თანამედროვე პირობებშიც. მაგალითად, დღეს საუდის არაბეთი საკუთარ თავს ხორბლით მხოლოდ იმის სარჯზე უზრუნველყოფს სრულად, რომ წყლის ამოქანვას მანამდე მიუწვდომელი სიღრმეებიდან ახერხებს. მაიას ცივილიზაციისთვის ბურღვის თანამედროვე ტექნოლოგიები მიუწვდომელი იყო.


მიკნეს თუ დაფუძნუნდებით, გაურკვეველი ჯერ კიდვე ბევრი რამ არის. მის დაღუპუას ბარბაროსთა შემოსევით და საიდუმლოებით მოცული „ზღვის ხალხების“ თავდასხმებით ხსნიან. მაგრამ 2010 წელს სირიაში მდინარეების დანალექების ანალიზმა გამოავლინა, რომ ძვ.წ. 1200-850 წლებში აქ ძლიერი გაღლების ხანგრძლვით პერიოდი დადგა. ეს ფაქტობრივად, ზუსტად ემთხვევა საბერძნების ისტორიის „შვა საუკუნეებს“.

წლეულს კი ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტის

**პალანკი — მაას ცივილიზაციის უდიდესი ქალაქი**



პარეფსულის  
ტაძარი  
ლუქსორში.  
გვიაბზე



პროფესორმა ბრენდ დრეიგმა აჩვენა, რომ ამ პერიოდში ხმელთაშუა ზღვის აუზში აცივდა, რამაც აორთქლების პროცესი და შესაბამისად, ნალექების რაოდენობა შეამცირა.

ზუსტად ამავე პერიოდში დაეცა ხეთების იმპერია და ეგვიპტის ახალი სამეფო, რაც ისტორიაში შევიდა, როგორც ბრინჯაოს საუკუნის ცივილიზაციის კრახი. მასას ცივილიზაციის კოლაფის პერიოდში კი ჩინეთში ტანის დინასტია ქვეყანაზე კონტროლს კატასტროფული სისწრაფით კარგვდა.

საკითხი, რა თქმა უნდა, როტელია და პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ ფაქტორს ვერ დავაკისრებთ „ზღვის ხალხების“ დარტყმის ობიექტები ხეთები და ეგვიპტელებიც გახდნენ. ტანის დინასტიის ხანაში ადგილობრივი თავადების გამოიერებასაც ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა, თუმცა, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი მუსონების გადაადგილებით გამოწვეულმა გვალვამაც შეასრულა.

გვალვებსა და შიმშილს მიიჩნევს აცტეკთა ცივილიზაციის კრიზისის მიზეზად ჩიკაგოს ბუნების ისტორიის მუზეუმის თანამშრომელი,

პროფესორი გერი ფეინმანი. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ მათ ცივილიზაციის გადარჩენა შეძლეს.

ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ სულ ცოტა, კლიმატური მონაცემების უგულებელყოფა შეუძლებელია. ჩინეთის ისტორიისა და პალეოკლიმატური მოდელირების მონაცემების შედარებითი კვლევებით დადასტურდა, რომ თბილი პერიოდები სტაბილურობით ხასიათდებოდა, ხოლო საშუალო ტემპერატურის გარდნა აჯანყებებისა და ურთიერთდაპირისპირების ალბათობას ზრდიდა. იგივე შედეგი აჩვენა ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ომების პერიოდის, ანუ 1400-1900 წლების ანალიზში.

ევროპის ე.წ. მცირე გამყინვარების პერიოდის (XIV-XIX საუკუნეები) დასწევისში, კინტინენტს თვალს ძლიერი პოლიტიკური კრიზისი და დიდი შიმშილობა დაატყდა, რაც 30-წლიან ომსა და სხვა კონფლიქტებში, მათ შორის ბრიტანეთში მონარქიის დაცემაში გამოვლინდა.

**მომზადებულია NewScientist-ის  
მასალების მიზანით**



## ტროცკის მკვლელობა

1940 წლის 20 აგვისტო, ქალაქი კოიოკანი, მექენიკური ტროცკის სახლს მიუახლოვდა გემოვნებით ჩატული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მიუხედავად შეიანი დღისა, გრძელ ლაბადაში გამოწყობილიყო. მან დაცვას ტროცკისთვის შეზედრა სთხოვა იმ მიზეზით, რომ სტატია აქვს დაწერილი ტროცკისტულ მოძრაობაზე. დაცვამ მამაკაცი სახლში შეუშვა და ტროცკიმ იგი თავის კაბინეტში მიიწვია. სტუმარმა გადასცა ლევ ტროცკის სტატია და როცა დევნილმა რევოლუციონერმა მისი კითხვა დაიწყო, ახალგაზრდამ ლაბადიდან ამოიღო ყინულმჭრელი და მოული ძალით ჩაარტყა ტროცკის კეფაში. გათვლა ისეთი იყო, რომ ერთი დარტყმის შემდეგ რევოლუციონერი მომენტალურად უნდა მოგვდარიყო. მაგრამ კითხვის დროს ტროცკიმ თავი იღნავ მოაბრუნა და ამან დარტყმის ძალა შეამცირა. მართალია ყი-

ნულმჭრელის პირი 7 სანტიმეტრით შევიდა კეფაში, მაგრამ ტროცკი მაშინვე არ მომკვდარა. მან საშინლად დაიყვირა და ამით ისე დააპირა მკვლელი, რომ მან ვეღარ მოახერხა, ტროცკისთვის დანაც ჩაერტყა (დანამას ასევე ლაბადაში ჰქონდა). ყვირილზე კაბინეტში დაცვა შემოგრძელდა და მკვლელი დააკავეს. აღსანიშნავია, რომ მან ფრანგულად დაიყვირა: „მათ ამის გაკეთება მაიძულეს... მათ ციხეში დედახემი ჩასვეს. მათ მისი მოკვლა უნდათ... გთხოვთ მომკალით! მინდა მოუკვდე!“ მოგვიანებით იგი პოლიციას გადასცეს, ტროცკი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავიდან ტროცკის მდგომარეობა დამამედებელი იყო, მაგრამ 21 აგვისტოს მკეთრად გაუარესდა და გონის მოუსვლელად, 19 საათსა და 25 წუთზე ლევ ტროცკი გარდაიცვალა.

ასე დასრულდა ერთ-ერთი გავლენიანი და

ცნობილი ბოლშევკის ცხოვრება. რევოლუციის შემდეგ ტროცკი იყო პირველი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (1917-1918 წწ.), რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე (1918-1925 წწ.), სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი (1918-1925 წწ.) და გაელექნით მეორე კაცი სოციალისტურ სახელმწიფოში. მაგრამ 1924 წელს 21 იანვრს გარდაიცვალა ვლადიმირ ლენინი და მისი სიკვდილის შემდეგ ბოლშევკურ პარტიაში ძალაუფლებისთვის მწვევე ბრძოლა დაიწყო ტროცკისა და სტალინის, კამენევსა და ზინოვიევს შორის. ეს ბრძოლა, რომელმაც დისკუსიის ხასიათი მიიღო, ტროცკის მარცხით დასრულდა: 1927 წელს ლევ ტროცკი გარიცხეს სრულიად რუსეთის კომუნისტური (ბ) პარტიიდან. მანამდე კი, 1925 წლის იანვრში იგი გადააქციეს რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, აგრეთვე სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის პოსტიდანაც. მომდევნო წლის ოქტომბერში სტალინმა ტროცკი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გაიყვანა, 1928 წლის შემოდგომისთვის კი იგი ალმა-ათაში, კაზახეთში გადაასახლეს.

ტროცკიმ ასე ახსნა მისი გადასახლება — „1928 წელს დახვრეტაზე კი არა, არამდე დაკავებაზეც შეუძლებელი იყო საუბარი: თაობა, რომელთანაც მე ოქტომბრის რევოლუცია და სამოქალაქო ომი გავიარე, ჯერ კიდვე ცოცხალი იყო. პოლიტბიურო ყველა მხრიდან ალდები იყო და გრძნობდა ამას. ცენტრალური აზიօდან მე ვუკავშირდებოდი ოპოზიციას“. ტროცკის საცხოვრებელი პირობები ალმა-ათაში საქართველოს კომფორტული იყო: ის განაგრძობდა თავის მომხრევებთან მიმოწერას, შეძლო თავისი უზარმაზარი არქივის გამოტანა (ტროცკიმ ყველა იმ საბუთის ასლი გააცეთა, რასაც ხელი მოაწერა). მაგრამ მიიჩნევდა, რომ არადამაკამაყოფილებელ პირობებში ცხოვრობდა და „ბომბავდა“ ცაპ-ს (ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტს), ცსკ-ს (ცენტრალურ საკონტროლო კომისარს), მპს-ს (მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს). იგი წერდა, რომ გაზეთებს მოსკოვიდან იღებს ათი დღის დაგვიანებით ხოლო წერილები კი სამი თვით იგვიანებს. ტროცკი ასევე აღნიშნავდა, რომ მთავარი პოლიტიკური სამსართველო სანადიონდ წასვლას უკრძალავდა.


ალმა-ათიდან ტროცკი კარგად ზედავდა, როგორ უსწორდებოდა სტალინი თვის ყოფილ მოკავშირებს, კერძოდ ზინოვიევს, ბუხა-



სამხედრო და საზღვაო სამსახური სახალხო კომისარი ლევ ტროცკი

**ტროცკი ბუნების წიაღმი დასკვნებისას**





1929 წლის დაგენერაციების საბჭოთა კუშირიდან  
ტროცკის გახანდების შესახებ. 1939 წლის  
აძღნაწერი

რინსა და კამენევს. მაგრამ ტროცკი ძალიან პოპულარული იყო ძელ რევოლუციონერებში და სტალინი ველარ ბედავდა მის წინააღმდეგ პროცესის დაწყებას. ბოლოს და ბოლოს, მან გადაწყვიტა ტროცკი საზღვარგარეთ გადაესახლებინა. 1929 წელს ლევ ტროცკიმ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ბრძანებით დატოვა საბჭოთა კავშირის საზღვრები. სტალინის ეს ნაბიჯი შემდეგნაირად შეძლება აქტნათ: იგი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ ტროცკი ვეღარ შეძლებდა რამე მოქმედების განხორციელებას. ამ მოქმედიან იწყება ტროცკის მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. პირველი იყო თურქეთი, სადაც რევოლუციონერი კონსტანტინოპოლიში (სტამბოლში) გაჩერდა. მაგრამ კონსტანტინოპოლიში ბევრი ყოფილი თეთრგვარდი იყლი იმყოფებოდა, ტროცკი თავდასხმას ელოდებოდა და თურქელმა მთავრობამ იგი პრინსის კუნძულებზე გადაიყვანა, სადაც ტროცკი აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას შეუდგა, დაწერა ავტობიოგრაფიული ნაშრომი „ჩემი ცხოვრება“.

მაგრამ თურქეთში ტროცკი დიდხანს აღარ

გაჩერდა და 1933 წელს საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. დიდხანს ვერც იქ დაუი, რადგანაც ვეროპელ სოციალისტებთან შეხვედრების გამართვა წამოიწყო და შინაგან საქმეთა მინისტრმა სოხოვა, ქვეყანა დაეტოვებინა. სანტერესოა, რომ 1934 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეძლო ტროცკის გარემოცვაში თავისი აგენტის ჩანერგვა, კერძოდ კი მისი შვილის, ლევ სედოვის გარემოცვაში. ეს იყო მარკ ზბოროვსკი, რომელმაც მოხარეობა ზოგიერთი საბჭოთა მომარვა ტროცკის უზარმაზარი არქივიდან, რომელიც მან საბჭოთა კავშირიდან წაიღო. ტროცკიმ დატოვა საფრანგეთი და ნორვეგიაში გადავიდა, სადაც 1935 წლის არჩევნებში მუშათა პარტიამ გაიმარჯვა. პარტია 1923 წლამდე კომინტერნი შედიოდა (კომუნისტური ინტერნაციონალი — საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტურ პარტიას აერთიანებდა 1919-1943 წლებში). მაგრამ არც ნორვეგიაში დარჩენილა ტროცკი დიდხანს. საბჭოთა კავშირისგან ზეწოლის გამო ნორვეგია იძულებული იყო, ტროცკი 1936 წელს გადაესახლებინა პატარა სოფელში, სადაც ის 1937 წლის იანვრამდე ცხოვრობდა, როცა მექსიკის პრეზიდენტმა, სოციალისტმა ლასარო კარდინასიმ ტროცკი მეხიკში დაპატიჟა, სადაც ის საბოლოოდ დასახლდა.

ემიგრაციაში ტროცკი, გარდა პუბლიცისტური საქმიანობისა, აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. ემიგრაციაში რევოლუციონერმა შექმნა მეოთხე ინტერნაციონალი — აღტერნატიული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა ტროცკისტული მიმართულების პარტიებსა და მის მიმზეულს. ტროცკი მიიჩნევდა, რომ კომინტერნი სტალინის ზეგავლენის ქვეშ იყო ფეხი და მსოფლიო რევოლუციის წარმართვას ვეღარ შეძლებდა. ინტერნაციონალის პირველი შეხვედრა, ეგრეთ წოდებული დამფუძნებელი კონგრესი, 1938 წელს მოწყო საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, ალფრედ როსენის სახლში (ალფრედ როსენი — მეოთხე ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლევ ტროცკის მეუბნელი). კონგრესში მონაწილეობდნენ ვეროპას, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგატები, რაც ტროცკისტული იდეუბის პოპულარობაზე მიუთითებდა. საერთოდ, ტროცკიზმი არ უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი იდეოლოგია ან როგორც ახა-

ლი დოქტრინა. ტროცკიზმი ნამდვილი მარქსიზმია, ოღონდ აზუსტებს და ავითარებს მარქსიზმის თეორიას მნიშვნელოვანს ნაწილს.

მალე ლევ ტროცკი საცხოვრებლად მექსიკაში გადავიდა. 1937 წლისთვის მექსიკას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან, რაც ქვეყანაზე წნებს ამნელებდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მექსიკა ამერიკის შეერთებულ შტატებს ესაზღვრება, 1937 წელს კი აშშ-ის იმყოფებოდა შეოთხე ინტერნაციონალის კველაზე დიდი ეროვნული სექცია, საიდანაც შემოწირულობებს იღებდა. ტროცკის კველა მდივანი და დაცვის წევრი ამერიკელი იყო. თვითონ ტროცკი რამდენჯერმე ეცადა შეერთებულ შტატებში ჩასვლას, მაგრამ აშშ-ის მთავრობა მუდმივად უარს ამბობდა ვიზაზე. ჩრდილოეთ კარილინის უნივერსიტეტმა ტროცკი ლევციების წასაკითხად მიიწვა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო დეპარტამენტმა ვიზის გაცემაზე უარი განაცხადა. ტროცკის ერთადერთი შეხვედრა შეერთებული შტატების ხელისუფლებასთან გაიმართა 1937 წელს მის სახლში, მექსიკაში, სადაც დიუსის კომისიის სხდომები მოეწყო, რომელმაც მოსკოვი პროცესის მისამართის სინამდვილე ეჭვევეშ დააყენა. კომისიის ხელმძღვანელი იყო უდიდესი ამერი-

კელი ფილოსოფოსი ჯონ დიუ. მოსკოვურ პროცესებში იგულისხმება სამი ღია სასამართლო პროცესი, სადაც ბოლშევიკური პარტიის ყოფილი გაელენიანი წევრები გაასამართლებს, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ ტროცკისტულ ან მექსიკურ კარტიკიასთან. გასამართლებულთა შორის იყვნენ პარტიის ისეთი ფუნქციონერები, როგორებიცაა ზინოვიევი და კამენცვი. ტროცკი აპირებდა, კომისიის სხდომები პოლიტიკურ ტრიბუნად გამოეყენებინა, მაგრამ მან ეს კერძო ინგლისური ენის ცუდი ცოდნის გამო. ტროცკიმ უზარმაზარი სამუშაო ჩატარა, მან შეაგროვა დოკუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფნენ მოსკოვური პროცესების შედეგებს. კომისიამ დაადგინა, რომ დაკავშირები ტეულიად გაასამართლეს და არც ტროცკის ჩაუდენია კველა ის დანაშაული, რასაც მას აბრალებდნენ პროცესების მსვლელობისას.

მოსკოვური პროცესების შემდეგ ნათელი გახდა, რომ სტალინისა და ტროცკის დაპირისპირი მათგანის სიკვდილით დამთვრდებოდა. 1938 წელს სტალინმა დააგალა ლავრენტი ბერიას, რომელიც იმ მოქნეტის სთვის საბჭოთა კავშირის შინაგან საქმითა სახალხო კომისარი იყო, ტროცკის წინააღმდეგ „აქციის“ მომზადება. როგორც იხსენებს

ლევ ტროცკი ამერიკელ მიმდვრებთან ერთად. 1940 წ.





დიჯო რაჭელა, ლევ ტროცკი და ანდრუ ბრუტონი მუქისიაში, 1938 წ.

ნამე ამინ მერკადერ დედ როთ ერნანდესი 1960 წელს გაათვისეულეს, ის მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და საბჭოთა კურსის გმირის წილებაც მიიღო



პაველ სუდოპლატოვი, სტალინი არ ამბობდა პირდაპირ, რომ ტროცკი უნდა მოეკლათ, მაგრამ რამდენჯერმე ნათლად თქვა, რომ „ტროცკისტულ მოძრაობაში არ არსებობს ტროცკიზე მნიშვნელოვანი ფიგურა. იმ შემთხვევაში, თუ ტროცკისაც მოვიშორებთ, საფრთხე კომინტერნისთვის მოცილებული იქნება“. ბერიამ შესავაჩა სუდოპლატოვის დაეწება ამ ოპერაციის სათავეში. პაველ სუდოპლატოვი იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საბჭოთა მწვერავი, რომელმაც სახელი გაითქვა ვეგენი კონოვალეცის მკვლელობით — ეს გახდათ უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერი, რომელიც საგანგებოდ მოწყობილი აფეთქებით მოკლეს 1938 წლის მაისში როტერდამში. პაველ სუდოპლატოვი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. სუდოპლატოვმა შესთავაზა ნაუმ ეიტინგტონი, როგორც ოპერაციის უშუალო ორგანიზატორი. ნაუმ ეიტინგტონი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმატებული

აგენტი. მეორე მსოფლიო ომამდე მან მოახერხა ესპანეთის სახელმწიფო ოქროს მარაგის საბჭოთა კავშირში გადატანა (ესპანეთში სამოქალაქო ომში გაიმარჯვა გენერალ ფრანკოს ფაშისტურმა მოძრაობამ და ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობამ ოქროს მარაგის ნაწილი საბჭოთა კავშირში გადაიტანა), ოთრიგვარდიელების მოძრაობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წევრის მოტაცება და მათი საბჭოთა კავშირში გადაყვანა.

ეიტინგტონმა წამოაყენა ამგვარი გეგმა: უნდა შექმნილიყო ორი დამოუკიდებელი ჯგუფი. პირველ ჯგუფს, „ცხენს“ ხელმძღვანელობდა დავიდ ალფარო სიკეიროსი, მექსიკელი მხატვარი, ესპანეთში სამოქალაქო ომის ვეტერანი. ის მექსიკაში გადავიდა და კომპარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა. მეორე ჯგუფს, „დედას“ ხელმძღვანელობდა კარიდად მერკადერი. მისი ერთ-ერთი წინაპარი კუბის ვიცე-გუბერნატორი იყო, ხოლო დიდი ბაბუა — ესპანეთის ელჩი რუსეთში. სწორედ მისი ერთ-ერთი შვილი, ხაიმე რამონ მერკადერ დელ რიო ერნანდესი მოკლავს მომავალში ტროკის. ეიტინგტონმა საგანგებოდ შეარჩია ისეთი აგენტები, რომლებიც არასდროს მონაწილეობდნენ ტროკისტთა წინააღმდეგ გამართულ აქციებში. ოპერაციას დაარქვეს „იხვია“ (იგულისხმება „Утка“ — ანუ დეზინფორმაცია).

აქციის მოწყობის ბრძანება პირველმა მიიღო ჯგუფმა „ცხენი“. ოპერაციის ჩასატარებლად ვიტინგტონმა უბრძანა ერთ-ერთ თავის აგენტს, იოსიფ გრიგულევიჩს, შეექმნა მესამე, დამოუკიდებელი ქსელი მექსიკასა და კალიფორნიაში მოსაწყობი ოპერაციებისთვის. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გრიგულევიჩი დაუშევობდა ტროკის დაცვის ერთ-ერთ წევრს, რობერტ შელდონ ჰარტს. სწორედ შელდონ ჰარტმა შეუშვა სიკეიროსის ჯგუფი (20 კაცის შემადგენლობით) 1940 წლის 23 მაისს ტროკის სახლში. თვედამსხმელები შეიარაღებული იყვნენ თომბესონის ავტომატებით. ჯგუფს პერნდა ტროკის სახლის გეგმა და შესაბამისად, ზუსტად იცოდნენ, სად იმყოფებოდა ტროკი. თავდამსხმელებმა, რომელთაც მექსიკური პოლიციის უნიფორმა ეცვათ, ცეცხლი გაუხსნეს იმ ოთახს, სადაც ტროკი და მისი ცოლი იყვნენ. თავდასხმა 10-15 წუთს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც თავდამსხმელებმა 300-ზე მეტი ტყვია გაისროლეს. სროლის დამთავრების შემდეგ,



ცეილის ფიგურები გამოსახული დაჯ ტროცის დარმობ მერკადერის 1940 წლის 20 აგვისტოს სახელისწირო შეხვედრა

მექსიკელი პოლიციელები მერკადერის მიერ ტროცის შეკლებობისას გამოუენებული ძალაშვლელთა წერაჭვით





სახლი მექანიკაში, სადაც ლევ ტროცკი ცხოვრობდა



მაგიდა, სადაც მოკლეს ლევ ტროცკი. ზემოთ — ძევლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ. ქვემოთ — იგჯუ მაგიდა ტროცკის სახლ-მუზეუმში



ჯგუფმა ორი ცეცხლგამჩენი ხელყუმბარა გაისროლა (ამის გამო სახლში ხანძარი გაჩნდა, მაგრამ ლევ ტროცკიმ და მისმა ცოლმა ცეცხლის ჩაქრობა მოახერხეს) და ტროცკის საძინებელთან ძლიერი ცეცხლგამჩენი ბომბი დატოვეს, რომელიც ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერარ ამოქმედდა. ტროცკი და მისი ცოლი თავდასხმას გადაურჩნენ (ორივე საწოლის ქვეშ დაიმაღლა). თავდამსხმელებთან ერთად გაქრა ტროცკის დაცვის ერთ-ერთი წევრი — ზემოთ აღნიშნული რობერტ შელდონ ჰარტი, მეტსახელად „ამური“. იგი ნამდვილად იყო შესკარის აგენტი, მისი გადაბირება ნიუიორკში მოხერხდა. მამამისის სიტყვებით, შელდონ ჰარტს არასოდეს ქატებოდა გულზე ტროცკისტები, პირიქით, იგი სტალინს ემსრობოდა. შელდონ ჰარტი იყო აშშ-ის კომუნისტური პარტიის წევრი და მის ნიუ-იორკის ბინაში იპოვეს სტალინის დიდი პორტრეტი. ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იპოვეს ესპანურ-ინგლისური ლექსიკონი სიკეიროსის ხელმოწერით. მაგრამ ტროცკი ბოლომდე მიიჩნევდა, რომ რობერტ შელდონ ჰარტი თავდასხმის მსხვერპლია და არა თავდასხმის მონაწილე. ერთი თვის შემდეგ კი, 25 ივნისს ჰარტის გვაძი იძ სახლის ეზოში აღმოჩინეს, რომელიც სიკეიროსის ჯგუფმა გააქირავა. მას ტყვია კეფაში პქონდა მოხვედრილი. პაველ სუდოპლატოვის თქმით, შელდონ ჰარტი იმიტომ მოკლეს, რომ გრიგულევისა და მას ჩვენი გაცემა შეეძლოთ.

ასე უშედეგოდ დასრულდა ტროცკის მკვლელობის პირველი ცდა. ასეთ ვითარებაში ეიტინგტონმა აამოქმედა მეორე ჯგუფი, „დედა“, რომლის ხელმძღვანელი იყო კარიდად მერკადერი. აქვე უნდა აღვინონოთ, რომ ჯგუფის წევრთა შორის იყო მის შვილი, რამომ მერკადერი. საინტერესოა, რომ მისი შეკვანა ტროცკის გარემოცვაში მოხერხდა ჯერ კიდევ 1938 წელს. იქ გაიცნო სილვია აგელოფა, რუთ აგელოფის და, რომელიც ტროცკის სამდივნოში მუშაობდა. „ლევენდის“ მიხედვით, რამონი იყო მდიდარი ბაზენემენი, სახელად ეს მორნარი და მემარცხენე მოძრაობით ინტერესებოდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ექსცენტრიკული ხასიათის გამო. იგი ძალიან მოქანდა სილვია აგელოფს, ლაპარაკი იყო ქორწილზეც, მაგრამ მერკადერი აღარ ჩქარობდა. მექანიკაში რამონ მერკადერი მხოლოდ 1940 წლის მარტში აღმოჩნდა, როცა სილვია აგელოფმა ტროცკის სამდივნოში მუ-

შაობა დაიწყო. მერკადერმა შეძლო ტროცკის გარემოცვის ნდობის მოპოვება, თუმცა ტროცკის სიცოცხლის ბოლო დღეებში ერთგვარი ეჭვი გაუჩნდა მერკადერისადმი. მაგალითად, ე.წ. ლეგენდის მიხედვით, რამონ მერკადერი ბელგიელი იყო და შესაბამისად, ფრანგული ენა კარგად უნდა სცოდნოდა. მერკადერი ფრანგულად კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ენა სავსე იყო ესპანიზმებით. ტროცკი ამბობდა, რომ „უკეთესი იქნებოდა, სილვიას ქმარს ჩვენს სახლში მოსვლა შექმნებით“ და მეტიც, „ჩვენ პატარა გამოიხიბა უნდა მოგაწყოთ“. საინტერესოა, რომ ტროცკის მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ მეზიკოში ესპანური პროტროცკისტული პარტიის ერთ-ერთი წევრი ჩამოვიდა, რომელსაც შეეძლო მერკადერი გაეშიფრა.

მერკადერის თავდასხმა წარმატებით დასრულდა. ტროცკი დაიღუპა, მაგრამ რამონ მერკადერი აიყვანეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე, დაკითხვებზე, მერკადერი მოქმედებდა თავისი ლეგენდის შესაბამისად: იგი არის უან მორნარი, ბელგიის მოქალაქე და მან მოკლა ტროცკი პირადი მოტივის გამო. მართალია, ბელგიის კონსულმა უარყო, რომ მერკადერი ბელგიის მოქალაქეა, მაგრამ მექენიკურმა პოლიციამ მისი ნამდვილი ვინაობის დადგენა ვეღარ მოახერხა. შხოლოდ ომის შემდეგ, ესპანური არქივებიდან გახდა ნათელი, რომ უან მორნარი — რამონ მერკადერია. მაგრამ ამის შემდეგაც ის ამტკიცებდა, რომ ლევ ტროცკი პირადი მოტივის გამო მოკლა. რამონ მერკადერი გაათავისუფლეს 1960 წელს 20 აგვისტოს. ის გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო. 1970 წელს ჩავიდა კუბაში ფიდელ კასტროს მიწვევით (იმ პერიოდში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში მრჩევლად). რამონ მერკადერი 1978 წელს გარდაიცვალა.

ტროცკის გარდაცვალების შემდეგ პროტროცკისტულმა პარტიებმა ნელ-ნელა დაკარგეს გავლენა და ტროცკიზმი საინტერესო დარჩა მხოლოდ მეცნიერებისთვის. ტროცკის წვლილი შექმნდა მარქსიზმის პოპულარობასა და გავრცელებაში და ახალი მიმართულებაც დააფუძნა ამ სწავლებაში, რომელიც მისი სახელით არის ცნობილი — ტროცკიზმი.

## გიორგი ცოხაია



ტროცკი სასიკვდილო სარუსელზე

ლევ ტროცკის საფლავი



# დიმა ერისთავი:

ორა მეუბნებოდა,  
ჭულებითიანი ხარო...

მისი ცხოვრება შშვერიერი სიუჟეტი  
იქნებოდა სქეკლტანიანი წიგნისთვის,  
ოუნდაც იმიტომ, რომ ეპოქის გველა  
გარდა საკუთარ თავზე გადაიტანა: ერთ-  
ერთი წარჩინებული ოჯახის ჩამოძღვალი  
უკიდურესად ხელმოქლევი ცხოვრობდა, მის  
შმობლებს კი მუდმივად პქრნდათ შეში,  
რომ ერთ დღესაც კარზე დაუსაკუნძღვნენ  
და შინას ხეობის წაიყვანდნენ დასაკითხად...  
მაზეზი? საბჭოთა ქვეყანაში გვარი —  
ერთსოფი უკვე მიზეზი იყო. ამას ისეც  
ეძაგებოდა, რომ დედამისის მხა ცხობილი  
ამერიკული ავიაკონსტრუქტორი  
გახლდათ... გასაოცარია, რომ ცხოვრების  
დრამატული ფერები დიმიტრი ერთსოფის  
ფერწერას თთქმოს არ შეტება: აქ  
ჰქოლაფერი უღრუბლო და ანკარაა...  
ოუმცა მეხსიერებას ის ღრუბელიც  
შემორჩა და ის ლაშვიარით სივრცებიც,  
რომელსაც თუგასი ცხოვრების  
განმავლობაში ეზიარა...

— მახსოვს ძეველი ეზო, სადაც ვიზრდებოდი. ადრე წერეთლის ქუჩა იყო, ახლა გალაკტიონ ტაბიძის სახელს ატარებს. იქ ვცხოვრობდით. ადრე მოული სახლი ჩვენ გვეკუთვნოდა, მერე ჩამოგარითვეს. ეზოს მხარეს ორი თთახი და სამხარეულო დაგვიტოვეს.

ყველა ეროვნების წარმომადგენელს შეკვდებოდით ჩვენს ეზოში... იქვე იყო ბაბუაჩე-მის, მიხეილ ქართველიშვილის სახლიც.

ახლაც თვალწინ მიდგას ის გარუმით: მეორე სართულზე ცხოვრობდა ნიკოლამეების ოჯახი. გიორგი ნიკოლაძე არ მახსოვს, მე რომ და-ვიბადე, ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ რუსულან ნიკოლაძე (ცნობილი მეცნიერი, ქიმიკოსი და საზოგადო მოღვწე) კარგად მახსოვს... საინტერესოა, რომ ბაგშვიბის მოგონებებში განსაკუთრებულად აღიბეჭდა ბაბლიონუკები...

ნიკოლამეებს ძალიან მდიდარი ბიბლიოთუ-კა პქრნდათ. დედაჩემა იცოდა ფრანგული, ცოტა ხანს უწევაშიც სწავლობდა. წელიწადი ან ერთხელ ან თრჯერ ავიდოდი ქალბატონ



რუსუდანთან, წამოვიდებდი წიგნებს, მათ შორის ბევრს ფრანგულს. დედა წაიკითხავდა და დავუბრუნებდით ხოლმე. რუსუდანი უკვე ასაკოვანი იყო და ისეთი მეხსიერება პქრნდა, გაგიკვირდებოდათ. ერთხელ წიგნს ვიღებდი დედაჩემისთვის და მითხრა: — დიმა, ეს წიგნი უკვე წაკითხული აქვს თამარასო. წარმოიდგინეთ, უკლაფერი ამახსოვრდებოდა.

მამაჩემს ძალიან საინტერესო ბიბლიოთუ-კა პქრნდა. წიგნი ძალიან უყვარდა და ბავშვობიდანვე რომ პკოთხავდნენ, რა გაჩქეროთ, იურმე წიგნს ითხოვდა. გვქონდა დიდი მწერლების ინგლისურ- და გერმანულენოვანი გამოცემები...

მამამ ენები კარგად იცოდა. ინგლისურად თარგმნიდა, ლექსებსაც წერდა, ლამის ინგლისურად ფიქრობდა კიდეც. ბაირონი, შელი, ედგარ პო უყვარდა ძალიან.

სიტყვამცვირი კაცი იყო, არ მახსოვს, რამე ეთხოვა: ან წყლის მიტანა, ან კარის გაღება... თავად აკეთებდა ჰქოლაფერს.

მამაჩემი პესნენს ხმარობდა. არისტოკრატი იყო, ბოლო წლებში ქუჩაში აღარ გადიოდა. კონტაქტი სულ გაწყვიტა. არც მამაჩემს უხსენებია თავისი ნათესავები — დადიანები და ერისთავები, არც დედაჩებს — თავისი. ალექსანდრე ქართველიშვილსაც არავინ ახსენებდა. ის დედაჩების ძმა იყო — ცნობილი ფიაკონსტანტუქტორი ალექსანდრე ქართველი. ამბობენ, ამდენი თვითმეტრინავი არ აუფრენია არც ერთ კონსტრუქტორსო... ჯერ საფრანგეთში წარიდა სასწავლებლად, შერე ამერიკაში გადაიყვანეს. „ჯენერალ მოტორსის“ თანამფლობელიც კი გამხდარა. ცხადია, მატერიალურად ძალიან კარგად იყო. ომადმე გვიგზავნიდა კიდეც დოლარებს და „ტორგზინში“ ვეიდულობით პროდუქტს. შერე ისე მოხდა, დოლარში მანეთს გვაძლევდნენ, შევი პური კი 40 მანეთი ღირდა, დედაჩებმა შეუთვალა, აღარ გამოგზონო. ბრაზდებოდა, ასეთი გაუფასურებული რომ იყო ფული.

ძეველი თბილისური აიგნი გვქონდა, მეზობლებს ამ აიგანზე უნდა გაველოთ ჩვენი ფანჯრების წინ. ყოველი ნაბიჯების ხმაზე დედაც უდაბ ხდებოდა... ვთიქრობდი, ჩვენი ნათესავებიდან არავინ დაუჭრიათ 1937 წელს და რატომ არის ასეთი დაშინებული დედა-მეტქი... რომ წამოვიზარდე, მამამ მითხრა: 1923 წელს დაუჭრიათ დედა და ბოლშევიკების ციხეში მოხვედრილა. იქიდან დაავადებული ნერვებით გამოიშვეს.

კარგად მახსოვს, პირველი ამერიკული ფილმები რომ გაჩნდა, „ტრაფეინიე“ (ნადავლი) ფილმი ერქვა.

უცხოური ფილმების გავლენით ბავშვები ხშირად ეფარიკაობდით, მაყოფლებს გავლესავდით, ვითომ დაწნები იყო... მაშინ „სამი მუშეტერი“ ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა...

იყო მეორე მსოფლიო ომის წლები — დიდ შიმშილი. ჩვენ, ბავშვებს ყველას ჯირკვლები გაქონდა, დაუსტებული ვიყავით, პატარა ნაკაწრიც გვიჩირქებოდა...

პირველად ხორცი ვჭამე, ომი რომ დამთავრდა მერე. მახსოვს, კატლეტი შეწვეს სახლში და ვისადილეთ... 14 წლის ვიყავი მაშინ. მამაჩემმა დაიწყო მოწაფების მოშადება და ცოტა ამოვისუნოქეთ მახსოვს, მაგა სამ მანეთს იღებდა ერთ გაკეთილში... შერე შისი ყოფილი მოწაფები გახდნენ მასწავლებლები, ინგლისურში ბავშვებს ამზადებდნენ, ისინი ხუთ მანეთს იღებდნენ, მამა კ ძველებურად სამ მანეთს იღებდა.

წშირად ანგინით ვხდებოდი ფად. ბაბუა ექიმი იყო და მამას უუბნებოდა, არ არის კარგი ნაადრუვი ოპერაცია, მაინც ფილტრივით არის გლანდებით და არ ამომჭრუს...

სოფელი არ გვქონდა. ბაბუა ჩებს, დიმიტრი ერისთავს მამულები ჩამოართვეს. სკოლაში სასწავლოდ ვსწავლობდი. მათუმატიკა კი კარგად ვიცოდი, თავდგირიძე მასწავლიდა. მისმა მოსწავლებმა ყველამ ვიცოდით მათემატიკა.

დედისერთა ვარ, მაგრამ განებივრებული არ ყოფილგარ. დედას მეცნიერებული მამა კი არასოდეს მეტყოდა, ან ეს წაიკითხეს, ან ეს არ წაიკითხო. ყოველდღე ნახევარ საათს ვსწავლობდი სიტყვებს, ნახევარ საათს ვკითხულობდი ინგლისურად, ენა ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ მერე კახელისა არ იყოს, არ გამომადგა და მიმარტვდა კიდეც.

როცა ოთარ იოსელიანთან მოვხვდი საფრანგეთში, ბავშვობის მარაგი ისე ამომიტივ-ტივდა, რომ უცებ აულაპარაკდი ინგლისურად.

ბავშვობიდანვე ვხატავდი. ჯერ დედა მიკითხვდა, მერე მე ვკითხულობდი. სადამოს დაჯვალებოდი და ვხატავდი.

მამაჩემი მხატვარი იყო განათლებით. მასაც იმავე პედაგოგთან ჰქონდა დამთავრებული აკადემია, ვისთანაც მერე მე ვისწავლე — იოსებ შარლემანთან. ბლანეჟთი დადიოდა, გრაფიკისი იყო, წარმოშობით ფრანგი.

მამას სპეციალობა წიგნის იღუსტრაცია გახლდათ, მეც ეს ფაულტეტი დაგამთავრე.

მამამ მომდე საქმაოდ ბევრი წიგნი გააფორმა. მახსოვს, როგორ იღებდა შეკვეთებს



შხატერის სახელობის



„რომ არა ფოტო, სადაც ბოტანიკური ბაღის ზიდის მთაკირზე ვდგავარ ხელზე, კულარ დაფიკურებდი, რომ ასეთი ტრიუქის შესრულება შეძებლო...“



მარცხნიდან: დიმა გრისოზი, თენციზ მირზაშვილი და კახუკა ჭიათურაშვილი

და ხატავდა პიონერთა სასახლის სხვადასხვა განყოფილების გასაფორმებლად. მაშინ იქ სახანძრო განყოფილებაც არსებობდა. სწორედ ამ განყოფილებისთვის ოპერის ხანძარი დასატა. მგონი, გეოგრაფიის განყოფილებისთვის დახატა ჯორდანო ბრუნოც, რომელიც დაწევს... მე ვეზუმრე, ესეც სახანძროსთვის დახატე-მეთქი?

არაჩვეულებრივი იყო აკადემიის წლები... ვმეგობრობდით მე, ზურაბ ნიუარაძე, თენციზ მირზაშვილი და ჯემალ ლოლუა. ურთიერთობისთვის ჩაის დალვაც კი არ გვჭირდებოდა. ზურას დიდი სახელოსნო ჰქონდა. ყოველდღე იქ ვიკრიბებოდით, ვხატავდით...

მახსოვს ჩვენი არაჩვეულებრივი პედაგოგები: სოსო გაბაშვილი, დუდა გაბაშვილი, სერგო ქობულაძე, იოსებ შარლემანი, ლადო გრიგოლია... უფროსებთან შინ არ დავდიოდით. მაგრამ გამონაკლის გახლდათ სერგო ქობულაძე, ხშირად ვიყავით მისი სტუმრები, ჭადრაკს ვეთამაშებოდით.

ექვს წელიწადს ვისწავლე აკადემიაში. გრაფიკას არ ერჩოდნენ, ფერწერა კი აითვალისწეს. რატომდაც ფერწერას დაარქვეს ბურუუაშიული ხელოვნება. საშინელება იყო, მაგრამ ჩემთვის ერთი კარგი რამ მოიტანა: მაშინდელმა რექტორმა ელგუჯა ბერძენიშვილი გააგდო III კურსიდან და უფლება მისცა გამოცდების ჩაბარებისა, ოღონდ გრაფიკის ფაკულტეტზე. ასევე ჩვენს ფაკულტეტზე გადმოიყვნენ ლევან ცუცქირიძეც. მათ გვერდით ყოფნა უმნიშვნელოვანები იყო ჩემთვის...

ტანკარვაშვის დაციონიდი, მერე გადავედი აკრიბატიკაზე, ქართულდად ამას მუშაოთობა ჰქია. რომ არა ფოტო, სადაც ბოტანიკური ბაღის ზიდის მთაკირზე ვდგავარ ხელზე, კულარ დაფიკურებდი, რომ ასეთი ტრიუქის შესრულება შემძლო... ჩვენი ოთხეული აკრიბატიკაში საბჭოთა კაგშირის ხუთგზის ჩემპიონი იყო.

საერთოდ დედა ამბობდა, ქუდბედიანი ხარო. მართლაც, ბედნიერი ვიყავი ჩემი ცხოვრებით.

ჩემი შუალდისა რა გითხრათ, როდის არის დღი, როცა შენ ზენიტშია? ამას ასაკთან კავშირი ან აქვს, ან — არა!

ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა სადიპლომონაშვებარს ვასრულებდი. დილიდან აკადემიაში ვიყავი. V კურსი იყო, დიპლომის წინა წელიწადი. მახსოვს, ელგუჯა ბერძენიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე ფანატიკურად შეყვარებულმა კაც-

მა, წამაკითხა „მოგარის მოტუაცება“. ძალიან მომეწონა და მოვინდომე ამ ნაწარმოების ილუსტრირება. რამდენიმე ჩანახატი გავაკეთე კიდეც... ელგუჯას უმცროსი მმა — მერაბი ძალიან მოხდენილი ბიჭი იყო, გამხდარი, საინტერესო სახის... მისი გარებობა გამოვიყენე ილუსტრირებისთვის. მერე უნდა დამტკირა განცხადება, რომ მინდოდა ამ სადიპლომო თემაზე მუშაობა. კატეგორიული უარი მითხრეს. გასაოცარი ამბავი მოხდა: იმ წელს, როცა მე ასეთი უარით გამომისტუმრეს, მამაჩრემა ინგლისურად თარგმნა „დიდოსტატის მარჯვენა“, მოსკოვმა შეუკვეთა... გაბრაზებულმა უცხოელი მწერალი ავირჩიე სადიპლომოდ — ანატოლ ფრანსის რომანი დავასურათე. ამ დაბლომით გამიცნეს აკადემიაში, მას მერე დამარტვეს კარგი მხატვარი.

ბენიერი ვარ, რომ ახლა ვინც კლასიკოსად ითვლება ჩვენს თაობაში, მათი პირველი მოთხოვების ილუსტრატორი ვიყავი უურნალ „ცისკარში“.

ოდესებ ცეკაში თუ დაუბარებითა ვინმეს? მახსოვს ერთი შემთხვევა: ჯანბერიძე იყო, ნოდარი, ცეკას მდივნი. დამიძახა. სოხუმელი რუსა წერს შეწევ, ჯიხურის გამყიდველი, რატომ არის, ამ მხატვარს სულ რომ პროფილში ჰყავს დახატული ადამიანებით. ვუთხარი, ნოდარ, სირცეხილია, მივიღე და ვუხსნა, რატომ ვხატავ პროფილში-მეთქი? ჰო, კარგი, კარგი, წადიო... ასე იყო, კინაღამ პროფილში ბის გამო შარში გავჭვიე.

ოთხი თუ ხუთი პერსონალური გამოფენა მქონდა. განსაკუთრებით მახსენდება ერთ-ერთი, როცა მოსკოვში ზურაბ ნიუარაძის, თენგიზ მირზაშვილის, გოგი რჩიაურისა და ჩემი ერთდროული გამოფენა მოეწყო.

უურნალებში „დროშასა“ და „საქართველოს ქალში“ ხსირად ბეჭდავდნენ ჩემს ილუსტრაციებს. რესეტშიც იძეჭდებოდა.

ყველაზე გაიცნო „იების გამყიდველი“, „გაზაფხული“, „კლასობანა“...

აკი გთხარით, ბენიერი ვიყავი. ბევრი ფული არასიღეს მინატრია... ბაზრიდან საკვების მოტანა თუ შემეძლო, უკვე გმაყოფილი გახლდით. ბევრმა მხატვარმა იშოვა ფული. ე.წ. „ხუდომბინატი“ იყო, იქ მუშაობდნენ. ერთხელ საყვედურიც ვუთხარი კოშბინატის დირექტორს, — რა არის, მე რომ არ მამუშავებთ-მეთქი. მხატვარს აფუჭებს ადვილი ფულით, — მიპასუხა. მართლა ასეა... თუმცა ხშირად ვფიქრობ ვან გოგზე, რომლის ნახატიც



კადრი ფილმიდან „არაჩეულებრივი გამოფენა“, 1968 წ. დამდგმელი მხატვარი დიმიტრი ერისთავი



კადრი ფილმიდან „იფო შაშვი მგალობელი“, 1970 წ. დამდგმელი მხატვარი დიმიტრი ერისთავი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად გაიყიდა. ვუიქრობ, მისი შეურაცხყოფაა, რომ ვერც ერთი ნახატი ვერ გაყიდა სიცოცხლეში, და ახლა ყველაზე ძვირად ყიდიან მის ნახატებს მფლობელები, სარგებელს ნახულობენ... ძალიან ცინიკურად ყდევრს.

რეკლამაზეა აგებული ყველაფერი ამ სამყაროში და მხატვარი როგორ იქნება?

საქართველოდნ გასვლა ძალიან მეზარუბოდა ყოველთვის, ამიტომ ტურისტულად არსად ვყოფილგარ. ჩემი ნატგრა იყო მხოლოდ პარიზი. ვამბიძლი, სამი თვე მაინც მაცხოვრა პარიზში-მეტქი. ამიხდა... ბერლინშიც ვიცხოვრე, პარიზშიც ოთარ იოსელიანთან მუშაობისას. მთავრია, რომ ხელფასს ვიღებდი, როთიც შემძლო მეყიდა და ჩამომეტანა სუვენირები მეგობრებისთვის, ნათლულებისთვის...

„მთვარის ფაფორიტებზე“ ვმუშაობდი.

ისეთი დატვირთული ვიყავი, სამი თვე ლუკრეშიც კი ვერ წავედი. მერე დავდიოდი მუზეუმებში... სერგო წულაძის ერთ-ერთ დას — თამარს პეტრონდა პატარა სამხატვრო გალერეა „დარიალი“. მასთან ვმეცობრობდით. ფილმშიც



„გაზაფხული“

გადავადებინე თოარს, ძალიან ლამაზი ქალბატონი იყო.

როული თუ იყო თოართან მუშაობა? არაჩვეულებრივი იყო... ამბობენ, როული ხასიათი აქვს? ვერ გეტვით, ეს მუშაობისას არ მიგრძნია, ვფიქრობ, რასაც ხალხი მის როულ ხასიათს ეძახის, უფრო თავდაცვის მექანიზმა.

პარიზში გაფიცანი მერი შარვაშიძე, 93 წლის გახლდათ არასოდეს დამაზიწყდება მისა არის ტოკრატული იქრი... საერთოდ პარიზში სამუშაო დღის დასრულების მერე გვეპატიუებოდნენ თოარის მეგობრები, სუფრას გაშლიდნენ, მაგრამ არავინ გთავაზობდა, მიირთვითო. თოართან დავიჩივლე კიდეც, შმიერი ვრჩები, არავინ მთავაზობს საჭმელს-მეთქი. დაგპატიუეს, ესე იყო, უნდა მიირთვა, ქვევ ხომ არ ხარო... აი, მერე მერი შარვაშიძესთან რომ მივედით სტუმრად, უნდა გენახათ, როგორ გაგვიმასპინძლდა, როგორ ყველა ჯერძს თავდა გვწოდებდა. მაშინ კი ვეტხარი თოარს, ახლა შენ მეგობრები ყოფილან ქაჯები თუ მე ვარ ქაჯი-მეთქი...

გვიან დაგქორწინდი, 30 წლის ვიყავი. ჩემი მეუღლე ნათელა გვარად პეტროვაა, მაგრამ რუსია არ გეორგიო, გურული ქალია. გურიაში ბევრი ცხოვრობს ასეთი გვარით, ქართველები არიან, რუსისა არაფერი სცხიათ... ბათუმში გაფიცანი. მაშინ რეზო ჩხეიძე იღებდა მოკლემეტრაჟიან ფილმს. პირველად მიმიწვიეს ფილმის მხატვრად. ზღვაზე ვიღებდით. მთავარ როლში იყენენ სერგო ზაქარიაძე და მერაბ თავაძე. ნათელა ბათუმში იყო. ისიც გადავიდეთ...

სანდრო — ჩემი ვაჟი, მხატვარია. ჩემდა გასაკირად ძალიან ნიჭიერი გამოღვა ფერწერაში. მიხარია, რომ საინტერესო და კარგი მხატ-

ვარია. გრაფიკით დაიწყო და მერე ფარნა ლაპაშვილმა გადმოიყვანა თავისთან, თუატრალური მხატვრობის ფაკულტეტი დაამთავრა.

ასაკისა რა მოგახსენოთ... ციფრების დამახსოვრება არ მიყეარს — ტელეფონის ნომრებს, წლებს, ტრანსპორტის ნომრებს ვერ ვიმახსოვრებ... ოღონდ ეს მოხუცებულობით კი არ მომდის, ყოველთვის ასე ვიყავი. გაგეონებათ, ხას შპარგალით დავდოგრ, რა ნომერი ავტობუსი სად მიდის, მიწერია.

ერთხელ მკითხეს, სულ ადამიანებს რომ ხატავთ, ალბათ გიყვართ ადამიანიო. ვუპასუხე: ადრე მიყეარდა, ახლა მაინტერესებს-მეთქი. ერთი ნატურმორტი მაქეს დახატული. პეზარი არც დამიხატავს. თბილისს კი ვხატავ: თბილისელი გარ მთელი არსებით. ძველი თბილისს სახლებიც მაქეს დახატული. ოღონდ, პორტულტივით სახლებს ვხატავ...

დახატული მყავს ცნობილი პირობნებები: თამაზ ჩხერიმელი, თოარ ჭილაძე, კარლი კალაძე, მიშა ლოხინსკი, დახატული მყავს ჩემი ასაკის ყველა ლამაზი გოგო ჩემი მეუღლიდან დაწყებული და მანანა გედვანიშვილით, მანანა აპაზაძითა და მარინა ქარცივაძით დამთვრებული... ყველას ვერც ჩამოვთვლი. ბოლო პორტულტი დავხატე სერგო ზაქარიაძის შვილიშვილის — ნინოსი. ამდენი ლამაზი ქალის პორტულტების გარემოცვაში ვარ და არც მახსოვს, დრო რომ გადის...

ვმუშაობ ნელ-ნელა... ძველებური ენერგია არ მაქეს, მაგრამ როგორც შემიძლია, ისე ფერქლებ. ყოველთვის მკვებაგდა თბილისი. რუსთველის პროსპექტი... რასაც დავინახვდი, იმას ვხატავდ. ახლაც თბილისა მასზრდებულს.

**ლელა პირაპვილი**



## „იცოდე წარსული, თუ ბსურს, მომავალი გჰონდეს“

„კარგი მექსიერება მაქვს, წაკითხული წიგნი და მოყოლილი ამბავი აღვიდლად მამა ხსოვდება“, — ამბობს მახვილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მმართველი ზურაბ გმირაძე. ბატონი ზურა ინტელექტუალური თამაშების მოყვარულია. ამიტომაც „ერუდიტში“ სტუმრობას სიამოუნებით დამთანხმდა.

— ისტორიულ ლიტერატურას დღესაც ხშირად ვეცნობი, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში ისტორიული ფაქტები ხშირად სათანადოდ არ არის აღწერილი და ბუნებრივია, მწერლის ფანტაზია ჭარბობს. ისტორიული თემატიკის ლიტერატურას მაშნაც ვკითხულობ, როცა სპექტაკლს ვდგამ. იმ პერიოდის სოციალური ფონი, ცხოვრების წესი მაინტერესებს, რომელშიც პიესაში მიმდინარე პროცესები ვითარდებოდა.

— გამორჩეულად რომელი ისტორიული გმირი გიყვართ?

— ერთს ვერ დავასახელებ. ჩვენს ისტორიაში ქართველთა გმირობის მაგალითი მრავლადაა, მეფეებიდან დაწყებული, სახოგადო მოღვაწეებით დასრულებული. იმასაც გეტევით, რომ თუ გსურს, მომავალი გქონდეს, წარსული უნდა იცოდე. წარსულის მაგალითზე უნდა გაეანალიზოთ, სად დავუშვით შეცდომა და სწორი ნაბიჯი რიდის გადაედგით.

— ახლა დროა, ჩვენს შეკითხვებზე გადავიდეთ. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ისტორიაში ვინ იყო პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი?

## თ რუდიოტი

- მარგარეტ თეტჩერი.
- „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუკრეულ უფლებათა მატარებელია და საქართველო — სრულუფლებაინი დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები 1918 წლის 26 მაისს?
- სხვას ვის შეიძლებოდა ეთქვა, თუ არა ნოე ჟორდანიას.
- ის წარმოშობით გათურქებული მონღოლი იყო. თავდაპირველად დუმნის უფროსი გხელდათ. შემდეგ აჯანყდა, ვერ გაიმარჯვა და ყაჩაღად გაიჭრა. ერთ-ერთი შეტაკებისას დაიჭრა და დახეიბრდა. საქართველოში არაერთგზის ილაშქრა. რომელ დამპყრობელზეა ლაპარაკი?
- დაგვიქრდები და გავიხსენებ.
- მიგანიშნებთ, ამ დამპყრობლის მიზანი ჩინგიზ-ხნის იმპერიის აღდგენა იყო.
- თემურ-ლენგი, არა?
- დიახ. რამდენჯერ ილაშქრა მან ჩვენს ქვეყანაში?
- როგორც მახსოვს, საქართველოს რვაჯერ შემოესა.
- მისი შშენებლობა იმპერატორმა ცინ შიაჟუნიდიმ ჰუნბისგან (ცენტრალური აზიას ცხენოსანი მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომების გაერთიანება) თვის დასაცავად დაიწყო. რის შშენებლობაზეა ლაპარაკი?
- ჩინგიზის დიდი კედლის.
- რას უწოდებდნენ სათეატრო, საცირკო და საესტრადო წარმოდგენებისთვის განკუთვნილ დროებით ნაეგბობას XVIII-XIX საუკუნეების რუსეთში?
- შაპიტოს.
- ცდებით.
- აბა, პიაცას?
- ბალაგანს უწოდებდნენ.
- პირველად მეშმის. თეატრალებისთვის ცნობილია ბალაგანი, როგორც მიმდინარეობა, ერთ-ერთი ჟანრი.
- ეს სპარსული წარმოშობის სიტყვაა. დღოებით შენობებს ხისგან აგებდნენ. ბალაგანშა რუსეთში XX საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება.
- კარგად, აწი მეცოდინება.
- რა წერდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მართველს, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს?
- დიქტატორი.
- საქართველოს ისტორიაში არაერთი მეფე მეტსახელით არის ცნობილი. ქართლ-კარუდის უკანასკნელი მეფე გიორგი XII უზომო ჭამა-სმით იყო ცნობილი. რა მეტსახელით შემორჩენის ის ისტორიას?
- ზაქიშვილი.
- ეს ინგლისელი მწერალი ქალი პირველი მსოფლიო ომის დროს მოწყალების დადმუშაობდა. არის 60-მდე ცნობილი დეტექტიორი ნაწარმოების ავტორი. რომელ მწერალზეა ლაპარაკი?
- (ფიქრობს).
- მიგანიშნებთ, მისი ნაწარმოებების მთავარი გმირი ერკიულ პუაროა.
- აგატა კრისტი ყოფილა!..
- რა ერქვა ძველ რომში მოქალაქეთა თავშეერთის ადგილს?
- არ ვიცი.
- ეს სიტყვა დღეს განსაკუთრებით პოპულარული ინტერნეტსივრცეშია.
- თუ ვიმსჯელებთ, მოქალაქები იმიტომ იკრიბებოდნენ, რომ რაღაც საკითხები განეხილათ, აქედან გამომდინარე, ინტერნეტში განხილვები სხვადასხვა ფორუმზე მიმდინარეობს. გამოდის, ფორუმი ერქვა.
- გამოიცანთ „ვინაიდან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილ არიან და არა განცრუვლებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადგას სული თვისი მოვარეთათვის“... დაასახელეთ ქართველი გმირი, რომელმაც მონღოლთა ნოინის ასეთი შეფასება დაიმსახურა
- ცოტნები დადიანი.
- „რუსეთის გენერლებს შორის ყველაზე მეტად ერთი მაფიქრებს, — ესაა ბაგრატიონი“. — რომელი იმპერატორია ამ სიტყვების ავტორი?
- ნაპოლეონ ბონაპარტი.
- იგი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობიდან 1886 წელს გადააყენეს, ერთი წლის შემდეგ კი სტავროპოლიში მოკლეს. გაღმოცემით ცნობილია, რომ მისი მკლელობის ორგანიზატორი რუსეთის იმპერიამ ბრილანტის ჯვრით დააჯილდოვა. ვიზუალურავა ლაპარაკი?
- ვერ გიპასუხებთ.
- მიგანიშნებთ, აკაკი წერეთელმა მას ცნობილი ლექს „განთადი“ მიუძღვნა.
- მართლა? მაინც ვერ ვხდები, ვისწევა ლაპარაკი.
- ის საქართველოს ეკლესიამ 2007 წელს წმინდანად შერცცხა.
- როგორც იქნა, გამახსენდა, დიმიტრი

ეთივე ანი. თუმცა წმინდანად თუ იყო შერაცხილი, არც ვიცოდი.

— ვის სახელს უკავშირდება ქართული მარიონეტული თეატრის დაარსება?

— რეზო გაბრიაძის.

— ამ ტბის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი — მის ფარგლებს გარეთ. რომელ ტბაზეა ლაპარაკი?

— ვიცი და ვეღარ ვიხსენებ, იქ სათუგზაოდაც რამდენჯერმე დამპატიუეს და არ წავედო.

— რომ წასულიყავით, ტბის სახელი არ დაგვიწყდებოდათ.

— აზერბაიჯანის საზღვაორთან არის (პაუზის შემდეგ), — გამახსენდა, ჯანდარის ტბა.

— საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?

— რაჭაში.

— რა პქვია კარდინალთა კრებას, რომელიც რომის პაპის გარდაცვალების შემდეგ ახალ პაპს ირჩევს?

— საკვამურიდან თეთრ კვამლს რომ უშევებენ? არ ვიცი.

— კონკლავი. რომელ წელს გაიხსნა საქართველოში პირველი რეინიგზა?

— ზუსტი თარიღი არ მასონოს.

— 1871 წლის 14 აგვისტოს. ალექსანდრ სუვოროვი მეომრებს მოუწოდებდა — „დაენდოთ მტრი, თუ შეწყალებას ითხოვდა და არ მოეკლათ ის, ვისაც არ...

— ....არ პქონდა იარაღი“.

— რომელ მეფის დედა იყო ქეთვან წამებული?

— თეიმურაზ I-ის.

— ვეროს გამოშვებას ლამის სკანდალი მოჰყება. რა შეცდომა დაუშვეს კუპაურების თავდაპირველ ვარიანტზე გამოსახულ ვეროპის რუკაზე?

— არ ვიცი.


— ეს შეცდომა გერმანიის...

— (ძალვეტინებს) გერმანია იყო ორად გაკოფილი.

— იერუსალიმში, სიონის მთის ფერდობზე მდებარეობს ეკლესია, რომელსაც წწოდება გალიკანტუ. ეს ეკლესია წმინდა პეტრეს სახელობის არის. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ სწორებ იმ ადგილას არის აშენებული, სადაც პეტრეს შემოესმა... რა შემოესმა?

— არ ვიცი.

— ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქრისტე უარყო.



— მამლის ყიფილი.

— რას უწოდებენ იმ გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც გაეროს მსოფლიოში შშგოდობის დამფარებაში ქმარებიან?

— კეთილი ნების ელჩებს.

— თამარ მეფე უფრო დიდხანს მეფობდა თუ დაგით აღმაშენებელი?

— თამარი.

— ცდებით, დავით აღმაშენებელი მეტხანს მეფობდა. საფრანგეთის ამ პრეზიდენტს კი თავს ოცდაათჯერ დაესხენ, მაგრამ ტერორისტებს კოველთვის ხელი მოეცარათ.

— შარლ დე გოლი.

— სად არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა — ათენში, ალექსანდრიაში, როდოსში თუ სირაკუზაში?

— ალექსანდრიაში.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპნენ მმები ხერხეულიძები?


— მარაბდის.

— დაასრულეთ ტოლსტოის ცნობილი გამონათქვამი: „არ არის სამარცხვინო და საზიანო არცოდნა, ყველაფრის ცოდნა არავის შეუძლია, სამარცხვინო და საზიანოა თავის მოწვენება, რომ იცი ის, რაც...

— ....არ იცი“.

**თამარ პაიონიარი**

# ცხოვრების ერთი დღე...



▲ გლადიატორს ალიონზე აღვიძებდა მონა, რომელიც გლადიატორთა სკოლის საკუთრება იყო.

**266** გლადიატორებს ალიონზე აღვიძებდნენ საგარჯიშოდ. მათზე რამდენიმე მსახური ზრუნავდა. ჩვეულებრივ, მსახურები ყმაწვილება და მამაკაცები იყვნენ. მსახურს დილაუთებია უნდა გაეღვიძებინა გლადიატორი, რომ საგარჯიშოდ მოშადებულიყო.

**267** ვარჯიში ფოველდღე რამდენიმე საათს გრძელდებოდა. თვით ყველაზე გამოცდილი გლადიატორიც კი დღეს ხის ბორზე იარაღის დარტყმაში ვარჯიშით იწყებდა. ეს საშუალებას აძლევდა მებრძოლს, მომზადებულიყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი ვარჯიშის-თვის, რომელიც დღის განმავლობაში ექნებოდა. გლადიატორებს ვარჯიშის დროს უბრალო საჭურველი და ბლაგვი იარაღი იქნიდათ.

**გლადიატორის საპეპი**  
სთხოვე უფროსებს, დაგეხმარონ გლადიატორის კერძის მომზადებაში.

დაგჭირდება:

60 გ შერიის ფაფის ფანტელები  
400 მლ წყალი, მწიკვი მარილი  
50 გ ლორი, 5 ცალი ლელვის ჩირი  
2 ს/კ ზეითუნის ზეთი  
1 ს/კ ხმელი როზმარინი

1. დაჭური ლორი და ჩირი. შეწვი ზეითუნის ზეთში როზმარინთან ერთად.

2. ქვაბში ჩაყარე შერიის ფანტელები, დაამატე წყალი და მარილი. მიიღვანე ადულებამდე და ხარშე კიდევ 5 წუთს.

3. როცა შერია შესქელდება, ჩაყარე ლორი და ლელვის ჩირი.



► 2 მეტრი სიმაღლის ხის ბოძი მთაგარი ვარჯიშების-თვის გამოიყენებოდა.

## 500 ფაქტი ისტორიიდან / ბლადიატორები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-20 • ნაწევეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“

▼ გლადიატორებს აჭმეულნენ უბრალო, მაგრამ ნოჟიერ საკვებს: ფაფს, სტაფილოსა და ძებზე, რათა მათ ფორმაც შევნარჩუნებინათ და ჯანმრთელებიც ყოფილიყვნენ.



**270**


გლადიატორთა საკვები შერის ფაფს იყო, მაგრამ ჭამდნენ ხორცს, ხილსა და ბოსტნეულ-საც. რომაელებს სჯეროდათ, რომ შერია ყუათიანი საკვები იყო და ხელს უწყობდა კუნთუბის განვითარებას. გლადიატორთა სკოლის მეატრონე მაღალი ხარისხის პროდუქტში ფულს არ ხარჯავდა, სანაცვლოდ კი გლადიატორებს უბრალო, მაგრამ ჯანსაღი საკვებით ასაზრდოებდა.

**268**

გლადიატორებს მუდმივად უკეთებდნენ მასაჟებს. რომაელებმა იცოდნენ, რომ მასაჟი საუკეთესო საჭუალება იყო და ჭიდული კუნთუბისა და მოღუნებული სახსრებისთვის. მასაჟი სასარგებლო იყო ძველი ტრაგებისთვისაც. გლადიატორთა სკოლას, სულ ცოტა, ერთი კაცი მაინც ჰყავდა, რომელიც პროფესიონალი მასაჟისტი იყო და გლადიატორებს ფორმის შენარჩუნებაში ქმარებოდა.

**269**

ასაკოვანი, გადამდგარი გლადიატორები ახალბედებს წვრთნიდნენ. გლადიატორები, რომელებიც სიკვდილს გადაურჩნენ და თავისუფლება მოიპოვეს, ხშირად სამსახურს გლადიატორთა სკოლაში იწყებდნენ. ისინი გამოცდილი მეომრები იყვნენ და ბრძოლის უამრავ ხერხს იცნობდნენ. ახალბედებს ისე წვრთნიდნენ, რომ კარგი გებრძოლები გამოსულიყვნენ. ეს მაყურებელსაც ასიამოვნებდა და გლადიატორსაც გადარჩენის მეტი შანსი მიეცემოდა.



# თამაშებისთვის გზაფეხა

271

პირველად იმას წევეტდნენ,  
რამდენი ფული უნდა დაქარჯათ. პირს,  
კინც მუნუსს, ანუ გლადიატორთა სანახაო-  
ბას დგამდა, ედიტორი წარმოდგენა იყო, თუმცა  
ძვირად ლირებული წარმოდგენა იყო, თუმცა  
ედიტორების უმეტესობას სურდა, რაც  
შეიძლება შთაბბეჭდვაც სანახაობა გაემარ-  
თა. ისინი იმდენს ხარჯავდნენ, რამდენის  
გადადებასაც მოახერხებდნენ.



უკასურე პითევებს

1. ვინ არჩევდა გლადიატორთა  
წარმოდგენისთვის მონაწილეებს?
  2. ედიტორს კოველდღიურად სახ-  
მარი ტოგა ეცვა თუ ძეირფასი სამო-  
სი?
  3. მეწამულზოლიან ტოგას დიდ-  
გვაროვნები იცვამდნენ თუ ჩეკელებ-  
რივი მოქალაქეები?

օթցեապէծիւնը զ. օթցեապէծիւնը զ.  
զ. օթցեապէծիւնը զ. օթցեապէծիւնը զ.  
զ. օթցեապէծիւնը զ. օթցեապէծիւնը զ.

273

მოკლული გლადიატორი  
უფრო მეტი ლირდა, ვიღრე დაჭრილია.  
ედიტორს კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა  
ლანისტასთან. განისაზღვრებოდა ყველა-  
ფერი, რაც კი სჭირდებოდა მუნჯს და  
ასევე შესაბამისი ხარჯები. სუკი გლადია-  
ტორს მოკლავდნენ, ლანისტას იძღენ  
თანხას აძლევდნენ, რომ მისი შემცვლელი  
ყვიდა და გაწვრთნა. ბევრი ედიტორი  
შეიწყალებდა ხოლმე დაჭრილს, რათა  
საბოლოოდ ზედმეტი არ გადაქადა.

**274**

კულაფერი დაქირავებული იყო — ის ტანსაცმელიც კი, რომელიც სანახაობის ორგანიზატორებს ეცვათ. ედიტორი თავისთვის და ოჯახისთვის ძვირად ღირებულ სამოსასა და სამკაულს ქირაობდა. ის დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ წარმოდგენის დღეს კულანი დიდებულად გამოიყერებოდნენ. ედიტორის მიშანი მოქალაქეთა კეთილგანწყობის მოპოვება იყო, რათა არჩევნებში მისთვის მიეცათ ხმა.

▼ ედიტორის ოჯახი ლამაზ სამოსს ქირაობდა, რომ მაყურებლის წინაშე თავი მოქმედინა.


— დაფნის გვირგვინი  
რომის ხელისუფლების  
მხრიდან კეთილგანწყობაზე  
მიუთითებდა.

— ტოგა სამოსის  
აუცილებელი  
ატრიბუტი იყო,  
რომელიც მანიშ-  
ნებდა, რა მდგომა-  
რება ეკავა  
საზოგადოებაში ამა  
თუ იმ პირს.

— ოქროს  
სამკაული ოჯახის  
შეძლებას  
წარმოაჩენდა.

— ხასხასა ფერის ჩინური  
აპრეშუმი სიმდიდრისა და  
დახვეწილობის მაჩევებელი იყო.

— მეწამული კულაზე  
ძვირად ღირებული  
სალებაზი იყო ძველ  
რომში



**275**

წარმოდგენის კარსკვლავი თავად ედიტორი გახლდათ კულაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ ედიტორი რაც შეიძლება მნიშვნელოვან პერსონად წარმოჩენილიყო. გარდა იმისა, რომ ძვირფასი სამოსი ეცვა, ამფითეატრშიც კულაზე გამორჩეულ ადგილას იჯდა და გლადიატორები და სხვა მონაწილეები თავს უკრავდნენ. სანახაობის-თვის ფულს ის იხდიდა და უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ კულას ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა.

## წარმოდგენის დროა!


**276**

წარმოდგენის რეკლამირება რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა. ლანისტა მონებს გზავნიდა კედლებზე აფიშების დასახატავად, ზოგი კი ქუჩაში ყვირილით აუწყებდა ხალხს წარმოდგენის შესახებ. მონები ატყობინებდნენ ხალხს, როდის და სად იმართებოდა წარმოდგენა, რა და რა სანახაობას იხილავდნენ იქ, აგრუთვე, ედიტორის ვინაობას.



**277**

წარმოდგენა იწყებოდა აღლუმით, რომელ-  
საც წის ედიტორი მოუძღვოდა. მას ლამაზად ეცვა,  
ხშირად ეტლითაც გამოდიოდა არენაზე. უკან მოპყვე-  
ბოდნენ მუსიკოსები, რომლებიც მხარულ მელოდი-  
ებს უკრავდნენ. მათ შემდეგ გლადიატორები გამოდი-  
ოდნენ, თითოეულს საჭურვლითა და იარაღით  
დატვირთული მონა მოპყვებოდა. მათ შემდეგ ომის  
ღმერთ მარსისა და სხვა ღმერთების ქანდაკებები  
მოჰქონდათ. სულ ბოლოს არენაზე მსახურები,  
მსაჯები და სხვა მოხელეები გამოდიოდნენ.



**278**

გლადიატორთა წევილებს გულდას-  
მით არჩევდნენ. სანახაობის დაწყებამდე  
ედიტორი და ლანისტა წევეტდნენ, რომელი  
გლადიატორები შეებრძოლებოდნენ ერთმა-  
ნეთს. წარმოდგენის დასაწყისში ერთმანეთს  
დამწევები გლადიატორები ერკინებოდნენ,  
ხოლო ბოლოს ვეტერანები გამოდიოდნენ.  
შედეგებს მაცნე ძახილით აცხადებდა,  
აგრუთვე იწერებოდა არენის ბოლოში  
განთავსებულ დაფაზე.

# ବ୍ୟାଜରୀତିକାଳ



**280** იარალის გამოცდა  
გადამწყვეტი ცერემონია იყო.  
პირველი ბრძოლის დაწყებამდე  
არქაზე ედიტორი და ლანისტა  
გამოდიოდნენ, რომ თვალი  
ედვინებინათ იარალის  
გამოცდასთვის. ამ ცერე-  
მონიაზე საგანგებოდ  
შერჩეულ პირებს უწდა  
გამოეცადათ იარალი და  
საჭიროების სტანდების  
ბოსტნეულის დაჭრით  
ამოწმებდნენ, საჭირ-  
ველს კი ხელკეტებს  
ურტყამდნენ.

◀ გლადიატორ-  
თა ბრძოლის  
დაწევებამდე  
იმართებოდა  
დიდი აღლუმი,  
რომელშიც  
წარმოდგენის  
ყველა მონაწილე  
გამოიდიოდა. მათ  
წინ ეტლით  
ედიტორი  
მიუძღვებოდა.

## მართალია თუ ტყუილი?

1. ჰიდრაელიუმისთვის ასამედროვე ბუკის  
მხგავსი ინსტრუმენტი იყო.
  2. წარმოდგნის დაწყებამდე ამოწმებ-  
ლენინ, რამდენად მჭრელი იყო იარაღი.
  3. აღლუმშე გლადიატორები საჭურ-  
ელით გამოიიდნენ.

# საზღვაო ბრძოლები

**281**

გლადიატორთა ზოგიერთი ბრძოლა წყალზე იმართებოდა. ყველაზე შთაბეჭდიდავი იყო ზღვის შეტაკებები, რომელიც ნაუმაქია ეწოდებოდა. ამ სანახაობის გასამართავად მდინარე ტიბრის გასწვრივ 557 მეტრი სიგრძისა და 536 მეტრი სიგანის ხელოვნური ტბა ამოთხარეს. პატარა სამხედრო ხომალდები მდინარეში ჩაუშვეს და როცა საზღვაო ბრძოლა უნდა გამართულიყო, ტბაში შეაცურეს.

**282**

საზღვაო შეტაკებები ნამდვილ ბრძოლებს განასახიერებდა. ძვ. წ. 2 წელს იმპერატორმა ავგუსტუსმა მოწყო ინსცენირება ბრძოლისა, რომელიც 400 წლით ადრე ბერძნებსა და სპარსელებს შორის გაიმართა. იმპერატორმა ტიტუსმა კი დადგა ბრძოლა, რომელიც ბერძნებსა და ეგვიპტელებს შორის გაიმართა. ეს შეტაკებები ყოველთვის არ სრულდებოდა იმ მხარის გამარჯვებით, ვინც ნამდვილი ბრძოლა მოიგო.

► საზღვაო ბრძოლების განსახიერება განსაკუთრებით ძვირი კვდებოდა, ამიტომაც ხშირად არ ეწოდოდა.



**283**

თავდაპირველად საზღვაო ბრძოლებში მონაწილე გლადიატორები ერთმანეთს არ ხოცავდნენ. პირველი საზღვაო ბრძოლები იულიუს კეისარმა მოაწყო ზღვზე გამარჯვების აღსანშნავად. ამ წარმოდგენით ხალხს უჩვეულ მეზღვაურთა სიმამაცე და კეისრის გამჭრიახობა, რისი წყალობითაც მან გამარჯვება მოიპოვა.

**284**

ერთ საზღვაო წარმოდგენაში 19000 კაცი მონაწილეობდა. იმპერატორმა კლაუდიუსმა საზღვაო ბრძოლის ინსცენირება ფუჩინოს ტბაზე მოაწყო. მეტროდოლები არც მეზღვაურები ყოფილან და არც გლადიატორები, ისინი სიკვდილმისჯილი დამნაშავენი იყვნენ. უმრავლესობა დაიღუპა, ხოლო გადარჩენილები მონურ სამუშაოებზე გაამწესეს.

**285**

საზღვაო ბრძოლების გასამართად კოლიზეუმის დატბორვაც შეიძლებოდა. კოლიზეუმს პირველმა შეენებლებმა საგანგებოდ დაატანეს მილსადენები, რომლებითაც არენის წყლით აქსება და შემდეგ დაცლა შეიძლებოდა. დატბორილ არენას მცირე მასტრაბის საზღვაო ბრძოლების გასამართავად იყენებდნენ, სადაც მომცრო სამხედრო გემებს გლადიატორები მართავდნენ.



## დაუჯვრობაშელია!

ერთხელ გლადიატორებმა შენიშნეს, რომ საბრძოლო ხომალდი უგარებისი იყო და უარი განაცხადეს მასში ჩასხდომაზე.





|    |   |                                  |   |    |
|----|---|----------------------------------|---|----|
|    |   |                                  |   |    |
| 1  | სახელმწიფო<br>წევისძიებები,<br>მმართველობის<br>წესი | 2                                | საქართველოს<br>პრეზიდენტი,<br>2004-2005 წწ.           | 3  |
| 4  | საურნაგე-<br>თის ამინის<br>ჯარისკაცია<br>აღვირობი   |                                  |   | 5  |
| 6  | აშშ-ის<br>პრეზიდენტი                                |                                  |   |    |
| 7  |   | 7                                | ქართველი<br>მწერებიდან<br>და<br>პოლიტიკური<br>მოვაწყე |    |
| 8  | შეუტა<br>საგარეულო                                  | 9                                | ფრანგ შეუტა<br>სახლი                                  | 11 |
| 12 | 12 რესერვის<br>ამძრატორის<br>გვარი                  | 13                               | მედალი შეა-<br>საბაზი                                 | 16 |
| 14 | ჭრისტიანული<br>დღესასწაული                          | 15                               | შევანა<br>საზოგადო<br>ამჟრიდაში                       | 17 |
| 17 | ხელშე მოვაჭრე<br>ძელიასში                           | 18                               | რემინიული<br>დაქტატორი                                | 19 |
| 20 |   | იულიანის<br>რესტრაციის<br>არმა   |   | 21 |
| 22 |   | ფლეისთვის<br>საფლაკულული<br>წესი |   |    |
| 23 | სკელონის<br>კრიბა                                   | 24                               | შემარტინული<br>კონფლიქტი                              | 25 |
|    |   |                                  |   |    |

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანონიდან მასუბი:

- 1 პერიდე; 2 ქრემი; 3 ადამიადობა; 4 დეკურსი; 5. არჯ; 6. ური; 7. გარადე; 8 ტერტერა; 9. ბუ; 10 პეტრუ;
- 11 ფერნავ; 12 ქრა; 13. პრინციპი; 14. ოდა; 15. მოვენი; 16. რენე; 17. სტადი; 18. დრო; 19. აღა; 20 აბდასტა; 21 დანცივი; 22. ნო; 23. ქნა; 24. ორიონი; 25. ემი; 26. აფილა; 27. პაბი; 28 სასვეტი. სურაზე: პოლარი კლიმატი.